ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

9 სექტემბრიდან

„ახალ თაობასთან“ ერთად

ქართული დეტექტივი

დანაშაული აღარ მოხდება ტომი 8

ფასი გაზეთთან ერთად 3 ლარი




სამშაბათი, 9 სექტემბერი, 2014 №213 (6524) ფასი: 30 თეთრი

# მარგველაშვილი თუ ალასანია, რომელს აირჩევს ამერიკა?!



„სპეცსამსახურებმა გააქტიურეს მარგველაშვილის თემა და მთელი რისხვა მისკენ წავიდა. ალასანია კი ამ დროს ჩრდილში იყო“.

გვ.3





## მამუკა არეშიძე: „ქვეყანაში რაც ხდება, შსს-ს ბრალი არ არის“

წამლების რეცეპტებით გაცემა პირველ ოქტომბერს რომ განეხორციელებინათ, დააყრიდათ ტანზე თუ რა მოხდებოდა?!

გვ.4

ISSN 1987-9385



## ირაკლი სესიაშვილი შსს-ს ორად გაყოფას არ გამორიცხავს

გვ.2

## ზაქარია ქუცნაშვილი: „საქართველოს მაღალმთიანი რეგიონებისთვის შეღავათები უნდა დაწესდეს“

გვ.2



# ზაქარია ქუცნაშვილი: „საქართველოს მაღალმთლიანი რეგიონებისთვის შეღავათები უნდა დაწესდეს“

გულიკო ბალაძე

პარლამენტის წევრის ზაქარია ქუცნაშვილის განცხადებით, საკანონმდებლო ორგანოს საშემოდგომოდ მუშაობის განახლების პარალელურად, განახლდა მაღალმთიანი რეგიონების შესახებ სახელმწიფო კომისიის მუშაობაც. საქართველოს ტერიტორიის 75% მაღალმთიანია და, აქედან გამომდინარე, მუშავდება კანონპროექტი, რომელიც განსაზღვრავს, ვისზე გავრცელდება კანონი. საუბარია ძირითადი პრინციპებზე, კანონის შემუშავებისას რომელი ტერიტორია ჩაითვლება საქართველოს მთიანეთად.

— საქართველოს ტერიტორიის 75% არის მაღალმთიანია. ამიტომ შესამუშავებელი კანონის მიმართ მაღალი საზოგადოებრივი ინტერესია, რომელი ტერიტორია ჩაითვლება საქართველოს მაღალმთიანეთად და ვისზე გავრცელდება კანონი, ვინ იქნებიან ის ბენეფიციარები, მომხმარებლები, ვისზეც გავრცელდება ამ კანონით დაწესებული ახალი შეღავათები. მაღალი მთის განსაზღვრისას გამოვდივართ რამდენიმე კანონისმიერი პრინციპის ერთობლიობით. მხოლოდ გეოგრაფიული სიმაღლე, ზღვის დონიდან 1000 მეტრი, არ ჩაითვლება საკმარის გარემოებად, რომ ეს დასახლებული პუნქტი მიჩნეული იქნას საქართველოს მაღალმთიან დასახლებად. ამის განსასაზღვრავად არის 7 კრიტერიუმი. მათ შორის, ერთ-ერთია ზღვის დონიდან 1000 მეტრი და ზემოთ არსებული დასახლება, დასახლებაში არსებული დემოგრაფიული მდგომარეობა, აგროკლიმატური მდგომარეობა, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების მდგომარეობა (ამაში იგულისხმება, როგორც სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების რაოდენობა, ასევე მისი თვისობრივი მონაცემები, ხარისხი, ანუ რამდენად მოსავლიანი მიწებია), საინფორმაციო, სატელეფონო კომუნიკაციების მდგომარეობა (საქართველოს მაღალმთიანეთში ყველგან არ არის სატელეფონო და ინტერნეტწვდომა, სატელევიზიო სიგნალი. საკმაოდ დაბალია სატელევიზიო სიგნალი და საინფორმაციო სხვადასხვა სიგნალის მიღების საშუალება), სატრანსპორტო კომუნიკაცია, რაც ნიშნავს გზების, გაზსადენების, წყალსადენების მდგომარეობას. ასევე ერთ პრინციპად განისაზღვრება საჯარო სერვისების ხელმისაწვდომობა, პირველადი სამედიცინო დახმარება, საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა, პოლიციის მომსახურება, სატყეო მომსახურება, იუსტიციის სახლებისა და შს სამინისტროს სერვისები. ამ 7 კრიტერიუმის ერთობლიობით მოხდება იმის განსაზღვრა, თუ რას წარმოადგენს საქართველოს მაღალმთიანეთი. საქართველოს კონსტიტუციის 36-ე მუხლი ამბობს, რომ საქართველოს მაღალმთლიან რეგიონებში მცხოვრები მოსახლეობისთვის შეღავათები უნდა დაწესდეს, — აცხადებს ზაქარია ქუცნაშვილი.

ზაქარია ქუცნაშვილმა აღნიშნა, რომ მათ აქვთ მაღალმთიანი რეგიონებისთვის შეღავათების დაწესების კონსტიტუციური მოვალეობა.

— პრემიერ-მინისტრი საქართველოს პარლამენტში განახლებული მთავრობისა და მისი პროგრამისთვის ნდობის მისაღებად ამა წლის ივლისში გამოვიდა და ბრძანა, რომ შემოდგომაზე, სექტემბერში სჭირდება მაღალმთიანი რეგიონების შესახებ კანონპროექტი პარლამენტში მისაღებად. ზემოთ ხსენებული ძირითადი პრინციპების საფუძველზე განვსაზღვრავთ, რას წარმოადგენს საქართველოს მთა, ვინ იქნება მომხმარებელი, რა დაუწესდება მაღალმთიანი რეგიონების დასახლებებს. ეყოლება ორი მომხმარებელი. ეს არის მუდმივად მცხოვრები საქართველოს მოქალაქეები და საქმიანი წრის გარკვეული კატეგორია. მათ შორის, ჩვენ ვფიქრობთ სამეწარმეო საქმიანობის სფეროში შეღავათების შემოღებას. დღეს საქართველოს მაღალმთიანეთისა და მთლიანი საქართველოს მთავარი ეროვნული პრობლემა გახლავთ უმუშევრობა. სუსტი ეკონომიკის გამო, ჩვენ ძალიან ბევრი უმუშევარი გვყავს. უმუშევრობის დაძლევისთვის აუცილებელია,



მთაში სამეწარმეო საქმიანობაში შეღავათების შემოღება. საწარმოებმა უნდა გადაინაცვლონ საქართველოს რეგიონებში და შექმნან სამუშაო ადგილები, — განაცხადა ზაქარია ქუცნაშვილმა.

ზაქარია ქუცნაშვილმა შეაფასა უკრაინაში მიმდინარე პროცესები. მისი თქმით, რაც უკრაინაში ხდება, ფაქტობრივად, სამამულო ომია.

— უკრაინაში მიმდინარე პროცესები არ წარმოადგენს სამოქალაქო ომს, როგორც მას რუსები ნათლავენ. უკრაინაში სამამულო ომია, რადგან მასში ჩართული არიან უფრო მეტი უცხო ქვეყნის მოქალაქეები. უტყუარი ფაქტებით დადასტურებულია, რომ ამ ომში რუსეთის შეიარაღებული ფორმირებები მონაწილეობენ სეპარატისტების სასარგებლოდ. ამიტომ სწორი იყო საქართველოს მთავრობის პოზიცია, მხარდაჭერა რომ გაააქტიურა. რამდენიმე მინისტრი მიავლინა უკრაინაში. ახლა ვაპირებთ იმ ბავშვების დახმარებას, რომლებიც დონეცკისა და ლუგანსკის ოლქებში იძულებული გახდნენ ლტოლვილებად ქცეულიყვნენ, — ასეთია ზაქარია ქუცნაშვილის დამოკიდებულება უკრაინის მოვლენებისადმი.

ზაქარია ქუცნაშვილის აზრით, დიდი მოლოდინებია უელსის სამიტიდან გამომდინარე. თუმცა, არ შეიძლება ჩვენი მოქალაქეები, წარმატების სურვილიდან გამომდინარე, ალვჭურვოთ იმ იმედით, რომ ჩვენ დღეს და ხვალ გავხდებით ნატოს სრულუფლებიანი წევრი.

— კოლექტიური უსაფრთხოების სისტემის მომხმარებლად გახდომა დამოკიდებული იქნება რამდენიმეწლიან შრომასთან. უელსის სამიტის შედეგებიდან გამომდინარე, ჩვენ კიდევ წავიწიეთ წინ, მაგრამ, რა თქმა უნდა, ეს არ არის ნატოს სრულუფლებიანი წევრობა. აქედან გამომდინარე, ჩვენმა მოქალაქეებმა უნდა იცოდნენ, რომ ეს გრძელვადიანი პროცესია. კოლექტიური უსაფრთხოების სისტემის მომხმარებლად გახდომა არ მოხდება 2014-2015 წლებში. შესაბამისად, უკრაინის ომის შედეგები ბევრ პროცესს სხვანაირ განვითარებას მისცემს. ამიტომაც საქართველო ფხიზლად აკვირდება პროცესს. პროცესების განვითარება დიდწილად დამოკიდებული იქნება იმაზე, რამდენად გაიზრდება დასავლეთის მხარდაჭერა უკრაინის მიმართ. ფაქტია, რომ 2008 წლის აგვისტოს მოვლენებსა და 2014 წლის აგვისტოს მოვლენებს შორის, არის თვისობრივი განსხვავება. დასავლეთის მხარდაჭერა 2014 წლის აგვისტოს მოვლენების დროს ბევრად მეტია, ვიდრე 2008 წლის მოვლენებისა. ამას ვამბობ საქართველო-უკრაინის კონტექსტში. შესაბამისად, ვისურვებდი, მხარდაჭერა კიდევ უფრო გაზრდილიყოს, რადგან 2014 წლის აგვისტოს მოვლენებში დასავლეთის უკრაინისადმი მხარდაჭერაზე გადის, მათ შორის, საქართველოს პრობლემების გადაწყვეტაც. ამიტომაც დასავლეთის ერთსულოვანი პოზიცია რუსეთის მიმართ და მისი თანმიმდევრული პოლიტიკა, საბოლოო ჯამში, შედეგებს გამოიღებს. შედეგები იქნება, პირველ რიგში, უკრაინისა და, აქედან გამომდინარე, ჩვენს სასარგებლოდ, — იმედოვნებს ზაქარია ქუცნაშვილი.

***— ბატონო ზაქარია, თქვენ განაცხადეთ, რომ 2015 წელს ნატოში მიღებას არ უნდა ველოდოთ. ცხადია, ასე მალე არავინ ელოდება ალიანსში მიღებას, მაგრამ, თქვენი შეფასებით, უახლოეს 5 წელიწადში ამ სამხედრო-პოლიტიკური ორგანიზაციაში გაწევრიანების პერსპექტივა გვაქვს?***

— უახლოეს 5 წელიწადში ეს მიზანი შეიძლება მიღწეული იქნას, მაგრამ არა მიმდინარე და მომავალ წლებში. ჩვენ, ფაქტობრივად, არაფერი გაგვიკეთებია კოლექტიური უსაფრთხოების სისტემის შექმნისთვის. მათ შექმნეს ეს სისტემა. ჩვენ, უბრალოდ, უნდა გავწევრიანდეთ ამ ორგანიზაციაში და კოლექტიური უსაფრთხოების სისტემის მომხმარებელი გავხდეთ. ბუნებრივია, თანამედროვე მსოფლიოს, როგორი ჰუმანურიც უნდა იყოს, მაინც უყვარს ანგარიში და თვლა. ანგარიშით და თვლით თუ მივუდგებით ამ საქმეს, ჩვენ ნატოს კოლექტიური უსაფრთხოების სისტემაში არაფერი გაგვიკეთებია.

***— საუბარი ტექნოლოგიებსა და შეიარაღებაზეა?***

— აქ იგულისხმება სამეცნიერო, სამხედრო ტექნოლოგიები, შეიარაღება, სამხედრო ძალის რესურსი, გამოცდილება. ერთადერთი, საქართველო არის პარტნიორი ფიზიკური ძალით სხვადასხვა ოპერაციებში. მარტივად რომ ვთქვათ, ჩვენ ბიჭებს ვაგზავნით სხვადასხვა ომში. ეს არის ჩვენი კონტრიბუცია, ჩვენი წვლილი კოლექტიური უსაფრთხოების სისტემაში, მაგრამ სხვა ჩვენ ფინანსური, ტექნოლოგიური, შეიარაღების, ან კოსმოსური სისტემების შექმნაში არ შეგვაქვს. ამიტომაც, ბუნებრივია, არ უნდა გქონდეს მოლოდინი, რომ უცბად მოვიპოვებთ იმას, რაც არ შეგიქმნია. თუ ნატომ მიგვიღო მათი უსაფრთხოების სისტემის მონაწილეებად, იარაღსაც მოგვცემს და გამოყენებასაც გვასწავლის. ამიტომ მიზანი სწორია, მაგრამ ამ ამოცანის მიღწევა სხვა ამოცანების გადაწყვეტით ხდება.

***— რუსეთისაგან რა გველოდება, ნატოსთან ჩვენი კავშირები ჩრდილოეთიდან საფრთხეს ზრდის?***

— მიმდინარე წლის 26 აგვისტოს რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა, ფაქტობრივად, გაამჟღავნა რუსეთის ახალი საგარეო პოლიტიკური გეგმები, როცა მან პირდაპირ გამოაცხადა, რომ ერთპოლუსიანი მსოფლიოდან მრავალპოლუსიან სისტემაზე უნდა გადავიდეთ, სადაც წამმართველი არავინ იქნება. იქნება მრავალპოლუსიანი მსოფლიო, რომელიც იმართება გაეროს შემუშავებული სტანდარტებით. ეს არის რუსეთის გეგმა. ამდენად, 26 აგვისტოს რუსეთმა განაცხადა, რომ ერთპოლუსიანი მსოფლიო დასრულდა, ამერიკა ველარ იქნება ჰეგემონი სახელმწიფო. გვაქვს პრეტენზია, აშენდეს მრავალპოლუსიანი მსოფლიო. ეს იმას ნიშნავს, ამ რეგიონში რუსეთს უნდა იყოს ნომერ პირველი სახელმწიფო. ოღონდ, ამ რეგიონში ის მოიაზრებს პოსტსაბჭოთა სივრცეს ცოტა გაფართოებული სახით. რუსეთი იქამდეც მივიდა, რომ პუტინი ჩავიდა კუბაში და რამდენიმე ათეული მილიარდი დოლარი დავალიანება ჩამოაწერა. ამ შემთხვევაში კუბა არის პიარის ნაწილი, რომლითაც იზომება განსაკუთრებული ინტერესი, პუტინის მანიაკალური დამოკიდებულების გამო, პოსტსაბჭოთა სივრცის გავლენის ქვეშ მოქცევით. პუტინს მიაჩნია, რომ რუსეთი პირველი პოლუსია პოსტსაბჭოთა სივრცეში და არაფერი არ უნდა მოხდეს ამ სივრცეში მასთან შეთანხმების გარეშე.

***— ბატონო ზაქარია, დეპუტატები ქუთაისს ხომ არ ემშვიდობებით? როგორი მოგონებები მოგყვებათ ქუთაისიდან?***

— ქუთაისს არ ვემშვიდობებით. კონსტიტუციის ნორმაა, რომელიც ამბობს, რომ პარლამენტის ძირითადი ადგილსამყოფელია ქალაქი ქუთაისი. ეს ნორმა რჩება ძალაში. ეს ნიშნავს, პლენარული სხდომების ჩატარება მოგვიწევს ქალაქ ქუთაისში. უბრალოდ, საკომიტეტო მუშაობა გადმოინაცვლებს ქუთაისიდან თბილისში. ასე რომ, პარლამენტი ნაწილობრივ ბრუნდება თბილისში საკომიტეტო მუშაობის ნაწილში.

***— როგორც ვიცი, კანონპროექტი შეტანილია ცვლილებებისთვის, რომ პარლამენტი გადასახლებიდან მთლიანად თბილისში დაბრუნდეს.***

— კანონი მომზადებულია, საყოველთაო-სახალხო განხილვა ჩატარებულია. მინდა დაგარწმუნოთ, რომ საქართველოს მოსახლეობის 70-80 პროცენტი მხარს უჭერს სახელმწიფოს დედაქალაქში პარლამენტის გადმოტანას. ასეთია 70-80%-ის განწყობა, რაც დადასტურდა „აირაის“, „ენდეაისა“ და ქართული სოციოლოგიური ჯგუფების კვლევების შედეგად. პრინციპში ნაციონალების ის უაზრო გადაწყვეტილება, რაც მილიონები უჯდებათ ჩვენს მოქალაქეებს დამატებითი ხარჯების სახით, უნდა გასწორდეს. თბილისი არის საქართველოს სახელმწიფოს დედაქალაქი. შესაბამისად, სახელმწიფოს დედაქალაქში უნდა იყოს განთავსებული ყველა სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანო, მათ შორის, ისეთი, როგორიცაა პარლამენტი და მთავრობა.

***— საკონსტიტუციო სასამართლოსაც ხომ არ დააბრუნებთ ბათუმიდან?***

— საკონსტიტუციო სასამართლო არ გახლავთ პოლიტიკური ხელისუფლება. პოლიტიკური ხელისუფლება არის მთავრობა და პარლამენტი. საკონსტიტუციო სასამართლო აპოლიტიკური ხელისუფლებაა.

***— ბოლო დროს, მუდმივი საუბარია იმაზე, რომ კრიმინალი გაიზარდა. კრიმინალის გაზრდა შეგნებულად შეიძლება ხდებოდეს?***

— კრიმინალის ზრდას ადგილი არ აქვს სტატისტიკური მონაცემებით, მაგრამ სტატისტიკა არ შეიძლება იყოს ამ შემთხვევაში ამოსავალი წერტილი. ჩვენთვის ერთი ადამიანის მოკვლაც კი ძალიან ბევრია. ერთი ადამიანის დაკარგვაც კი ტრაგედიაა. ამიტომაც ჩვენ უნდა მივისწრაფოდეთ არა სტატისტიკის შენარჩუნებაზე, არამედ ვითარების ბევრად გაუმჯობესებაზე. არასწორია იმის თქმა, ერთხელ რომ ავაშენებთ ქვეყანას, დანაშაული აღარ იქნება. ყოველთვის მოხდება დანაშაული, ყოველთვის მოხდება ქურდობა. ჩვენ უნდა მივისწრაფოდეთ დანაშაულის შემცირებისაკენ. უბრალოდ, ნაციონალური მოძრაობას შევახსენებ, რომ თუ ახლა კრიმინოგენური მდგომარეობა ძალიან მძიმეა, ეს იმას ნიშნავს, მათი ხელისუფლებაში ყოფნის დროსაც კრიმინოგენური მდგომარეობა ძალიან მძიმე ყოფილა. სტატისტიკა ერთი ერთში ერთმანეთს ემთხვევა.

***— დანაშაულებს მალავდნენ?***

— დანაშაულს აღრიცხავდნენ-არაღრიცხავდნენ ეს მეორე საკითხია, მაგრამ გაშუქების პროცესი მკაცრად კონტროლირებადი იყო. შეგახსენებთ, მთელი სამსახური ჰქონდათ ჩამოყალიბებული ვიდეოპატრულის სახით, რომელიც ყველა დანაშაულის გაშუქებას ცენზურას უკეთებდა. ბუტა რობაქიძის საქმე მხოლოდ და მხოლოდ იმის გამო შეკერეს ისე უსამართლოდ, რომ პოლიციის პრესტიჟი და არაკრიმინოგენური მდგომარეობის ნამდვილობა დაეცვათ. მაშინ აკონტროლებდნენ ამ სფეროს. დღეს „რუსთავი-2-ით“ დაწყებული, საზოგადოებრივი მაუწყებლით დამთავრებული, მთელი თავისუფალი მედია აშუქებს პროცესებს. ასე არ იყო მაშინ. მიუხედავად იმისა, სტატისტიკური მონაცემებით ახლაც იგივე მონაცემია, ეს არ გვიბიძგებს, რომ ვითარების გაუმჯობესებაზე არ ვიმუშაოთ. თუ ახლა საშინელი კრიმინოგენური მდგომარეობაა, ეს იმას ნიშნავს, მაშინაც ცუდი მდგომარეობა ყოფილა, რადგან მონაცემები იგივეა.

***— ითქვა, რომ კრიმინალები ელოდებოდნენ სააკაშვილის ზარს, რათა ემოქმედათ.***

— სააკაშვილს ექნება კრიმინალებთან კავშირი თუ სხვას, ჩვენ ორივე შემთხვევაში ვართ პასუხისმგებელი.

***— შეიძლება სააკაშვილს კრიმინალებთან ჰქონდეს კავშირი?***

— სააკაშვილს იმდენი რამ ბრალდება და იმდენი რამ უმტკიცდება, რომ ეყოფა ის ცოდვები და დანაშაულობები, რაც მან ჩაიდინა ქართველი ხალხის წინაშე. ასე რომ, მე ამას სააკაშვილს არ დავუკავშირებდი.

## ირაკლი სესიაშვილი შსს-ს ორად გაყოფას არ გამორიცხავს

საქართველოს პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარე ირაკლი სესიაშვილი შინაგან საქმეთა სამინისტროს ორად გაყოფასა და უშიშროების სამსახურებისა და პოლიციის განცალკევებას არ გამორიცხავს.

მისი თქმით, საკითხი მსჯელობის საგანი ჯერჯერობით არ არის, მაგრამ არსებული რთული სისტემის პირობებში არ არის გამორიცხული, სამომავლოდ დღის წესრიგში მისი რეფორმირების საკითხი დადგეს.

შეგახსენებთ, რომ როგორც ამ საკითხზე ჟურნალისტებთან კონსტიტუციონალისტმა ჯონი ხეცურიანმა ჟურნალისტებს განუცხადა, ის კონსტიტუციაში იმ ნორმის დაბრუნების მიზანშეწონილობას ხედავს, რომელიც ძალოვანი უწყებების გაერთიანებას კრძალავდა.

მისი მოსაზრებით, ძალოვანი უწყებების ერთ ჭერქვეშ თავმოყრა მიზანშეწონილი არ არის, რადგან მომეტებულ საფრთხეს ქმნის. კონსტიტუციონალისტის თქმით, ძველი ამკრძალავი ნორმით, კონსტიტუციაში დაბრუნების საკითხი შესაძლოა, საკონსტიტუციო კომისიის ფარგლებში მსჯელობის საგნად იქცეს.

მედიანიუსი

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# მარგველაშვილი თუ ალასანია, რომელს აირჩევს ამერიკა?!

შორენა მარსაგიშვილი

ვისი დავალებით მოქმედებს გიორგი მარგველაშვილი, რატომ ვერაფერს უხერხებენ ირაკლი ღარიბაშვილს, როდის დაიწყება მოღალატეების გამოვლენა „ქართულ ოცნებაში", ვინ იყენებს სათავისოდ უელსის სამიტზე მიღწეულ შედეგს ამ თემებზე „ახალ თაობას" კავკასიელ ხალხთა კონფედერაციის თავმჯდომარე ზაალ კასრელიშვილი ესაუბრება.

**ზაალ კასრელიშვილი:**

– უელსის სამიტმა გამოაჩინა, რომ ყველაფერი ჩვენი ხელით არის გასაკეთებელი. თავად ჩვენ უნდა შევქმნათ უსაფრთხოების სისტემა. ძალიან კარგია, რომ გვეხმარებიან, მაგრამ არაფრით არ შეიძლება ნატოს დეკლარირებული მხარდაჭერა ირაკლი ალასანიამ თავის პიარისთვის გამოიყენოს.

***– რაში გამოიხატება, რომ ალასანია უელსის სამიტის შედეგს თავისი პიარისთვის იყენებს?***

– როგორ თუ რაში გამოიხატება? ააბოლა და დააბოლა მთელი ქვეყანა. აღარ შეიძლება ამის მოსმენა. თავიდან ამ თემას 3 კაცი იყენებდა პიარისთვის. ალასანიას გარდა ამ საქმეში აქტიურად ჩაერთვნენ გიორგი მარგველაშვილი და მაია ფანჯიკიძე. ბოლოს ყველას ალასანიას აჯობა და ახლა ამას თავისი რეიტინგის ასამაღლებლად იყენებს. ამ თემის გარშემო გადაჭარბებული აჟიოტაჟია შექმნილი.

***– ამბობთ, რომ ალასანიას რეიტინგის გაზრდა სურსო. ისედაც მაღალი რეიტინგი აქვს. ეს ენდიაის ბოლო კვლევებითაც გამოჩნდა.***

– ჩვენ არ გვჯერა, რომ მას 60% აქვს რეიტინგი. თუ მაინცდამაინც ვინმე დაიჩემებს, რომ აქვს ასეთი რეიტინგი, მას ვეტყვი, თავდაცვის მინისტრს ეს რეიტინგი აქვს 37 პროცენტში. ამომრჩევლის 63% არავის არ ცნობს, არც პოზიციას და არც ოპოზიციას.

***– თქვენ შესაძლოა არ გჯერათ ამ რეიტინგების, მაგრამ ენდიაის კვლევა მაინც მნიშვნელოვანია. ექსპერტები მიიჩნევენ, რომ რაკი ამერიკული ორგანიზაციის მიერ ჩატარებულ კვლევებში ალასანიამ ასეთი მაღალი რეიტინგი დაიკავა. ის გახდა კიდევაც ვაშინგტონის ახალი ფავორიტი. თქვენ ამაზე რას ფიქრობთ?***

– ჩვენ კარგა ხანია ვამბობთ, რომ ალასანია ამერიკელების ფავორიტია. ის მისაღებია ყველა იმ ძალისთვის, რომელიც აქამდე ნაცმოძრაობის პატრონაჟით იყო დაკავებული. არ დაგვავიწყდეს ისიც, რომ ნაცმოძრაობის მმართველობის ხანაში, ის საქართველოს ელჩი იყო გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში. ალასანიაზე აქცენტი ამერიკამ პირველად 2007 წელს გააკეთა. მაშინ საქართველო საპროტესტო აქციების ტალღამ მოიცვა. მიხეილ სააკაშვილს სერიოზული პრობლემები შეექმნა. მისი მდგომარეობა აგვისტოს ომის შემდეგ კიდევ უფრო დამძიმდა. სწორედ ამ დროს გადადგა ირაკლი ალასანია თანამდებობიდან. დაბრუნდა საქართველოში და წავიდა ოპოზიციაში. ეს ყველაფერი მან ამერიკელების მითითებით გააკეთა.

***– რაში აწყობდა ამერიკას ოპოზიციაში მყოფი ალასანია?***

– ამით ვაშინგტონმა თავი დაიზღვია, მიშა რომ გადაეგდოთ, მის ადგილს დღევანდელი თავდაცვის მინისტრი დაიკავებდა. მაშინაც მაღალი რეიტინგი ჰქონდა ალასანიას. მერე მისი გაპირველება გადაიფიქრეს.

***– რატომ გადაიფიქრეს, ბოლომდე ვერ მოიპოვა მათი ნდობა?***

– მაშინდელი ოპოზიციის ზოგიერთი სულგაყიდული ლიდერის წყალობით სააკაშვილმა თანამდებობა შეინარჩუნა. რაც მთავარია, მან ოპოზიციის ერთიანობაში ბზარები შეიტანა და პოზიციები გაიმყარა. სწორედ ამიტომ მოიხსნა დღის წესრიგიდან ალასანიას გაპირველება. ახლა ეს თემა ისევ აქტუალური გახდა. დანამდვილებით გეტყვით, რომ საბოლოო გადაწყვეტილება ჯერ მიღებული არ არის.

***– ეს რას ნიშნავს, ალასანიას ბოლომდე არ ენდობიან?***

– ნდობით ენდობიან, მაგრამ გადაწყვეტილებების მიღებისას არ ჩქარობენ. აქტიურად ეძებენ კაცს, რომელზეც ფსონი გაკეთდება. ისინი დარწმუნდნენ, რომ ნაცმოძრაობის და სააკაშვილის დაბრუნება შეუძლებელია.

***– შეუძლებელია ვითომ?***

– რაღაც შანსი არსებობს, მაგრამ მათ დაბრუნებას საქართველოში სამოქალაქო დაპირისპირება მოჰყვება. აგრესიული საერთაშორისო საგარეო პოლიტიკის ფონზე საქართველოში არეულობა დასავლეთისთვის წამგებიანია.

***– რატომ არის წამგებიანი?***

– საქართველოში სამოქალაქო დაპირისპირება რუსეთს ხელ-ფეხს გაუხსნის. ისინი თავის ზრახვებს და მიზნებს უპრობლემოდ განახორციელებენ მთელს კავკასიაში. ახლა მოსკოვისთვის მარტო საქართველოში შემოსვლა ძალიან წამგებიანია. თუ შემოვა საქართველოში და აზერბაიჯანში ერთად უნდა შემოვიდეს. სომხეთში უკვე შესულია, იქ იმხელა სამხედრო ბაზა აქვს ნატოსაც რომ არ დაესიზმრება. არეულობის თავიდან აცილების მიზნით დასავლეთი საქართველოს ხელისუფლებაში ნაციონალების დაბრუნებას არ დაუშვებს. ისინი ახალ დასაყრდენს ეძებენ.

***– რატომ არ შეძლება მათი დასაყრდენიო გიორგი მარგველაშვილი გახდეს, ან ირაკლი ღარიბაშვილს რას უწუნებენ?***

– მოდით, ჯერ მარგველაშვილზე მოგახსენიებთ. ის დასაყრდენად მოიაზრება. ისევე როგორც რამდენიმე არასაპარლამენტო და საპარლამენტო პარტიის ლიდერი. მარგველაშვილმა, როგორც ლიდერმა, თავი კარგად ვერ წარმოაჩინა. ის დასავლეთისთვის კარგი საკონტაქტო პირია, რომელთანაც საუბარი სასიამოვნოა. ის უპრეტენზიო ადამიანია, რომელსაც საიდუმლოებს არ ეტყვიან. მაგრამ რა დავალებასაც მისცემენ, იმას შეასრულებს. ყველაფრის მიუხედავად, ის ფეისი არ არის.



***– რას ნიშნავს ფეისი არ არის? აკი კარგი საკონტაქტო პირია და დავალებებსაც კარგად შეასრულებსო.***

– ყოველშემთხვევაში, მარგველაშვილი არ არის ის სახე, რომელიც საქართველოს მოსახლეობასთან შეიძლება გაუშვა სალაპარაკოდ. ამიტომაც ჩააწყნარეს მის გარშემო ატეხილი აჟიოტაჟი. ახლა ისევ ალასანიაზე გადაიტანეს ყურადღება. ჩვენ არც იმას გამოვრიცხავთ, რომ მარგველაშვილის თემა შეგნებულად გააპიარეს.

***– ამით რისი მიღწევა სურდათ?***

– რისი და ალასანია ოპონენტების თავდასხმებისგან დაიცვეს. გააქტიურეს მისი თემა და მთელი რისხვა მისკენ წავიდა. ალასანია კი ამ დროს ჩრდილში იყო.

***– თქვენ ფიქრობთ, რომ ბოლო დროს რა ქარიშხალიც მარგველაშვილის გარშემო დატრიალდა, გარედან იყო მართული?***

– ჩვენ კი არ გვგონია, ჩვენ დარწმუნებული ვართ. 1999 წლის შემდეგ საქართველოში დამოუკიდებლად პოლიტიკას ვერავინ ვერ აკეთებს. იქიდან მოყოლებული ყველა პოლიტიკური ორგანიზაცია რომელიმე ქვეყნის სპეცსამსახურების პატრონაჟის ქვეშ იმყოფება.

***– გიორგი მარგველაშვილის კანდიდატურა პრეზიდენტის პოსტზე ბიძინა ივანიშვილმა წარადგინა და აქტიურად უჭერდა მხარს. მანაც ვიღაცის დავალებით გააკეთა ეს?***

– პირდაპირ გეტყვით, ივანიშვილს მარგველაშვილი „შეუგდეს". გამუდმებით ვიმეორებ რომ „ქართულ ოცნებაში" გუგულის კვერცხები არიან. ეს კვერცხები ნელ-ნელა დაიჩეკებიან. ახლა ხომ აირია სიტუაცია, მაგრამ ყველა რომ გამოიჩეკება მერე ნახეთ, რა ამბები დატრიალდება.



***– ახლა ირაკლი ღარიბაშვილზე ვისაუბროთ. მისი პერსონა რატომ არ არის მისაღები დასავლეთისთვის?***

– ირაკლი ღარიბაშვილი არის ძალიან კარგი პრემიერი და უწესიერესი ადამიანი. ის დილიდან საღამომდე მუშაობს და აკეთებს საქმეს. აქვე ჩამოვთვლი იმ ადამიანებს, რომლებიც საქმეს აკეთებენ. ესენი არიან: ირაკლი ღარიბაშვილი, დავით სერგეენკო და ზურაბ აბაშიძე.

***– რომელი ზურაბ აბაშიძე, დეპუტატი თუ პრემიერის მრჩეველი?***

– პრემიერის მრჩეველ ზურაბ აბაშიძეზე მოგახსენებთ. მაგ კაცმა რომ შედეგები დადო, ეგეთი 1994 წლიდან მოყოლებული დღემდე არ დადებულა. ასეთი რამ რუსეთთან ურთიერთობაში ჯერ არ ყოფილა. პრობლემა არ გადაჭრილა, მაგრამ შედეგი დიდია. ასევე კარგად მუშაობენ ქართული სპეცსამსახურები. როგორც იქნა, საქართველოს ეღირსა კვალიფიციური სპეცსამსახურები. მათზე ჩვენი მეზობელი ქვეყნების წარმომადგენლები პატივისცემით საუბრობენ.

***– მათი კარგი მუშაობა რაში გამოიხატება?***

– დავიწყოთ იმით, რომ მათ მიმართ პატივისცემას გამოხატავენ და სიფრთხილეს იჩენენ. კონტრაბანდისტები და ნარკომოვაჭრეები აქეთ გამოვლას რომ ვერ ბედავენ, ეს უკვე დიდი მიღწევაა. აქაურობას ვერც იარაღით მოვაჭრეები ეკარებიან. ეს მედლის ერთი მხარეა. მაგრამ არის მეორე მხარეც. ღარიბაშვილზე ხომ ვსაუბრობდით და მისი პიარი რატომღაც სათანადოდ არ მუშაობს. რასაც აკეთებს იმასაც არ უპიარებენ. თავად პრემიერი მოსახლეობას არ ხვდება. კარგად მესმის, რომ ბევრი საქმე აქვს მაგრამ შეხვედრებისთვის აუცილებლად უნდა მოიცალოს. ჩვენს მოსახლეობას ძალიან სიამოვნებს როცა ქვეყნის პირველი პირები ხვდებიან და პირადად ესაუბრებიან. ასევე აქტიურად უნდა შეხვდეს მედიას. ეს შეხვედრები უნდა იყოს გულწრფელი. ეს კაცი ისედაც გულწრფელია, ოღონდ მისი კარგი თვისებები სისტემაშია მოსაყვანი. ვიღაცა ამაზე არ მუშაობს და ის ვიღაცა ასე შეგნებულად იქცევა.

***– ამის გამოა ის მიუღებელი დასავლეთისთვის?***

– მე არ მითქვამს რომ ის მიუღებელია.

***– არც ის გითქვამთ რომ მისაღებია.***

– მისაღები ნამდვილად არ არის.

***– რატომ არ არის მერე მისაღები? ამბობთ, წესიერიაო.***

– ჰოდა, სწორედ მაგაშია პრობლემა. ამ ადამიანზე კომპრომატები არა აქვთ და თავის ჭკუაზე ვერ ატრიალებენ. ამას რომ თავი დავანებოთ, კაცი ხმამაღლა იძახის, რომ მისი მიზანი ქართული სახელმწიფოს აშენებაა. ქართული სახელმწიფოს აშენება ყველა ჩვენგანის ოცნებაა. ჩვენი მეზობლები და პარტნიორები ამ თემას სხვანაირად უყურებენ.

***– თქვენ ფიქრობთ, რომ გარე ძალებს ქართული სახელმწიფოს აშენება არ სურთ?***

– ქართული სახელმწიფოს აშენება რომ ეფიქრათ, ზვიად გამსახურდიას კი არ მოაკვლევინებდნენ. ქართული სახელმწიფოს აშენება არც რუსს უნდა, არც ამერიკელს, არც თურქს და არც სხვა ქვეყნების სპეცსამსახურებს. ირაკლი ღარიბაშვილი ამიტომ არ არის მათთვის მისაღები ფიგურა. რაკი მასზე კომპრომატები არა აქვთ და არც მას გადაუხვევია დემოკრატიული კურსიდან მას პირდაპირ ვერ უპირისპირდებიან. მის წინააღმდეგ თავის გამოზრდილ ხალხს იყენებენ, რომლებიც კომპრომატებით ჰყავთ დაჭერილი. 1992 წელს ერთხელ უკვე გავილაშქრეთ ქართული სახელმწიფოს იდეის წინააღმდეგ და მეორედ ეს არ უნდა განმეორდეს.

***– 1992 წლის ამბების ერთ-ერთი მთავარი შემოქმედი იყო თენგიზ კიტოვანი. მას გიორგი მარგველაშვილმა მოქალაქეობა ჩამოართვა. ამით რისი დამტკიცება სურს პრეზიდენტს?***

– მარგველაშვილს და ირაკლი ალასანიას არა აქვთ მიზანი და პოლიტიკური კრედო. ეს კრედო არც ნაცმოძრაობას ჰქონია და არც მოქალაქეთა კავშირს. მათ გარეთ კავშირები კარგად აქვთ დალაგებული. ამ კავშირების წყალობით აპიარებენ თავს. მაგრამ მასასთან ხომ უნდა ილაპარაკონ? მოსახლეობას არც ერთი მათგანი გულზე დიდად არ ეხატება. ეს თავადაც მშვენივრად უწყიან. ამიტომაც მოიფიქრეს თემა, რომლითაც მასაში გავლენ.

***– რა თემაა ეს, ბატონო ზაალ?***

– ქართველი ხალხის ერთიანობა. საქართველო ერთ მუშტად უნდა შეიკრას და კმარა დაქსაქსულობა.

***– ისე, იდეა მშვენიერია.***

– მშვენიერი და გადასარევია. თუ ასე მოხდა, ამას არაფერი აჯობებს, მაგრამ ეგ ხალხი გულწრფელი არ არის. სააკაშვილი ხშირად ხმარობდა სიტყვა ღირსებას და უღირსად ცხოვრობდა. ერთიანობის იდეა მარგველაშვილ-ალასანიასთვის წინასაარჩევნო კამპანიის ასაგორებელი თემაა და მეტი არაფერი.

***– კიტოვანისთვის მოქალაქეობის წართმევა ამ ყველაფერთან რა კავშირშია?***

– პირდაპირ კავშირშია. ისინი ეროვნული ცნობიერების მოსახლეობაზე შთაბეჭდილების მოხდენას ცდილობენ. თავის დროზე, ერთიც და მეორეც გამსახურდიას ხელისუფლების წინააღმდეგ მიდიოდნენ. კიტოვანს მოქალაქეობა ჩამოართვეს, კახა თარგამაძე საქართველოში არ ჩამოუშვეს ამით ეროვნული ცნობიერების მქონე ელექტორატზე იმუშავეს.

***– შემდეგი ნაბიჯი რა იქნება?***

– არ გამიკვირდება ე.წ. ზვიადისტებს და ეროვნული ხელისუფლების წარმომადგენლებს შეხვდნენ. ოღონდ მათ მთავარი ავიწყდებათ.

***– რა არის ეს მთავარი?***

– ქართული სახელმწიფოს მშენებლობა კავკასიის ერთიანობის თემისგან განუყოფელია. ეს თემა და კავკასიური უსაფრთხოების საკითხები ჩვენს ხელშია.

***– როცა ამბობთ, ჩვენს ხელშიაო, ორგანიზაცია კავკასიელ ხალხთა კონფედერაციას გულისხმობთ?***

–დიახ, კავკასიელ ხალხთა კონფედერაციას ვგულისხმობ. ვიმეორებ, რომ ეს საკითხები ჩვენს ხელშია. ჩვენ კი მარგველაშვილის და ალასანიას ნდობა არა გვაქვს.

***– აბა, ვის ენდობით, ღარიბაშვილს?***

– დიახ. ჩვენ ვენდობით ამ წესიერ ადამიანს.

***– რაკი ენდობით, მხარსაც უჭერთ ალბათ?***

– ჩვენ მხარს ვუჭერდით, მხარს ვუჭერთ და მომავალშიც დავუჭერთ მხარს. საამისოდ სერიოზული მოტივი გვაქვს.

***– ეს მოტივი ქართული სახელმწიფოს მშენებლობის იდეაა?***

– არა მარტო ეგ. ის განათლებული, წესიერი და მონდომებული ახალგაზრდაა. რაც მთავარია, ის არც ერთი ქვეყნის სპეცსამსახურების ნდობით აღჭურვილი არ არის. ის არც ბინძურ კომბინაციებშია გახლართული. მოკლედ რომ გითხრათ, სუფთა კაცია. ასეთი სუფთა პრემიერი საქართველოს არც ჰყოლია.

***– არც ბიძინა ივანიშვილი?***

– ივანიშვილიც სუფთა კაცია. ის ბიზნესმენია და ამიტომ წავიდა პოლიტიკიდან.

***– თქვენ ამბობთ, რომ ისიც სუფთა იყო. თუმცა ბოროტი ხმები ამბობენ, რომ მას სპეცსამსახურებთან ჰქონდა კავშირი.***

– მერე სად არის ამ კავშირების დამადასტურებელი მასალები. მთელი ეს პერიოდი ამტკიცებდნენ, რომ ის პოლიტიკაში რუსეთის სპეცსამსახურებმა მოიყვანეს. ივანიშვილი ვინმეს მარიონეტი რომ ყოფილიყო, ასეთ გადაწყვეტილებებს არ მიიღებდა.

***– რა გადაწყვეტილებაზე საუბრობთ?***

– მან თავის მემკვიდრედ დატოვა წესიერი და გაუსვრელი ირაკლი ღარიბაშვილი. სპეცსამსახურების ინტერესებში საქართველოს პრემიერის პოსტზე ასეთი კაცის ყოფნა მისაღები არ არის. ივანიშვილი რომ მათი კაცი ყოფილიყო, მათთვის სასურველი პიროვნებას დაასმევინებდნენ მთავრობის მეთაურის პოსტზე.

***– ზემოთ თქვენ თქვით, რომ „ქართულ ოცნებაში" გუგულის კვერცხები დაიჩეკებიანო. როდის დაიწყება ეს პროცესი?***

– უკვე დაწყებულია. ცოტა ხნის წინ თქვენ გაზეთთან საუბარში ვთქვი, რომ სექტემბერ-ოქტომბერში საქართველოში საინტერესო პროცესები დაიწყება. ძალიან მძიმე 2015 წელი გველოდება.

***– რა კუთხით იქნება მძიმე?***

– რთული იქნება როგორც გარე პოლიტიკის, ასევე შიდა პოლიტიკის თვალსაზრისით. პოლიტიკურად ცხელი ზამთარი და შემოდგომა გველოდება. ამერიკა ტყუილად გაირჯება ალასანიას მხარდასაჭერად და ტყუილად ჰგონია ეგ კაცი თავისი. მე ვიცი ის რუსი გენერალი, რომელიც წლებია მას მფარველობს.

***– არ დაასახელებთ ამ გენერლის ვინაობას?***

– ცხადია არა. მხოლოდ იმას გეტყვით, რომ ის დღესაც მუშაობს რუსეთის სპეცსამსახურებში.

***– ამერიკელებმა ეს არ იციან?***

– უნდა იცოდნენ.

**სამკურნალო-სარეაბილიტაციო მასაჟი**

სერტიფიცირებული და სტაჟიანი მასაჟისტი გთავაზობთ სამკურნალო და გამაჯანსაღებელ მასაჟს. ოსტეოქონდროზის, ძვალსახსროვანი დაავადებების, ნევრიტების, პოსტტრავმულისარეაბილიტაციო, მყესის დაჭიმულობის, კუნთის გათიშვის და ინსულტის შემდგომი პერიოდის მასაჟს. ჩვილ ბავშვთა და მოზარდთა მასაჟს: ბრტყელი ტერფი, დისპლაზია, ხერხემლის დეფორმაციები, პარეზი, კისერმრუდობა, რაქიტული და სიმაღლეში ზრდის სპეციალურ მასაჟს ვარჯიშებთან ერთად. აგრეთვე კოსმეტიკურ, გასახდომ და ცელულიტის დამშლელ მასაჟს თაფლით და ვაკუუმით. საუკეთესო შედეგებით.

☎ 555-02-32-08. ქალბატონი ფიქრია

# მამუკა არეშიძე: „ქვეყანაში რას ხდება, შსს-ს ბრალი არ არის“

## წამლების რეცეპტებით გაცემა პირველ ოქტომბერს რომ განეხორციელებინათ, დააყრიდათ ტანზე თუ რა მოხდებოდა?!

ნონა ცაბაძე

### ინტერვიუ ექსპერტ კავკასიის საკითხებში მამუკა არეშიძესთან

***– ბატონო მამუკა, ნატოს სამიტის შეფასებით დავიწყოთ ჩვენი ინტერვიუ, რადგან გასული კვირის მთავარი თემა იყო. საზოგადოებას ჰქონდა მოლოდინი მაპის, ან მაპზე უკეთესის მაინც... რა მიიღო საქართველომ ამ სამიტიდან?***

– იცით რაშია საქმე? მე მინდა, რომ ვიყო ძალიან გასაგები და მკაფიო. ჩემთვის მისაღებია ნატოსთან ურთიერთობის მხოლოდ ის ფორმა, რომელიც საქართველოს დაცულობის გარანტია, თანაც მაქსიმალური დაცულობის. მაქსიმალურ დაცულობაში ვგულისხმობ, საქართველოზე, მეზობელი ან სხვა რომელი ქვეყნის თავდასხმის შემთხვევაში, ქვეყანათა ჯგუფი დადგება საქართველოს სამხედრო დაცვის რეჟიმში. აი, ასეთი ხელშეკრულება და ასეთი დოკუმენტია ჩემთვის მისაღები. სხვა ყველაფერი, გინდა მაპი, გინდა ახლანდელი დოკუმენტი, რომელიც გულისხმობს საქართველოსთან განსაკუთრებულ ურთიერთობებს, ჩემთვის დამაკმაყოფილებელი არ არის. მე არ ვამბობ, რომ მიუღებელია, ბუნებრივია, მიუღებელი არ იქნება, მაგრამ დამაკმაყოფილებელი ნამდვილად არ არის. იმიტომ, რომ თუ ვინმემ არ იცის, შევახსენებ, ჩვენ ვიმყოფებით, რბილად რომ ვთქვათ, შეუწყვეტელი ომის რეჟიმში, რუსეთთან. ჩვენ რუსეთთან ომი, დოკუმენტებით და მდგომარეობითაც, დამთავრებული არა გვაქვს. ცუდია ეს თუ კარგია, ფაქტი ასეთია. აქედან გამომდინარე, ჩვენთვის მისაღებია, მხოლოდ იმ ტიპის დოკუმენტი, რომელიც მაქსიმალურ თუ აბსოლუტურს არა, დაცვას გულისხმობს საქართველოსი.

***– მოვისმინეთ სხვადასხვა ექსპერტის შეფასებები, რომ ამ ეტაპზე მაპის მოცემა არ იქნებოდა სწორი, ეს პირდაპირ მგლის ხახაში ჩაგვაგდებდაო...***

– ვინმეს თუ ჰგონია, რომ ეს ურთიერთობები არ გვაგდებს მგლის ხახაში და ვინმეს თუ ჰგონია, რომ იმ დოკუმენტით, რომელიც ჩვენ მივიღეთ, ნაკლები საფრთხე გველის, ძალიან ცდება. იმიტომ, რომ ამ დოკუმენტების მიხედვით, რომელიც ჩვენ მივიღეთ, ვიღებთ სამხედრო დახმარების ბევრად უფრო ფართო სპექტრს დასავლეთისაგან, პლუს ვიღებთ ბაზას, საქართველოს ტერიტორიაზე და გარდა ამისა, იქმნება გარკვეული სისტემები საქართველოს ტერიტორიაზე, რომელიც მოსკოვის გაგებით, მისთვის საფრთხეს წარმოადგენს. ოფიციალური მოსკოვის გაგებით. რაც შეეხება იმას, რომ მაპს მივიღებდით თუ არ მივიღებდით, კი, გასაგებია, რადგან მსოფლიო საზოგადოებისთვის, მათ შორის რუსეთის საზოგადოებისთვის, ეს ტერმინი ერთი შეხედვით ხიფათის შემცველია. ამიტომ შეარჩიეს ერთი შეხედვით უფრო განზოგადებული მიდგომა, განზოგადებული დოკუმენტი, რომელიც ის არის, რაც მივიღეთ.

***– მერედა, რას ცვლის ეს დოკუმენტი?***

– საქმეც მაგაშია, რომ ეს მდგომარეობას არ ცვლის, მდგომარეობას შეიძლება ცვლის პროპაგანდისტული თვალსაზრისით, თორემ თვითონ დოკუმენტის არსის თვალსაზრისით მოსკოვშიც ძალიან კარგად იციან, რა ტიპის დოკუმენტიც მივიღეთ.

***– რატომ არ არის მწვავე რეაქცია რუსეთისაგან?***

– რუსეთისგან მწვავე რეაქცია არ არის, სხვათა შორის, ძალიან საინტერესო ფაქტის გამო. მოდით, ცოტა უკან დავიხევ და ჯერ სხვა რამეს ვიტყვი, როდესაც მე ვამბობდი, რომ თავშეკავება მართებს საქართველოს ხელისუფლებას და რომ საქართველოს ხელისუფლების დღევანდელი კურსი თავშეკავებისა, სწორია და ეს საქართველოს დაცვაზეა ორიენტირებული, მე მაშინ სამშობლოს მოღალატეს და რას არ მეძახდნენ. ახლა ჩამოდის ამერიკის თავდაცვის მინისტრი და ზუსტად იგივეს იმეორებს – რომ დასავლეთი მიესალმება საქართველოს ხელისუფლების თავშეკავებულობას. საქმე ის არის, რომ პროპაგანდისტული დემარშები, სხვადასხვა ქვეყნის, მათ შორის, პოსტსაბჭოთა ქვეყნის ხელმძღვანელობისა, რუსეთზე ხშირ შემთხვევაში ბევრად უფრო უარყოფითად მოქმედებს, ღია დემარშები, ვიდრე ესა თუ ის დოკუმენტი. ეს



რამდენადაც პარადოქსულად არ უნდა ჟღერდეს. მაგალითისთვის ავიღოთ ყაზახეთის და აზერბაიჯანის მდგომარეობა, ჩვენ ვიცით, რომ აზერბაიჯანის ხელისუფლება მაქსიმალურად თავშეკავებულია ნებისმიერ პროცესებში, რომელიც უშუალოდ მას არ ეხება, მაგრამ ხდება პოსტსაბჭოთა სივრცეში. აი, როდესაც მან მხარი დაუჭირა ღიად უკრაინის ტერიტორიულ მთლიანობას, იმ წუთში გამოიწვია განსაკუთრებული აგრესია მოსკოვის მხრიდან. როცა მოსკოვში ძალიან კარგად ესმით, რომ აზერბაიჯანი ამ ნაბიჯის, ამ სატრიბუნო განცხადების გარდა, სხვა არაფრის გამკეთებელი არ არის. თუმცა მწვავე რეაქცია სწორედ ამან გამოიწვია. იგივე ყაზახეთის შემთხვევაში, ყაზახეთმა, როგორც კი მაღალი ტრიბუნიდან რამდენიმე ორჭოფული განცხადება გააკეთა, იმ წუთში განაცხადა პუტინმა, რომ ყაზახეთი არასოდეს არ ყოფილა სახელმწიფო. მე ამით ის მინდა ვთქვა, რომ ხშირ შემთხვევაში, ჩემთვის ცოტა გაუგებარია მათი რეაქციები.

***– განცხადებებზე რეაგირებენ?***

– დიახ, ცარიელ, პროპაგანდისტულ განცხადებებზე უფრო რეაგირებენ, ვიდრე ამა თუ იმ დოკუმენტზე. იგივე მოხდა საქართველოს შემთხვევაში. რასაკვირველია, მოსკოვი აუცილებლად მოახდენს რეაგირებას გარკვეული ზონდაჟით, გარკვეული კულუარული საკითხების გარკვევის შემდეგ. დღეს მდგომარეობა ასეთია, საქართველოს ხელისუფლება მაქსიმალურად თავშეკავებული იყო მთელი იმ პროცესების მიმართ, რომელიც ხდებოდა პოსტსაბჭოთა სივრცეში და აქედან გამომდინარე, მიუხედავად იმისა, რომ სხვა ტიპის დივიდენდები მიიღო და ბევრად უფრო მეტი დივიდენდები მიიღო, ვიდრე ვთქვათ, ამას ოპოზიცია ელოდებოდა, ერთი შეხედვით მოსკოვს განსაკუთრებული რეაქცია ამაზე არ აქვს. პლუს ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა ასეთი ეპითეტით ამკობს დღევანდელ ხელისუფლებას. პარადოქსალურია, მაგრამ ეს არის პოლიტიკა. ჩვენ წლების განმავლობაში, საკუთარ თავზე ვატარებდით ექსპერიმენტს, ჩვენ გვინდოდა ყველაზე მაგრები ვყოფილიყავით, ჩვენ გვინდოდა რომის პაპზე უკეთესი კათოლიკე ვყოფილიყავით, ჩვენ გვინდოდა ყველასთვის სამაგალითო ვყოფილიყავით... კი, სხვები სწავლობდნენ ჩვენს მაგალითზე, განსაკუთრებით ჩვენს შეცდომებზე. რომ ვერ ისწავლეს ეს სხვა არის, განსაკუთრებით უკრაინამ დაგვარწმუნა, რომ ჩვენს შეცდომებზე მათ ვერ ისწავლეს. ჩვენს შეცდომებზე სხვები სწავლობდნენ და ამ დროს ჩვენი ქვეყანა ინგრეოდა. ხომ უნდა მოხდეს ერთხელ მაინც ისე, რომ ახლა სხვამ მიიღოს მთავარი დარტყმა და ჩვენ შევინარჩუნოთ ის, რაც დაგვრჩა. მიუხედავად იმისა, რომ მე გულით და სულით ვარ უკრაინელი ხალხის მხარეზე, მიუხედავად იმისა, რომ ჩემი ბევრი ახლობელი, ბევრი ნაცნობი, დღეს იბრძვის უკრაინაში, უკრაინელი ხალხის მხარეს, მიუხედავად იმისა, რომ მე თვითონ ადამიანების ჯგუფიც გავაგზავნე დომბასშიაც, მიუხედავად იმისა, რომ ჟურნალისტიკას ჩამოვშორდი, ეს გავლენები ჯერ კიდევ მაქვს, მიუხედავად ამისა, მაინც ვთვლი, რომ თავშეკავებულობა ყველაზე სწორი პოზიცია იყო დღეს საქართველოს ხელისუფლების.

***– რამდენად ხედავთ იმის საფრთხეს, რომ მოხდეს ჩვენი ამ ომში ჩათრევა?***

– ჩათრევაზე ლაპარაკი ნაადრევია, მაგრამ უკრაინაში ომი არ დამთავრებულა ნამდვილად, იმიტომ, რომ მე არ მჯერა იმ ხელშეკრულებისა, რომელიც დაიდო, მინსკის ხელშეკრულებას ვგულისხმობ, ღმერთმა ქნას, რომ შესრულდეს. ის არ არის უკრაინისთვის განსაკუთრებული წამგებიანი ხელშეკრულება, მაგრამ მე რუსეთთან დადებული ხელშეკრულებისა არ მჯერა. მე მახსენდება აფხაზეთში დადებული ხელშეკრულება, როდესაც ჩვენ დაგვაშორიშორეს, მძიმე იარაღი გაგვატანინეს საბრძოლო პოზიციებიდან და შემდეგ გაიმეორეს დარტყმა. პრაქტიკულად სოხუმი მაშინ დავკარგეთ. ამიტომ არ მჯერა ამ ხელშეკრულებებისა, მით უმეტეს, გავიგე, რომ გუშინ ღამე მარიოპოლი დაუბომბავთ. აქედან გამომდინარე, მე არ ვფიქრობ, რომ ეს ომი დამთავრებულია, მაგრამ რაც შეეხება ჩათრევას, არა მგონია, რომ ეს ჩათრევა მოხდეს უახლოეს მომავალში, იმიტომ, რომ გეოპოლიტიკური სურათი მკვეთრად შეიცვალა, აქცენტები გადავიდა სხვა მიმართულებით. აქცენტები გადავიდა ჩვენგან ჩრდილოეთით-აქ უკრაინა იგულისხმება და ჩვენგან სამხრეთით – იგულისხმება ერაყი. თუ ყარაბახის კონფლიქტის განახლება არ მოხდა უახლოეს მომავალში და ეჭვი მეპარება, რომ მოხდეს, სხვა შემთხვევაში, არა მგონია, რომ ჩვენ განსაკუთრებული დარტყმის ქვეშ აღმოვჩნდეთ.

***– ამ მდგომარეობაში მყოფი რუსეთი ჩვენთვის სახიფათო არ არის?***

– დღეს არ არის, თორემ ისე, რუსეთი ყოველთვის არის სახიფათო, მაგრამ ხიფათის აქტიობა შემცირდა. თუმცა არ არის მოხსნილი, ეს საფრთხე მუდმივად არსებობს. რუსეთმა ვერ მიაღწია თავის საბოლოო მიზანს, მაგრამ სანახევროდ თავისი მაინც გაიტანა. დასავლეთმაც ვერ მიაღწია თავის საბოლოო მიზანს, იმანაც სანახევროდ გაიტანა. მოკლედ, თუ ომი არ გაგრძელდა, დღეს არის პარიტეტული მდგომარეობა. თუმცა უნდა ითქვას, რომ რუსეთი დამარცხებული არ არის, ამავდროულად, არც დასავლეთია გამარჯვებული და პარიტეტი ამას ნიშნავს ზუსტად. უამრავი ხალხი დახოცეს, უზარმაზარი რეგიონი, საქართველოზე სამჯერ მეტი რეგიონი დაანგრიეს, ჯერ კიდევ გაურკვეველი სიტუაციაა და მოგებული არც ერთი არ არის. წაგებულია უკრაინელი ხალხი და უკრაინის სახელმწიფო. უფრო ხანგრძლივი პერსპექტივის თვალსაზრისით რომ ვილაპარაკოთ, შემიძლია გითხრათ, რომ, რასაკვირველია, ის სანქციები, რომელიც რუსეთის წინააღმდეგ არის შემოღებული, თუ არ მოიხსნა უახლოეს ხანში, ნელ-ნელა რუსეთისთვის სავალალო იქნება. გარდა მაგისა, რუსეთმა გაიჩინა სერიოზული მტერი, ისეთი მტერი, როგორიც არის უკრაინელი ხალხი და უახლოესი ათწლეულები ეს მტრობა არავითარ შემთხვევაში არ ჩაცხრება და აქედან გამომდინარე, სერიოზული პრობლემები შეექმნა რუსეთს, მაგრამ ასეთივე პრობლემები აქვს დანარჩენ მსოფლიოსაც, განსაკუთრებით ევროპას. დღეს კიდევ ახალი პრობლემა მოდის, რომელიც ბევრად უფრო სახიფათო და ბევრად უფრო სერიოზული, რადგან ეს არის ის, რაც იწინასწარმეტყველეს ჯერ კიდევ 50-იან წლებში ძალიან ცნობილმა ამერიკელმა პოლიტოლოგებმა და რაც ნიშნავს ცივილიზაციას და ომს. მე ვფიქრობ, რომ დღეს ეს ხიფათი მოდის სამხრეთიდან და ეს ხიფათი ყველა ცივილიზებული სამყაროსთვის არის ერთიანი.

***– ასევე შიდა პოლიტიკურ პროცესებსაც შევეხოთ, საზოგადოების გულისწყრომა დიდია ამ კრიმინოგენური ვითარების სიმწვავის გამო. თქვენ რას ფიქრობთ შექმნილ ვითარებაზე?***

– ახლა, ერთი მხარე ხელისუფლებას ედავება, რომ არიქა, კრიმინოგენური სიტუაცია ამნისტიის ბრალიაო და მეორე მხარე ამბობს, ეს ყველაფერი იმის გამოა, რომ ჩვენ სიმართლეს ვლაპარაკობთ და ასეთი სტატისტიკა იყო წინა ხელისუფლების დროსო. ჩემი აზრით, არც ერთია მართალი და არც მეორე. რასაკვირველია, მაშინ სტატისტიკა ისე იცვლებოდა, როგორც უნდოდათ და ახლა, ჯერ ერთი, ძალიან ბევრი არაპროფესიონალია სამართალდამცავთა რიგებში, მეორე, დისციპლინა წამოიჭრა და მესამე – შინაგან საქმეთა სამინისტროში მეხუთე კოლონა არსებობს ძალიან სერიოზული, რომელიც სიტუაციას ძალიან სერიოზულად და შეგნებულად ურევს. მე ის მინდა გითხრათ, რომ საქართველოში არ არის ისეთი კრიმინოგენური მდგომარეობა, რომ ვერ შეძლო სიტუაცია ხელში დაიჭირო. დღეს უფრო მეტია საზოგადოებრივი აჟიოტაჟი და ისტერიკა, ვიდრე რეალურად კრიმინოგენური ფონი. მძიმე კრიმინალური ფონი გვახსოვს ჩვენ, რა იყო 90-იან წლებში. ეს ცუდი კრიმინალური ფონი მხოლოდ კრიმინალისტების და პოლიციის სამუშაო არ არის.

***– სხვას ვის ევალება ამ კუთხით მუშაობა?***

– ეს არის იმის ნიშანი, რომ საზოგადოების რეგრადაცია ხდება, რომ საზოგადოებას არა აქვს სწორი ორიენტირები, რომ საზოგადოებას არა აქვს ეროვნული იდეა. საგანმანათლებლო სისტემა არის ძალიან ცუდ მდგომარეობაში. ეს არის მთელი სისტემა და ეს მხოლოდ კრიმინალისტების ბრალი არ არის. ეს არის საზოგადოების, განათლების სისტემის და რა ვიცი, ერთად ყველას ბრალია. იმიტომ, რომ ფასეულობების დევალვაცია ხდება წარმოუდგენლად. ახალგაზრდები, სამწუხაროდ, ყოველთვის ცდილობდნენ ყოჩობას და ყოველთვის ცდილობდნენ ერთმანეთისთვის უკეთესობის დამტკიცებას და სროლაც იყო და დაჭრაც იყო თბილისში, მაგრამ ახლა ცინიზმს არა აქვს საზღვარი. ეს ჩვეულებრივი მოვლენა გახდა. მე მახსოვს ჩემს ახალგაზრდობაში, ადამიანის გარდაცვალება ტრაგედია იყო, ნებისმიერი ადამიანის, თუ ის განსაკუთრებულად ხანში შესული არ იყო. პანაშვიდზე მისვლა რიტუალი იყო, დღეს ეს ყველაფერი ჩვეულებრივი მოვლენა გახდა და ეს არის უბედურება. სხვათა შორის, ეს 90-იანმა წლებმა მოიტანა და დაამკვიდრა. გარდა ამისა, მაინც შეიძლება მდგომარეობის გამოსწორება, ოღონდ ვიმეორებ, რაც ხდება, ეს შინაგან სამინისტროს ბრალი არ არის.

***– გაისმა ბრალდებები, რომ ამ კუთხით სიტუაციის არევაში ნაციონალების ხელი ურევიაო, რამდენად არის ასე?***

– ეს არის საბოტაჟი ნაციონალების იმ კადრების მიერ, რომლებიც ჯერ კიდევ დარჩენილია შინაგან საქმეთა სამინისტროში. ხშირად უკვირთ ხოლმე „ქართული ოცნების“ წარმომადგენლებს, რომ საზოგადოება რატომ არ იმაღლებს ხმას და განსაკუთრებით ხმას რატომ არ იმაღლებენ ის ადამიანები, ვინც ჩვენ ამნისტიით ციხეებიდან გავათავისუფლეთ. ის ადამიანები იმიტომ არ იმაღლებენ ხმას, რომ ის ადამიანები ხედავენ, ვინც ისინი აწამა, ვინც იმათ საქმეები შეუთითხნა, ისევ თანამდებობებზე სხედან. კი, ისინი ციხეებიდან გამოუშვეს, მაგრამ ისინი ხომ თანამდებობებზე დატოვეს და არავის დაუსჯია. აქედან გამომდინარე, ამიტომაც არის პასიური საზოგადოების ეს ნაწილი. ტყუილად უკვირს საპარლამენტო უმრავლესობას, რომ საზოგადოება მათ გვერდში არ დგას. მოაშორონ ის ხალხი ძალოვანი სტრუქტურებიდან, ვისზეც ჩვენ გვაქვს ლაპარაკი და მაშინ საზოგადოება გვერდში დაუდგება.

***– რამდენად რჩება ნაციონალური მოძრაობა ქვეყნისთვის სახიფათო ძალად? შესწევს კიდევ იმის უნარი, რომ ქვეყანაში სიტუაცია არიოს?***

– სხვათა შორის, ბევრი ექსპერტი იქნება თუ საზოგადოების წარმომადგენელი, ხაზს უსვამს, რომ ნაციონალურ მოძრაობას შეუძლია შემოდგომაზე სიტუაცია არიოს და ხალხი ქუჩაში გამოიყვანოს და ასე შემდეგ. შეიძლება ეს ასეც მოხდეს, მაგრამ ისინი ხაზს უსვამენ იმას, რომ ნაციონალურ მოძრაობას აქვს საორგანიზაციო რესურსი და ამის მეშვეობით გამოიყვანს ხალხს ქუჩაში. მე კიდევ სხვა რამეს ვამბობ, ნაციონალური მოძრაობის მთავარი დანაშაული მდგომარეობს იმაში, რომ ის კიდევ უფრო აღრმავებს ცინიზმის იმ ფონს, რომელიც საზოგადოებაშია. მე ნებისმიერისგან მივიღებ კრიტიკას და ნებისმიერის აზრს მოვუსმენ, ნაციონალური მოძრაობის ოდიოზური წარმომადგენლების გარდა. ის, რაც დღეს ხდება ქვეყანაში, ამას დიდწილად სწორედ მათ ჩაუყარეს საფუძველი. უბრალოდ, „ქართული ოცნების“ არც ერთ წარმომადგენელს არ ყოფნის ვაჟკაცობა, რომ პირდაპირ უთხრას დებატების დროს, რომ – სამწუხაროდ, თქვენგან ვისწავლეთ. ამ ხალხს არა აქვს იმის უფლება, რომ ვინმეს მორალი წაუკითხოს და ჭკუა ასწავლოს. არავითარ შემთხვევაში! მე ვუსმენ სხვა ოპოზიციური პარტიის წარმომადგენლების კრიტიკას და აბსოლუტურად ნორმალურად ვიღებ, მათ აქვთ ამის უფლება. ნაციონალები მუდმივად თავში უდებენ საზოგადოებას, რომ დღეს ქვეყანაში საშინელება ხდება. ძალიან აქტიურები არიან სოციალურ ქსელში, ძალიან აქტიურები არიან სატელევიზიო ეთერებში. ისე გამოდის, რომ სულ მართლები არიან, არადა, მათი კრიტიკა უნდა მიდიოდეს, უნდა დაისაჯოს ის, ვინც დააშავა და ამას უნდა ჰქონდეს მასობრივი ფორმა, სხვანაირად ქვეყანა არ აშენდება! მუდმივად იქნება ხელისუფლება თავის მართლების რეჟიმში. ამ დროს ამ მთავრობამ, მიუხედავად უამრავი შეცდომისა, ბევრი კარგი ნაბიჯი გადადგა, მაგრამ საბოლოო ჯამში, ეს ნაბიჯები არ ჩანს. თუნდაც ავიღოთ ახლა რეცეპტების ამბავი, მე ვთვლი, რომ ეს მოუმზადებელი იყო. მანამდე ჯანდაცვამ არაერთი საინტერესო ნაბიჯები გადადგა, თუნდაც საყოველთაო დაზღვევის თვალსაზრისით, მაგრამ ამ რეცეპტების თემამ, რომელიც ნაჩქარევი და გაუაზრებელი იყო, ვერ მოიტანა ის შედეგი, რომელზედაც მთავრობა იყო ორიენტირებული. ეს ყველაფერი უნდა გაეთვალათ! დღეს რა ხდება? აფთიაქების გვერდით არსებობს პატარ-პატარა პუნქტები, იქ სხედან ექიმები და ამ რეცეპტებს წერენ, თან წერენ და ეუბნებიან – მაინცდამაინც ამ აფთიაქში უნდა იყიდოო. ეს უკვე დისკრიმინაციაა. ამან ყველაფერმა ხელისუფლების კრიტიკა გამოიწვია. ჯერ მოიფიქრე და ისე გააკეთე, რა. ყველაფერს თავი დავანებოთ, თარიღი – პირველი სექტემბერი. რა, პირველ ოქტომბერს რომ გაეკეთებინათ, დააყრიდათ ტანზე თუ რა მოხდებოდა?! ხალხი აზრზე არ იყო რა ხდება. ზაფხულის ცხელი დროის შემდეგ დაიწყო ეს ამბავი. ამას ყველაფერს გააზრება სჭირდება და შემდეგ აღიარება შენი შეცდომებისა. ეს აუცილებელია.

# დიდი კაშხალი, სახელმწიფოს უსაფრთხოება და ვაკუუმის ბომბი

კაშხალი ჰიდროტექნიკური ნაგებობაა. მისი დანიშნულებაა მდინარის წყლის დაგუბება. კაშხალის შესაქმნელად გამოყენებულ მასალის მიხედვით არჩევენ: ბეტონის, რკინაბეტონის, მიწის, ქვანაყარ, მონალექ კაშხლებს. სიმაღლის მიხედვით განასხვავებენ: მაღალ (>50მ), საშუალო – (10-50მ) და დაბალწნევიან (<10მ) კაშხალებს. კონსტრუქციის მიხედვით კაშხლები იყოფა: გრავიტაციულ, კონტრფორსულ, თაღოვან კაშხლებად.

კაშხალი წყალსაცავთან ერთად შედის ჰიდროკვანძის შემადგენლობაში.

კაშხალის სიმაღლე არის აუცილებელი წინაპირობა დიდი მოცულობის წყლის ვარდნის შექმნის შესაძლებლობისა. კაშხალის წყალობით, მარტივი სქემის მიხედვით, მდინარის დაგუბებულ ზედა ნაწილისა და კაშხალიდან გამომდინარე მდინარის წყლის ქვედა ზედაპირს შორის, იქმნება წყლის დონის მაჩვენებლის განსხვავება.

მოვლენის მექანიკა: წყალი, სპეციალური მილების მეშვეობით, მდინარის იმ ნაწილიდან, რაც მოთავსებულია კაშხალის ტანის ზედ და რომელიც წარმოადგენს, ფაქტობრივად, დიდ მოცულობის გუბეს (ე.წ წყალსაცავს), წყლის ვარდნის სპეციალური მილთა სისტემის გავლით ხვდება ჰიდროტურბინების კვანძში, სადაც იგი ატრიალებს იქ განთავსებულ ჰიდროტურბინებს. ასე ხდება ელექტროენერგიის გამომუშავება ჰიდროკვანძში.

მოვლენის ლოგიკა: რაც უფრო მაღალია კაშხალის ტანი, მით უფრო ძლიერია წყლის ვარდნის ნაკადი, მით უფრო მეტი ელექტროენერგიის გამომუშავებაა შესაძლებელი ჰიდროკვანძში.

განვიხილოთ მსჯელობა: თუ ქვეყნის რელიეფი და მდინარეების კალაპოტების ადგილმდებარეობა იძლევა შესაძლებლობას მაღალი კაშხალებით გადაიკეტოს მდინარეების წყლის ნაკადები, რატომ არ უნდა აშენდეს ყველა იმ ადგილას, სადაც კი მაღალი კაშხალის მოთავსება ფიზიკურად შესაძლებელია, დიდი ჰიდროკვანძი?

დავუშვათ შემდეგი: ზემოთ დასმულ შეკითხვაზე გაცემულია დადებითი პასუხი და ყველა იმ ადგილას, სადაც კი დიდი ჰიდროკვანძის მოთავსება ფიზიკურად შესაძლებელია, ასეთი რამ არის აშენებული, და ქვეყანა, რომელშიც ასეთი რამ მოხდა, სრულად (ან/და დიდ და გადამწყვეტ წილად), იკვებება (და არსებობს), იმ ელექტროენერგიით, რაც გამომუშავებულია ხსენებულ ჰიდროელექტროსადგურების მიერ.

ისმება კითხვა: რამდენად მყარად დგას ამდაგვარი ქვეყნის უსაფრთხოება, თუ მისი ენერგორესურსის ნულოვან (ან მასთან დაახლოებულ) ნიშნულამდე დაყვანა (ე.წ. ენერგეტიკული კოლაპსი) შესაძლებელია მცირე დროის მონაკვეთში მცირე რაოდენობის მსხვილი კაშხალების მწყობრიდან გამოყვანის გზით?

პასუხად შესაძლებელია მივიჩნიოთ მტკიცებულება იმისა, რომ ასეთი რამ შეუძლებელია, რადგან თანამედროვე დიდი კაშხალი იმდენად მყარი და ყოველმხრივ გაწონასწორებული საინჟინრო ნაგებობაა, რომ პრაქტიკულად მხოლოდ ბირთვული (ან თერმობირთვული) ბომბის აფეთქება მისი ტანის თავზე თუ დააზიანებს და დაშლის მას იმდენად, რომ გახდის შეუძლებელს მის მომდევნო მიზნობრივ გამოყენებას.

სრულიად გასაგებია, რომ ბირთვული ბომბის გამოყენების ფაქტის დაშვება მხოლოდ იმისათვის, რომ მწყობრიდან გამოყვანილი იქნას კაშხალი, არის არარეალური, რაც იმის ნიშანია, რომ ამდაგვარი ქვეყნის უსაფრთხოებას ამ მხრივ დიდი არაფერი განსაცდელი არ უნდა ემუქრებოდეს.

2007 წლის 11 სექტემბრის საღამომდე ზემოთ მოყვანილი მსჯელობა და მტკიცებულება შესაძლებელია ჩათვლილი ყოფილიყო მსხვილი კაშხლების მშენებლობისა და შემდგომი არსებობის მოტრფიალეთა პირებისათვის სერიოზულ დამამშვიდებელ არგუმენტად, რათა მათ დაემტკიცებინათ, რომ თანამედროვე კაშხალი სრულიად უსაფრთხო ნაგებობაა, რადგან მას რეალურად არაფერი ემუქრება იმის გამო, რომ მისი საგრძნობი ნგრევა და, მით უფრო, ფიზიკური ჩამოშლა, შეუძლებელი რამ არის.

რა მოხდა 2007 წლის 11 სექტემბრის საღამოს?

ამ დღის საღამოს რუსეთმა წარმატებით გამოსცადა გაძლიერებული სიმძლავრის ავიაციური ბომბი (ე.წ. ვაკუუმის ბომბი). რუსულად: – „российская авиационная бомба объемного взрыва".

ბომბის ტექნიკური მონაცემები: ასაფეთქებელი ნივთიერების მასა – 7100 კგ.; აფეთქების სიმძლავრე – 44 ტონა (ტროტილის ეკვივალენტში);



ვაკუუმის ბომბის აფეთქების ზოგიერთი (ჩვენ თხრობისათვის საინტერესო) სავარაუდო შედეგი: აფეთქების ეპიცენტრიდან:

90 მეტრის ჩათვლით რადიუსის მანძილის ზონაში სრული ნგრევა და გრუნტიდან ამოძირკვა ნებისმიერი კონსტრუქციის და სიმძიმის რკინაბეტონის (და სხვა მასალის) მონოლიტური (თუ ფრაგმენტული) ნაგებობებისა და მათ ადგილას 180 მეტრიანი დიამეტრისა და 50 მეტრის სიღრმის ორმოს (აფეთქების კრატერი) შექმნა; ჰაეროვან ნაწილაკებად დაშლილი ყოფილი რკინაბეტონის კონსტრუქციის მასის აორთქლება ატმოსფეროში.

90 მეტრიდან 300 მეტრის ჩათვლით – პრაქტიკულად სრული ნგრევა ნებისმიერი ხასიათისა და სიმძიმის რკინაბეტონის კონსტრუქციისა, როგორც მონოლიტურისა, ასევე ცალ-ცალკე მდგომისა. აფეთქების ადგილას, გამდნარ შუშის მასის მსგავსად, რჩება ყოფილი რკინაბეტონის კონსტრუქციების გადამდნარი გუბე, რომელიც ბოლავს, სანამ საბოლოოდ არ გაცივდება, და არ შეიკვრება ერთ ამორფულ ლოდად.

აფეთქების ეპიცენტრიდან ამ მანძილზე ნგრევა, პრაქტიკულად არის სრული, მაგრამ, პირველიდან განსხვავებით, დაზიანებულ გრუნტში არ წარმოიშობა საგრძნობი სიღრმის ორმო (აფეთქების კრატერი).

და ბოლოს, მესამე: აფეთქების ეპიცენტრიდან 1120 მეტრის ჩათვლით, აფეთქებით წარმოშობილი ჰაერის დარტყმითი ტალღა იმდენად აზიანებს ადამიანის სხეულს, რომ იწვევს ადამიანის სიკვდილს (ან/და ადამიანის ჩაგდებას უმძიმეს კომატოზურ მდგომარეობაში).





გოგი თუმანიშვილი

დღეის მდგომარეობით, ვაკუუმის ბომბი, თავისი დამანგრეველი ძალის მიხედვით, წარმოადგენს ყველაზე ძლიერ არაბირთვულ ბომბს. მისი სიმძლავრე, ნგრევის ეფექტურობა და გამოყენების შესაძლებლობანი შეედრება ბირთვულ ბომბს.

ვაკუუმის ბომბის დადებითი მხარე არის, უპირველეს ყოვლისა, ის, რომ მისი გამოყენებისას არანაირი დაბინძურება გარემოსი არ ხდება. ნადგურდება მხოლოდ მოწინააღმდეგის შენობა-ნაგებობანი, მატერიალური ფასეულობანი, სამხედრო ტექნიკა და ცოცხალი ძალა (ადამიანები). გარემო რჩება სრულად ვარგისიანი, როგორც ახლადჩამოსახლებული მოსახლეობისათვის საცხოვრებლის თვალსაზრისად, ასევე, სამხედრო შენაერთების ამ ტერიტორიაზე შესვლისა და იქ საომარი მოქმედებების წარმოების თვალსაზრისით.

ასევე დადებითია ის გარემოება, რომ ვაკუუმის ბომბის გამოყენება არ იკრძალება არც ერთ სადღეისოდ მოქმედ საერთაშორისო ჩარჩო-ხელშეკრულებით, და, ესე იგი, ვისაც იგი აქვს საკმარისი რაოდენობისა და გამართულობის, მას შეუძლია გამოიყენოს თავის სურვილისამებრ და თავისი სუბიექტური ამოცანების ეფექტურად გადასაჭრელად ნებისმიერ დროს, ნებისმიერ ადგილასა და ნებისმიერი რაოდენობით.

გამოყენების ადგილამდე ბომბის მიწოდების თვალსაზრისით, დღეის მდგომარეობით, არსებობს ტექნიკური ხასიათის მცირე პრობლემა, რომლის გადალახვაც შესაძლებელია ბომბის მწარმოებელი ქვეყნის მიერ (რუსეთი) უახლოეს მომავალში. კერძოდ, საუბარია იმაზე, რომ დღეს ბომბი აფეთქების ადგილამდე მიეწოდება რუსული სტრატეგიული ბომბდამშენების Ту-95 და Ту-160 მეშვეობით. ახლო მომავალში, მწარმოებელ ქვეყნის მიერ დაგეგმილია ბომბის წონის შემცირება და მისი ტრანსპორტირება აფეთქების ადგილამდე ჩვეულებრივი მოიერიშე თვითმფრინავებით, რაც სრულიად მარტივსა და იოლს გახდის ვაკუუმის ბომბების გამოყენების პრაქტიკას.

აქვე მოკლედ აღვნიშნავთ, რომ რუსეთი არ არის ერთადერთი ქვეყანა, რომელსაც აქვს თავის სამხედრო არსენალში ვაკუუმის ბომბი. მეორე ქვეყანა არის ამერიკის შეერთებული შტატები. ბომბი შექმნილია კონსტრუქტორის ალბერტ უიმორტსონის მიერ. ბომბის წარმოება გაშლილია მაკალისტერში. სამხედრო შიფრი GBU-43/B. ოფიციალური სახელწოდება „Massive Ordnance Air Blast". ბომბის სიგრძე 10 მ., დიამეტრი – 1 მ. წონა – 9.5 ტონა. 2003 წელს ფლორიდას შტატში განხორციელებული იყო ბომბის ორი საცდელი აფეთქება. თავისი ტექნიკური მონაცემებით ამერიკული ბომბი ოთხჯერ უფრო სუსტია ვიდრე რუსული (ამერიკულის სიმძლავრე – 11 ტონა ტროტილის ეკვივალენტში, რუსულის – 44 ტონა ტროტილის ეკვივალენტში).

დაბოლოს, ცოტაოდენი ის საჭირო გახსენებები, რაც სასურველია, რომ ჩვენ ქართველებს არასდროს დაგვავიწყდეს.

პირველი: ასეთი ტიპისა და სიმძლავრის კაშხალისათვის, როგორიც არის, მაგალითად, მომავალი ხუდონის ჰიდროკვანძის კაშხალი, საკმარისია ერთი ვაკუუმის ბომბის აფეთქება კაშხალის ტანის თავზე და შედეგად ჩვენ მივიღებთ კაშხალის ადგილას 180 მეტრის დიამეტრისა და 50 მეტრის სიღრმის ორმოს. წყალსაცავში დაგროვილი წყლის მასა (რომელიც გეგმითი გაანგარიშებით უნდა შეადგენდეს 500 მილიონ კუბურ მეტრს) შეუერთდება ჯვრის წყალსაცავის წყალს და ეს გაორმაგებული ნაკადი წალეკავს ენგურჰესის კაშხალს. შედეგად მიღებული 1600 მილიონი კუბური მეტრის გამონთავისუფლებული წყალი შეუქმნის გამოუსწორებელ განსაცდელს დასავლეთ საქართველოსა და თურქეთის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილს.

P.S. სხვა მაგალითების მოყვანა ჩვენი აზრით აზრს მოკლებულია, რადგან, თუნდაც უხეში და მიახლოებული გაანგარიშებითაც დასტურდება, რომ პირველ ათეულში შემავალი სახელმწიფო გეგმის მიხედვით ახლო მომავალში ასაშენებელი მსხვილი კაშხლების ერთდროული დაზიანება სრულიად საკმარისი იქნება იმისათვის, რომ ქართულ სახელმწიფოს მიეყენოს ისეთი ზომისა და ხარისხის გამოუსწორებელი ზიანი, რითაც ქართულ სახელმწიფოებრიობას (როგორც ასეთს) რეალურად შეექმნას დაკარგვის დიდი ალბათობა.

მეორე: რუსები, ამერიკელებისაგან განსხვავებით, ჩვენი კარის მეზობლები არიან, ზუსტად ისეთნაირად, როგორც ისინი არიან მეზობლები უკრაინელებისათვის.

მესამე: მალაიზიის ბოინგი ჩამოგდებული იყო გაურკვეველი წარმოშობისა და ჯიშის ადამიანებების მიერ იმ უახლესი ტექნოლოგიით აღჭურვილი სამხედრო დანადგარების მეშვეობით, რაც, სრულიად შემთხვევით, ამ ადამიანებმა ნახეს ტყისპირა ბუჩქებში და იმის შემდეგ, რაც მათ, ასევე სრულიად შემთხვევით, რაღაცას ჩამოკრეს ხელი ზემოდან, მათვის ასევე სრულიად მოულოდნელად, ხსენებულ ბუჩქებთან შორიახლოს ჩამოვარდა თვითფრინავისა და ადამიანთა ნაწილები, და ეს გრძელდებოდა მანამ, სანამ ყველაფერი, რაც კი შეიძლებოდა რომ ჩამოსავარდნი ყოფილიყო, არ იქნა ჩამოვარდნილი. მიახლოებით ასეთი სიმძლავრის ლოგიკით არის გადმოცემული მომხდარი ამბავი რუსების მასმედიის მიერ – ჩვენ ზედმეტს ვერაფერს ამ მონაყოლს ვერ დავუმატებთ, რადგან ამისათვის არ გვყოფნის პირადი ინტელექტუალური რესურსი.

ისმება კითხვა: რა გარანტია გვაქვს ჩვენ, რომ იმ ხსენებულ ბუჩქთან დღესაც (და ხვალაც) მჯდომი, გაურკვეველი ჯიშის, ეროვნებისა და წარმოშობის ვანია, სამკვირიანი ნამთვრალევი ხმით, დილაუთენია, იასნი ამბავია, რომ „с бодуна", ისევე, როგორც მალაიზიის ბოინგის ჩამოგდების შემთხვევის დროს, არ ეტყვის თავის მეგობარ ფედიას: Ну, что брат? Не пора ли ебануть этих черножопых по комполу?, რაზედაც ფედია, იასნი ამბავია, რომ ისიც „с бодуна", არ უპასუხებს ვანიას: Давно пора, а не то до чертиков остопиздели они мне, эти грузинские мрази поганные, და არ ჩამოკრავს ხელს იმას, რასაც არა ერთხელ უკვე ჩამოუკრავს...?

**გოგი თუმანიშვილი,**
***არასამთავრობო ორგანიზაცია „რუსეთის ინსტიტუტის" დამფუძნებელი-დირექტორი***
**12 აგვისტო 2014 წელი**

2014, 9 სექტემბერი, №213

# „ნატო-ს უელსის სამიტი გახდა ყველაზე წარმატებული სამიტი“

შორენა გონგლაძე

უელსის სამიტის შედეგებით საქართველოს საგარეო სამინისტრო კმაყოფილია. საგარეო საქმეთ მინისტრი მოადგილე დავით ზალკანიანი მიღებულ შედეგებს პოზიტიურად აფასებს და აცხადებს, რომ სამიტზე მიღებული გადაწყვეტილებები საქართველოს თავის მიზანთან კიდევ უფრო დააახლოებს. დავით ზალკალიანის განცხადებით, ნატო-ს სამიტზე ქვეყნის დემოკრატიის და თავდაცვის სისტემის მოდერნიზაციის პროგრესის აღიარება მოხდა, რაც ძალიან მნიშვნელოვანია. როგორც საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ განაცხადა, საქართველოსთვის ძალიან ფასეულია ნატო-ს სამიტის გადაწყვეტილება არსებულ ღო-




ნისძიებათა პაკეტის შემუშავების შესახებ და ქვეყანა მზაობას გამოთქვამს დაიწყოს მუშაობა ამ პაკეტის ელემენტების განხორციელებაზე.

– ნატო-ს უელსის სამიტი გახდა ყველაზე წარმატებული სამიტი 2008 წლიდან მოყოლებული, სადაც საქართველომ მიიღო მართლაც ძალიან მნიშვნელოვანი ხელშესახები შედეგები, პირველ რიგში აღსანიშნავია, რომ ამ სამიტზე მოხდა საქართველოს დემოკრატიის განვითარების, შეიარაღებული ძალების მოდერნიზაციის და თავდაცვის ინსტიტუტების რეფორმების კუთხით მნიშვნელოვანი პროგრესის აღიარება ნატო-სგან, დასკვნით კომუნიკეში ალიანსის მიერ დაფიქსირებულია ღია კარის პოლიტიკის და კონკრეტულად ბუქარესტში მიღებული გადაწყვეტილების მიმართ, რომ საქართველო გახდება ალიანსის წევრი. საქართველო მიესალმება და იზიარებს ალიანსის შეფასებას, რომ ნატო-ს და საქართველოს უკვე აქვს ურთიერთქმედების საჭირო მექანიზმები, რომელიც ქვეყანას მიიყვანს საბოლოო მიზანთან. მნიშვნელოვანია, ის ფაქტი, რომ კომუნიკესთან ერთად ჩვენ მივიღეთ ძალიან კონკრეტული არსებითი პაკეტი, სადაც არის ძალიან სერიოზული კონკრეტული ელემენტები, მხედველობაში მაქვს, საქართველოში თავდაცვის განვითარების მისიის მოვლინება, საქართველოში ნატო-სთან ერთად საწვრთნელი ბაზის დაფუძნება და ასევე, რაც მნიშვნელოვანია, ეს არის სამეკავშირეო ოფისის გაფართოება. ეს ის მნიშვნელოვანი ელემენტებია, რომელიც ჩვენ კიდევ უფრო დაგვაახლოებს ნატო-ს წევრობასთან და როგორც ეს არის აღნიშნული კომუნიკეში, არსებითი პაკეტი კიდევ ერთი ნაბიჯია საქართველოს ნატო-სთან დაახლოების. საქართველოსთვის ძალიან ფასეულია ნატო-ს სამიტის გადაწყვეტილება არსებულ ღონისძიებათა პაკეტის შემუშავების შესახებ და მზაობას გამოვთქვამთ, რომ დაუყოვნებლივ დავიწყოთ მუშაობა ამ პაკეტის ელემენტების განხორციელებაზე. აღსანიშნავია ასევე, რომ მოკავშირეებმა დადებითად შეაფასეს საქართველოს თავდაცვის სისტემაში გატარებული რეფორმები. კიდევ ერთი მნიშვნელოვანი – ეს არის საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობასთან დაკავშირებული საკითხი, საუბარია, რომ ახალი ელემენტი გაჩნდა, რომ რუსეთის ფედერაციამ უნდა გაიყვანოს ჯარები საქართველოს ტერიტორიიდან. მხარდაჭერილია საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა და სუვერენიტეტი. კიდევ ერთხელ მინდა, დავადასტურო ჩვენი პოზიცია იმასთან დაკავშირებით, რომ ასეთი კონკრეტული, ხელშესახები შედეგები საქართველოს ნატო-ს სამიტიდან 2008 წლის შემდეგ არ მიუღია და ეს კიდევ უფრო დაგვაახლოებს ჩვენს მიზანთან, – განაცხადა ზალკალიანმა.

პარლამენტის ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარის ვიქტორ დოლიძის შეფასებით, ნატო-ს უელსის სამიტზე საქართველომ პრაგმატულ შედეგს მიაღწია და არა კომუნიკეში სიტყვების რახარუხს, დოლიძის თქმით, თუ მომავალ სამიტზე გაფართოების სურვილი იქნება, საქართველოს ნატო-ს წევრობის ამბიცია ნამდვილად ექნება. დოლიძის განცხადებით, სამიტზე საქართველოსთვის მინიჭებული პაკეტის დეტალებზე ბრიუსელში მუშაობა ახლაც მიმდინარეობს. დეპუტატმა ასევე აღნიშნა, რომ აღნიშნული დეტალების განსახილველად საქართველოში ნატო-ელი ექსპერტები ჩამოვლენ.

– ეს არის პრაგმატული შედეგი და არა კომუნიკეში რაღაც სიტყვების რახარუხი, სადაც პირდაპირაა მითითებული შეუქცევადი პროცესი, რომელიც საქართველოს ნატო-ში გაწევრიანებას გულისხმობს. ის ე.წ. ოქროს ბარათი, რომელიც თანამშრომლობის თვალსაზრისით ჩვენ ყველაზე თავსებად და ახლო პარტნიორებთან ერთად მივიღეთ, მნიშვნელოვანი წინგადადგმული ნაბიჯია. თუმცა ისიც უნდა გვახსოვდეს, რომ ჩვენ ასპირანტ ქვეყნად ვრჩებით. მომავალი სამიტი რამდენად იქნება გაფართოების ჯერჯერობით უცნობია, მაგრამ თუკი ალიანსის მხრიდან ამის სურვილი იქნება, საქართველოს ნამდვილად ექნება ამბიცია, რომ ნატო-ს წევრი გახდეს, ან კიდევ ერთი ნაბიჯი გადავდგათ იმისკენ, რომ წევრობის გარანტია მოგვეცეს. უელსის სამიტზე ჩვენთვის მონიჭებული პაკეტი ნამდვილად არის იმის საფუძველი, რომ პირდაპირ გაწევრიანების პროცესზე გადავიდეთ და არა გაწევრიანების სამოქმედო გეგმაზე, ე.წ. მაპ-ზე. პაკეტის დეტალებზე ბრიუსელში ახლაც მიმდინარეობს მუშაობა. ნატოელი ექსპერტები საქართველოში ჩამოვლენ და უკვე პოლიტიკურად მიღებულ ყველა გადაწყვეტილებაზე, რომელიც პაკეტშია თავმოყრილი, დეტალურად გაივლიან, თუ რამდენი სამხედრო მოსამსახურე იქნება წარმოდგენილი საწვრთნელ ცენტრში, რამდენი მრჩეველთა საბჭოში, როგორ გაფართოვდება სამეკავშირეო ოფისი და ა.შ. ეს დეტალები უკვე თანხმდება. მთავარია, რომ პოლიტიკური გადაწყვეტილება მიღებულია, – განაცხადა ვიქტორ დოლიძემ.

**გახდომა–გასუქება 5–20 კგ–ით თვეში!**

მარტივად და უსაფრთხოდ, დიეტების, ვარჯიშებისა და აკრძალვების გარეშე. რეგულირდება მადა, ქრება უსიამოვნო სუნი პირიდან, წესრიგდება ნივთიერებათა ცვლა და კუჭ-ნაწლავი. ორგანიზმი იწმინდება მთლიანად შლაკებისგან, სისხლძარღვები — ქოლესტერინისაგან. ძლიერდება იმუნიტეტი, კანი ხდება უფრო ახალგაზრდა, ელასტიკური. დადგებით სასურველ წონაზე და შეინარჩუნებთ მას სტაბილურად.

**სიმაღლეში ზრდის უახლესი, სწრაფი და ეფექტური პროგრამები 1–დან 25 წლამდე**

კურსით 3-5 სმ-ის მომატებით. ვიტამინების, ძვლის მკვებავი მინერალების, ამინომჟავების კომპლექსით, პლუს ვარჯიშებით. მაღალეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა ინდივიდუალურია. კურსის გამეორება შეგიძლიათ სასურველ შედეგამდე. **ქ-ნი ქეთევანი**

მის. მეტრო „დიდუბე“, წერეთლის ქ. 142, I სართული, კაბინეტი №6
☎ 577-29-37-41, 247-58-83

# თბილისში ნაგვის გადამამუშავებელი ქარხანა აშენდება

შორენა გონგლაძე

თბილისის მერი დავით ნარმანია, მერის რანგში პირველად, ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის რეგიონული წარმომადგენლობის ხელმძღვანელს, ბრუნო ბალვანერას, მუნიციპალური ეკოლოგიური ინფრასტრუქტურის განყოფილების წარმომადგენელს, იოჰან ფრედჰოლმს და ბანკის სამუშაო ჯგუფს შეხვდა.




მერიის ცნობით, დედაქალაქის მთავრობას თბილისის მეტროსადგურებში ესკალატორების შეცვლის, ენერგოეფექტური გარე განათების, მყარი ნარჩენების გადამუშავებისა და ქალაქში პარკირების მოწესრიგების პროექტების დაფინანსებას სთავაზობს. ბანკი მზად არის, პროექტების განსახორციელებლად გრძელვადიანი, დაბალპროცენტიანი სესხი გამოყოს, საიდანაც თანხის ერთი მესამედი გრანტი იქნება.

თბილისის მერის, დავით ნარმანიას თქმით, გარე განათებისა და პარკირების მოწესრიგება მისი წინასაარჩევნო პროგრამის შემადგენელი ნაწილია. მისივე თქმით, შეთავაზებული წინადადებები ძალზე აქტუალურია, ბანკთან რამდენიმე მიმართულებით თანამშრომლობა კი – აუცილებელი, რადგან არსებული პრობლემების მოგვარებას დედაქალაქის ბიუჯეტი ვერ სწვდება და დონორებისგან ფინანსების მოძიებაა საჭირო.

დავით ნარმანიამ ხაზი გაუსვა მუნიციპალური ტრანსპორტის ავტოპარკის ალტერნატიულ ენერგიაზე მომუშავე და ადაპტირებული ტრანსპორტით ჩანაცვლების აუცილებლობას, რისთვისაც, მისი თქმით, პირველ ეტაპზე საჭიროა ჩატარდეს შესაბამისი კვლევა. გარდა ამისა, დავით ნარმანიას თქმით, დედაქალაქს სჭირდება ახალი ხიდები და ესტაკადები, რაც ქალაქში არსებული საცობების პრობლემას მოაგვარებს. რაც შეეხება პარკირებას, როგორც თბილისის მერმა აღნიშნა, ქალაქის განსატვირთავად, აუცილებელია მიწისზედა და მიწისქვეშა პარკირების ინფრასტრუქტურის მოწყობა.

დედაქალაქის მერმა ერთ-ერთ პრიორიტეტად ნაგავსაყრელების პრობლემის მოგვარება დაასახელა. მისი თქმით, გლდანისა და ლილოს ნაგავსაყრელები ვერ აკმაყოფილებს სტანდარტს და აუცილებელია ნაგვის გადამამუშავებელი ქარხნის აშენება. მისივე თქმით, სექტემბრის ბოლოს დაგეგმილია დონორთა საერთაშორისო კონფერენცია, რომელზეც დედაქალაქში არსებულ მდგომარეობაზე, მთავრობის ხედვებსა და პრიორიტეტებზე იმსჯელებენ. შეხვედრაზე შეთანხმდნენ, რომ წარმოდგენილ წინადადებზე ორივე მხრიდან შექმნილი სამუშაო ჯგუფები იმუშავებენ. პროექტები, სავარაუდოდ, 2015 წლის მაისის ბოლოსთვის იქნება მზად.

# ლევან იზორიამ შსს–ს აკადემიის სამაგისტრო პროგრამა წარადგინა

შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე ლევან იზორიამ, გუშინ მედიის წარმომადგენლებს შსს-ს აკადემიის „საპოლიციო რეგულირების სამართლის“ სამაგისტრო პროგრამა წარუდგინა და მათ აღნიშნული სამაგისტრო პროგრამის მნიშვნელობა და მიზანი გააცნო.

როგორც შსს-ში აცხადებენ, აკადემიის „საპოლიციო რეგულირების სამართლის“ სამაგისტრო პროგრამას საქართველოში ანალოგი არ გააჩნია, რადგან სამართალდარღვევათა პრევენციაზეა ორიენტირებული.

შს მინისტრის მოადგილემ „საპოლიციო რეგულირების სამართლის“ სამაგისტრო პროგრამის წარდგენისას განაცხადა, რომ აკადემიას უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი მიენიჭა და „საპოლიციო რეგულირების სამართლის“ სამაგისტრო პროგრამის განხორციელება მიმდინარე წლის ოქტომბრიდან დაიწყება. აღნიშნული პროგრამა უფასოა და მასზე ის სტუდენტები მიიღებიან, რომელთაც აქვთ სამართლის ბაკალავრის დიპლომი და გავლილი აქვთ საერთო სამაგისტრო გამოცდა.

როგორც შსს-ში აცხადებენ, „საპოლიციო რეგულირების სამართლის“ სამაგისტრო პროგრამის მიზანია, რომ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამისი დანაყოფებისათვის საშუალო მენეჯერულ პოზიციებზე, სათანადო უნარებითა და ცოდნით აღჭურვილი საპოლიციო ფუნქციების განმახორციელებელი, აკადემიური განათლების მქონე თანამშრომლები იყვნენ, რომლებიც კანონის უზენაესობის, დემოკრატიული და ჰუმანური ღირებულებების მატარებელნი იქნებიან.



შს მინისტრის მოადგილემ ყურადღება ასევე იმაზეც გაამახვილა, რომ სამართლის ბაკალავრებს, რომლებიც შსს-ს აკადემიაში უფასო სამაგისტრო ორწლიან პროგრამას გაივლიან, სამართალდამცავ სტრუქტურებში დასაქმების რეალური პერსპექტივაც ექნებათ. შსს-ს აკადემიაში სამაგისტრო პროგრამის წლევანდელ კურსზე განცხადებების მიღება 18 სექტემბრამდე გაგრძელდება.

შს მინისტრის მოადგილის მიერ სამაგისტრო პროგრამის წარდგენის დასრულების შემდეგ აკადემიის წარმომადგენლებმა ჟურნალისტებისთვის ტური გამართეს, რომლის დროსაც მათ შს აკადემიის ინფრასტრუქტურა – საკონფერენციო დარბაზი, სასწავლო და ფიზიკური მომზადების ოთახები, ბიბლიოთეკა, იმიტირებული სასამართლო დარბაზი, იმიტირებული სასაზღვრო გამშვები პუნქტი, რეალური და იმიტირებული ტირები დაათვალიერეს.

**ნიუსპრესი**

# პოლიციამ უკანონო ავტომატური იარაღი ამოიღო

შინაგან საქმეთა სამინისტროს თბილისის მთავარი სამმართველოს დეტექტივების სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვის ბრალდებით, თბილისში, 1986 წელს დაბადებული ლევან პ. დააკავეს.

სამართალდამცველებმა დაკავებულის საცხოვრებელი ბინის ჩხრეკისას ქარხნული წესით დამზადებული „კალაშნიკოვი“-ს სისტემის ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღი, ორი მჭიდი და 50 საბრძოლო ვაზნა ამოიღეს.

გამოძიება ცეცხლსასროლი იარაღის და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვის ფაქტზე, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 236-ე მუხლის 1-ლი ნაწილით მიმდინარეობს.

**ნიუსპრესი**

# სარფში ლირიკა ამოიღეს

საბაჟო გამშვები პუნქტის „სარფის“ კონტროლის ზონაში აკრძალული მედიკამენტის უკანონო შემოტანის მცდელობა გამოავლინეს. თურქეთის რესპუბლიკიდან შემოსული, აზერბაიჯანის რესპუბლიკის მოქალაქე ჰ.ფ.-ის ბარგისა და ხელბარგის დათვალიერებისას, შემოსავლების სამსახურის თანამშრომლებმა 48 აბი ფსიქოტროპული ნივთიერების შემცველი მედიკამენტი „ლირიკა“ აღმოაჩინეს – აცნობეს „მედიანიუსს“ შემოსავლების სამსახურიდან.

**მედიანიუსი**

# ეკა ბესელია: „უმცირესობის დიდი ნაწილი არც ქუთაისში ჩატარებულ საკომიტეტო მოსმენებს ესწრებოდა“

პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის თავმჯდომარის, ეკა ბესელიას განცხადებით, უმრავლესობას თბილისში საკომიტეტო მოსმენების ჩატარებით კანონი არ დაურღვევია.



ბესელიამ ამ განცხადებით „ნაცმოძრაობის“ წარმომადგენლებს უპასუხა, რომლებიც უმრავლესობას კონსტიტუციის დარღვევაში ადანაშაულებენ.

„უმრავლესობას კანონი არ დაურღვევია, რადგან პლენარული სხდომები ქუთაისში იმართება. საკომიტეტო გასვლითი სხდომების ჩატარების უფლება კი, პარლამენტს თბილისშიც აქვს“, – განაცხადა ბესელიამ.

როგორც კომიტეტის თავმჯდომარე აღნიშნავს, „ნაციონალები“ ამ ფაქტს მიზეზად იყენებენ, რადგან მისივე თქმით, ქუთაისში ჩატარებულ საკომიტეტო მოსმენებს მათი დიდი ნაწილი მაშინაც არ ესწრებოდა.

„მიზეზი ის არაა, რომ სხდომები თბილისში ტარდება. როგორც აღმოჩნდა, ჩვენი კოლეგებისთვის, უმცირესობის წევრებისთვის არც ქუთაისია მომხიბვლელი, რადგან როცა ქუთაისში საკომიტეტო მოსმენებს ვატარებდით, მათი გამოუცხადებლობის ძალიან დიდი მაჩვენებელი მაშინაც იყო. სასესიო ფორმატი მათთვის მხოლოდ პოლიტიკური განცხადებებისთვის არის“,-აღნიშნავს ეკა ბესელია.

**ნიუსპრესი**

# ნინო ბურჯანაძე: „ნატოს სამიტი ჩვენი ქვეყნისთვის წარმატება ნამდვილად არ ყოფილა“



„გაერთიანებული დემოკრატიული მოძრაობის“ ლიდერის, ნინო ბურჯანაძის განცხადებით, ბოლო 18 წლის განმავლობაში, საქართველო გამუდმებით ელოდა, რომ სიტყვები — „ნატო-ს კარი ღიაა“ რეალობად იქცეოდა, მაგრამ ფაქტია, რომ ეს კარი საქართველოსთვის დახურულია.

„რას გვთავაზობს ჩვენი ხელისუფლება, — კიდევ 18 ან 38 წელი ველოდოთ, რომ იქნება მუდმივი ძახილი, რომ ნატო-ს კარი ღიაა, სინამდვილეში კი ყველა კონკრეტული სამიტის შემდეგ ჩვენ მივიღებთ არა იმას, რასაც ველით, არამედ იმას, რასაც შემდეგ ხალხის წინაშე გავასაღებთ, როგორც იმაზე უკეთესს, რასაც ველოდებოდით“,-განაცხადა ბურჯანაძემ.

„გაერთიანებული დემოკრატიული მოძრაობის“ ლიდერის თქმით, საზოგადოებისთვის თვალებში ნაცრის შეყრაა, რასაც დღეს ხელისუფლება, აკეთებს როდესაც ლაპარაკობს, რომ ნატოს სამიტი საქართველოსთვის დიდი წარმატება იყო.

„ეს სამიტი ჩვენი ქვეყნისთვის წარმატება ნამდვილად არ ყოფილა, ჩვენ ვერ მივიღეთ მაპ-ი, რომელიც ყველა იმ ადამიანის მოლოდინი შეიძლება იყოს, ვისაც ჯერ კიდევ საქართველოს ნატოს წევრობასთან დაკავშირებით ილუზიები აქვს“,– განაცხადა ნინო ბურჯანაძემ.

მან ასევე აღნიშნა, რომ ხელისუფლებამ ერთხელ და სამუდამოდ უნდა უთხრას ხალხს, რომ საქართველოს ნატოში გაწევრიანების შანსი არ აქვს, წინააღმდეგ შემთხვევაში, ქვეყანას ნატოს სამიტზე მაპ-ის მიღების შესაძლებლობა უნდა ჰქონოდა.

ნინო ბურჯანაძის განცხადებით, ნატოს დეკლარაციაში წერია, რომ ალიანსი თავის წევრ სახელმწიფოებს დაიცავს, საქართველო კი მისი წევრი არ არის და ვერც გახდება, რაც უელსის სამიტზეც გამოჩნდა.

ბურჯანაძე ასევე საქართველოსა და სხვა სახელმწიფოების ურთიერთობების საკითხსაც შეეხო და განაცხადა, რომ ქვეყანამ ისეთი პოლიტიკა უნდა აწარმოოს, რომ თავდაცვის მექანიზმების გამოყენება არ დასჭირდეს და რომელიმე სახელმწიფოსთან სამხედრო კონფრონტაცია არ დაუშვას. მისი თქმით, საქართველომ ყველაფერი უნდა გააკეთოს, რათა დიდი სახელმწიფოების დაპირისპირების პოლიგონად არ გადაიქცეს.

„გაერთიანებული დემოკრატიული მოძრაობის“ ლიდერმა, საქართველოში ნატოს საწვრთნელი ბაზის განთავსებაზეც გაამახვილა ყურადღება და განაცხადა, რომ ხელშეკრულება, რომელიც საქართველოში ამ საწვრთნელი ბაზის საქმიანობას არეგულირებს, გასაიდუმლოებული არ უნდა იყოს.

„დღეს ჩვენ გვეუბნებიან, რომ უზარმაზარი მიღწევაა თურმე, რომ საქართველოში ნატოს საწვრთნელი ბაზა გაიხსნება. უპირველეს ყოვლისა, მინდა ვიკითხო: სად არის ხელშეკრულება, რომელიც საქართველოში ამ საწვრთნელი ბაზის საქმიანობას არეგულირებს? ტელევიზიით ყური მოვკარი, რომ თითქოსდა ეს ხელშეკრულება გასაიდუმლოებულია. ეს არის კატეგორიულად მიუღებელი. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, მას შემდეგ, რაც მოლოტოვსა და რიბენტროპს შორის საიდუმლო პაქტი დაიდო, საერთაშორისო სამართალი ნებისმიერი საიდუმლო ხელშეკრულების გაფორმებას კატეგორიულად კრძალავს. თუ ჩვენი ხელისუფლება რაიმე დოკუმენტს გვიმალავს, ეს სახელმწიფოსა და ხალხის წინაშე პირდაპირი დანაშაულია“, — განაცხადა ნინო ბურჯანაძემ.

მისივე განცხადებით, ხელისუფლების ამოცანა არა ნატოს საწვრთნელი ბაზის განთავსება, არამედ საქართველოს ტერიტორიის ნებისმიერი სამხედრო ბაზისგან, მათ შორის, რუსული ბაზებისგან გათავისუფლება უნდა იყოს.

„აფხაზეთთან და ე.წ. სამხრეთ ოსეთთან მიმართებაში ხელისუფლება აბსოლუტურად უმოქმედოა და და დღეს საქართველოს ხელისუფლება აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის დავიწყების გზას ადგას. თუ საქართველო მიდის იმ გზით, რომ აფხაზეთსა და სამაჩაბლოში რუსული სამხედრო ბაზები უნდა იდგეს, ხოლო დანარჩენი საქართველოს ტერიტორიაზე ჯერ საწვრთნელი, ხოლო შემდეგ სხვა ორგანიზაციის ან სხვა სახელმწიფოს ბაზები, ეს ნიშნავს, რომ ერთიანი საქართველოს ტერიტორიაზე ორი ურთიერთსაწინააღმდეგო ბლოკის ბაზები იქნება განლაგებული. ეს კი ნიშნავს იმას, რომ ქვეყანა ვერასოდეს დაწყნარდება და კონფლიქტების დარეგულირებაზე საუბარი უნდა დავივიწყოთ“, — განაცხადა ნინო ბურჯანაძემ.

მან ასევე აღნიშნა, რომ საქართველოსთვის უკრაინის მაგალითი მწარე გაკვეთილი უნდა იყოს.

„ჩვენ დავინახეთ, რა დაემართა უკრაინას და პირდაპირ შემიძლია ვთქვა: ისე, როგორც თავის დროზე, 2008 წელს, მიხეილ სააკაშვილმა თავისი უპასუხისმგებლო მოქმედებებით საქართველო დააქცია, უკრაინა პოლიტიკოსთა ნაწილმა თავისი უპასუხისმგებლო მოქმედებებით უმძიმესი კრიზისის წინაშე დააყენა. დღეს ლაპარაკი იმაზე, ვინ რა წააგო და ვინ რა მოიგო, ძალიან არასერიოზულია, მაგრამ ერთი ნამდვილად შემიძლია ვთქვა: უკრაინა დამარცხდა, ძალიან ბევრი რამ დაკარგა და სამწუხაროდ, ის აღარასოდეს იქნება ისეთი ქვეყანა, როგორიც იყო. ჩვენ ყველა ვხედავთ, რომ ყირიმთან დაკავშირებით საერთაშორისო საზოგადოება აღარაფერს ლაპარაკობს და დიდ მიღწევად არის ჩათვლილი, რომ ცეცხლის შეწყვეტის ხელშეკრულებაზე მოლაპარაკება მოხერხდა. ეს ჩვენთვის ძალიან მწარე გაკვეთილი უნდა იყოს“, — განაცხადა ნინო ბურჯანაძემ.

**ნიუსპრესი**

# ლევან იზორია: „საპოლიციო შემოწმებები მოქალაქეთა დაცვის მიზნით ხორციელდება“



შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილის ლევან იზორიას განცხადებით, ქვეყანაში საპოლიციო შემოწმებები ხორციელდება და არა რეიდები. აღნიშნულით იზორია, საპოლიციო შემოწმებებთან დაკავშირებით საზოგადოების უკმაყოფილებას ეხმაურება.

„ეს ღონისძიება, როგორც სხვა საპოლიციო ღონისძიებები, რომელიც პოლიციის შესახებ კანონშია ასახული, პირველ რიგში პრევენციულია, რათა მოქალაქეთა დაცვის მიზნით ყველანაირი დანაშაული და სამართალდარღვევა თავიდან იქნეს აცილებული. საპოლიციო ღონისძებებს შორის ერთ-ერთი სწორედ სპეციალური საპოლიციო კონტროლია“, — განაცხადა იზორიამ.

მისივე თქმით, საპოლიციო კონტროლის დროს, სამართალდამცველები კანონის მიხედვით მოქმედებენ და იმ შემთხვევაში, თუ ისინი რაიმე სახით აგრესიულობას გამოიჩენენ, მოქალაქეებმა გენინსპექციას უნდა მიმართონ.

რამდენიმე დღეა შესაძლო დამნაშავე პირების გამოსავლენად, მთელი ქვეყნის მასშტაბით 24 საათიანი პატრულირება მიმდინარეობს.

**ნიუსპრესი**

# ანზორ წოწონავა: „რუსეთს უნდა, ნოტარიალურად გააფორმოს ქართული ტერიტორიების ანექსია“

## „აფხაზეთიდან დევნილებს რომ რეალურად დავეხმაროთ, საკანონმდებლო ცვლილებებია საჭირო“.

მარიკა მჭედლიშვილი

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს საკონსტიტუციო და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარე ანზორ წოწონავა მიიჩნევს, რომ გადაწყვეტილება რუსეთის, ასევე სოხუმისა და ცხინვალის საოკუპაციო რეჟიმების ერთობლივი სამხედრო ბლოკის შექმნის შესახებ გარკვეული ხრიკია. მისი მიზანია, ოკუპირებული ტერიტორიების გაფორმება. მისი თქმით, აფხაზეთის უმაღლეს საბჭოს კვლავინდებურად არ გააჩნია ბერკეტები აფხაზეთიდან დევნილების უფლებების დასაცავად და მათი პრობლემების მოსაგვარებლად. საამისოდ საკანონმდებლო ცვლილებებია საჭირო. ანზორ წოწონავა სინანულს გამოთქვამს იმის გამო, რომ ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოში ამასთან დაკავშირებით არ არის ერთიანობა. „ახალი თაობა“ ანზორ წოწონავას ესაუბრა.

***— რუსეთი სოხუმთან და ცხინვალთან ერთად აპირებს სამხედრო ბლოკის შექმნას. რას ნიშნავს ეს გადაწყვეტილება?***

— ფაქტობრივად, ესაა იმის ნოტარიულად გაფორმება, რაც აფხაზეთსა და შიდა ქართლში მოხდა. რუსეთს უნდა, გააფორმოს საქართველოს ამ კუთხეების ანექსია და ოკუპაცია. სამხედრო ბლოკის შექმნაზე საუბრობენ, მაგრამ, ამ ოკუპირებულ ტერიტორიებზე, ბლოკი, რეალურად, ისედაც არის. ასე რომ, რუსეთი თავის წინა დანაშაულებრივ მოქმედებებს აძლევს „სამართლებრივ ფორმას“. ესაა რუსეთის ურთიერთობის პრინციპი. ესაა ანექსიის გაგრძელება. რუსეთს უნდა, დაარწმუნოს საზოგადოება, რომ სწორად იქცევა, რომ თითქოს ვინმეს იცავს, სასათბურე პირობებს უქმნის. სინამდვილეში, ამ ქვეყანამ საზარბაზნე ხორცად აქცია ეს რეგიონები.

***— ეს უფრო პოლიტიკური გადაწყვეტილებაა?***

— პოლიტიკურიცაა, სამხედროც და სამართლებრივიც. ეს გადაწყვეტილება ერთიან კომპლექსში განიხილება. რუსეთმა ბევრი ხრიკი იცის და მას არაერთხელ გამოუყენებია თავისი ხერხები საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ.

***— მუქარები ისმის ერაყ-სირიის ტერიტორიაზე შექმნილი „ისლამური სახელმწიფოდან“. ისლამისტები, ძირითადად, ჩრდილოეთ კავკასიაში აპირებენ „წესრიგის დამყარებას“. თუმცა, მთლიანად კავკასიასაც „თავის“ ტერიტორიად მიიჩნევენ...***

— არა მგონია, ისლამისტებმა საქართველოზე მიიტანონ იერიში. ჩრდილოეთ კავკასიაში კი, ისედაც დიდი დაძაბულობაა. მაგალითად, ყაბარდო-ბალყარეთში, დაღესტანში. იქ თითქმის ყოველდღიურად უამრავი მუსლიმანი იღუპება. მათ შორის, სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლები. ისლამისტები რუსეთის წინააღმდეგ არიან განწყობილი. თუმცა, უნდა ითქვას, რომ რუსეთი მათთან თამაშობს და იქ საკუთარი სპეცსამსახურებიც ჰყავს შეგზავნილი. რუსეთს უნდა, რომ როგორმე ეს იარაღი გამოიყენოს იმ რეგიონების საწინააღმდეგოდ, რომლებიც მას არ ემორჩილებიან.

***— თქვენ აცხადებდით, რომ აფხაზეთიდან დევნილების უფლებების დასაცავად აუცილებელია ომბუდსმენის არსებობა თქვენს სტრუქტურებში. ეს პრობლემა ისევ გადაუწყვეტელია?***

— ამაზე მე მართლაც ვისაუბრე. საერთოდ, დიდი ხანია ვმუშაობ იმაზე, რომ მოგვეცეს რეალური ბერკეტები იმისათვის, რომ ჩვენს დევნილებს გადაუწყვეტოთ პრობლემები. აფხაზეთის ომბუდსმენთან დაკავშირებით დაწყებულია განხილვის პროცედურები. ამაზე გვინდა საქართველოს სახალხო დამცველთან, უჩა ნანუაშვილთან ვიმსჯელოთ. აუცილებელია ასევე განხილვის პროცესში ჩავრთოთ სოზარ სუბარი, რომელსაც სახალხო დამცველად მუშაობის გამოცდილებაც აქვს და რომელიც ახლა დევნილთა მინისტრია. დოკუმენტაცია მომზადებული გვაქვს. სამწუხარო ისაა, რომ ამ საკითხში ერთიანობა არ გვაქვს. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოში არ არსებობს ერთიანი პოზიცია ამასთან დაკავშირებით. აფხაზეთის სტრუქტურებში ომბუდსმენი რომ იყოს, მთელი რიგი საკანონმდებლო ცვლილებებია მისაღები. მათ შორის, ქვეყნის პარლამენტის მიერ. სხვა კანონების გარდა, ცვლილებებია შესატანი კანონში ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ. ეს კანონი მიიღო წინა ხელისუფლებამ, რომელმაც სრულყოფილად არ ასახა, თუ რას ნიშნავს ოკუპირებული ტერიტორია, ვინ არის ოკუპანტი. რაც მთავარია, არ ჩაწერეს, ვინ არის ამ ტერიტორიაზე ლეგიტიმური. შენ თვითონ თუ არ აღიარებ, რომ ეს შენი კუთხეა, შენი ქვეყნის ნაწილია, შენი სისხლი და ხორცი, სხვა ამას არ გაგიკეთებს. ეს სახელმწიფოს გასაკეთებელია. უფრო სირცხვილი ისაა, როცა ამას ვერ აკეთებენ აფხაზეთის წარმომადგენლები.



***— ანუ ისევ აქტუალურია თემა, რომ არ გაგაჩნიათ ბერკეტები?***

— დიახ. სამწუხაროდ, ჩვენ ვერანაირად ვერ ვუგვარებთ დევნილებს პრობლემებს. წლების განმავლობაში დაგროვდა უამრავი გადაუწყვეტელი საკითხი. ჩვენ ვერანაირ კანონიერ ზემოქმედებას ვერ ვახდენდით დევნილთა უფლებების დარღვევაზე. ამისთვის რესურსები არ მოგვეპოვება. აქაც საკანონმდებლო ხარვეზებია. ბევრი ნაკლოვანებაა დევნილთა სამინისტროს მუშაობაშიც. მაგრამ, თუ ინიციატივა არ გამოვიჩინეთ, ასე გაგრძელდება მუდმივად. ვხედავთ, რა დღეში არიან დევნილები! ზოგმა თავი დაიწვა, ზოგი მეორე და მესამე სართულებიდან ხტება. ვერ წყდება ელემენტარული პრობლემები. ბოლო წელიწადნახევარია, პროცესი წინ წავიდა. ნაწილს ბინებიც მისცეს. თუმცა, ქვეყანას მეტი რესურსი ჰქონდა, მათთვის თავშესაფარი მიეცა, ან დაზუსტებული პასუხი, თუ როდის გადაუწყდებოდათ პრობლემა. დევნილებს დიდი მოთმინების უნარი აქვთ. მთავარია, მიიღონ პასუხი, როდის ექნებათ თავზე ჭერი. უბედურება ისაა, რომ მათ გაურკვევლობაში ამყოფებდნენ. ძალიან ხარვეზიანია მიდგომები სოციალური დახმარების მიღების მხრივ. მაგალითად, დახმარებას უხსნიან ადამიანს, თუ მას ვიღაცამ კომპიუტერი აჩუქა, ან მცირეოდენი ფული გამოუგზავნეს. ამის გამო ხალხს სოციალურ დახმარებას უხსნიან.

***— უბინაო დევნილების რაოდენობა თუ იცით?***

— პროცენტულად თუ ვიმსჯელებთ, მარტო ექვსი-შვიდი პროცენტია ბინით დაკმაყოფილებული. აქედან რეალურად კმაყოფილი კი, შეიძლება 2 პროცენტი იყოს. თავის დროზე უფრო ადვილი იყო ამ ხალხის დაბინავება. მაგრამ, სააკაშვილმა 27 ათასი ობიექტი თითო ლარად გაყიდა. ეს ობიექტები რომ არ გაეყიდათ, რამდენ დევნილსა და სიციალურად დაუცველ ოჯახს დააკმაყოფილებდნენ ბინით! ასეთი მდგომარეობაა. ჩვენ კი, დევნილებს ვერ ვეხმარებით. რამდენი წელიწადია ვმუშაობ იმაზე, რომ მიდგომები და კანონმდებლობა შეიცვალოს. ჩვენი ხელისუფლება (ავტონომიური რესპუბლიკის) რატომღაც პასიურობს და ამ საკითხებში ერთიანობა არ გაგვაჩნია.

***— აფხაზეთის მთავრობის თავმჯდომარე რატომ არის მოვალეობის შემსრულებელი?***

— ესეც კანონმდებლობაში არსებული გაურკვევლობის გამოა. ამ გაუგებრობის გამო ვახტანგ ყოლბაია ვერ დაინიშნა მთავრობის თავმჯდომარედ. ამიტომ იგი იურიდიულად მოვალეობის შემსრულებელია. აფხაზეთის კონსტიტუციაში ისეა ყველაფერი არეული, რომ ახალი პრობლემები იქმნება. წინა პერიოდში აკრძალული გვქონდა ამ კონსტიტუციაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა. რატომღაც აფხაზეთის იუსტიციის დეპარტამენტს ჰქონდა ვეტოს უფლება. იმედია, ამ სტაგნაციიდან გამოვალთ. ბოლოს და ბოლოს, უნდა გაირკვეს აფხაზეთის ხელისუფლების პასუხისმგებლობა დევნილი მოსახლეობის მიმართ. ცენტრალური ხელისუფლების სტრატეგიული საქმიანობა გასაგებია, მაგრამ, ჩვენი როლიც გამოსაკვეთია. სამწუხაროდ, ჩვენს აქტიურობას, ჯერჯერობით, ვერ ვხედავ.

ძვალ-სახსართა პრობლემების:

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზივური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტის, პოლიართრიტის მკურნალობა. დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება. მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციევ სახსრებზე — ძვლის მკვებავებით, მცენარეული პრეპარატებით, წონის დარეგულირებით, სისხლის მიმოქცევის აღდგენით, იმუნიტეტის გაძლიერებით, მარილებისა და შლაკებისაგან გათავისუფლებით. უკუჩვენება არაა. შედეგები საუკეთესოა და მყარი.

☎ 599-91-37-65, 234-02-38

ქალბატონი ქეთათო

# რუსებმა სამშვიდობო შეთანხმება დაირღვიეს

როგორც მოსალოდნელი იყო, მინსკის შეთანხმებები დაირღვა. ექსპერტები ვარაუდობდნენ, რომ მშვიდობა 48 საათის განმავლობაში მაინც გაგრძელდებოდა, ეს არ გამართლდა. სამშვიდობო ოქმზე ხელის მოწერიდან ოთხი საათის შემდეგ რუსებმა შეთანხმება დაარღვიეს.

– ეს წინასწარ გათვლილი სვლა იყო, – თვლის ბატალიონ „დნეპრ-1“-ის მეთაური ვლადიმერ პარასიუკი.



დონბასის მთელს ტერიტორიაზე შეტაკებები არ წყდებოდა. სეპარატისტები და რუსი ჯარისკაცები უკრაინელ სამხედროებს თავს ესხმოდნენ. ინტენსიური სროლები მიმდინარეობდა დონეცკის აეროპორტთან, რომელსაც უკრაინელი მედესანტეები აკონტროლებენ. შეტაკებები არ წყდებოდა ქალაქ სჩასტიესთან, დებალცევოსთან, ამბრიოსიევკასთან.

**თავდასხმა ბატალიონ „აიდარზე“**

– რუსებს „აიდარზე“ კარგა ხნის ბოღმა აქვთ, რადგანაც ეს ბატალიონი უკრაინის შეიარაღებული ძალების ერთ-ერთი ყველაზე ბრძოლისუნარიანი შენაერთია! – იტყობინება ტელეკომპანია მე-5 არხი.

„აიდარის“ წინააღმდეგ არაერთი პროვოკაცია განხორციელდა. აღსანიშნავია, რომ სწორედ ამ ბატალიონის მებრძოლი იყო ამჟამად რუსების ტყვეობაში მყოფი ნადეჟდა სავჩენკო. რუსულმა ტელეარხებმა არაერთგზის გაავრცელეს ინფორმაცია „აიდარის“ განადგურების შესახებ. როცა ბატალიონი ბრძოლის ველზე კვლავ ჩნდებოდა და მტერს დაუნდობად უსწორდებოდა, რუსი ჟურნალისტები მხოლოდ მხრებს იჩეჩდნენ. რამოდენიმე ხნის შემდეგ ცნობა „აიდარის“ განადგურების შესახებ კვლავ ვრცელდებოდა.

– ენას, მოგეხსენებათ, ძვალი არა აქვს, – აცხადებს „აიდარის“ მეთაური სერგეი მელნიჩუკი.

კანონზომიერია, რომ რუსული მასშტაბური პროვოკაციის პირველი მსხვერპლი „აიდარი“ გახდა. რუსული სპეც-ნაზი მის მებრძოლებს სჩასტიეს მახლობად ჩაუსაფრდა და ცეცხლი გაუხსნა.

– შედეგად ბატალიონს თერთმეტი მებრძოლი დაეღუპა, – იტყობინება „ინტერი.“

იმავე დღეს სეპარატისტებმა მორიგი „დეზა“ გაავრცელეს: „აიდარი“ განადგურებულია, მისი მეთაური სერგეი მელნიჩუკი კი მოკლულიაო. რუსულმა ტელე-არხებმა ეს ცნობა უმალ აიტაცეს, თუმცა ტყუილს მოკლე ფეხები აქვს. იმავე საღამოს „ინტერის“ ეთერით თავად „მოკლული“ მელნიჩუკი გამოვიდა:

– ხმები ჩემი დაღუპვის შესახებ ცოტათი გადაჭარბებულია! – განაცხადა მან.

**დარტყმა მარიუპოლზე**

იამვე დღეს რუსულმა სატანკო კოლონამ მარიუპოლზე იერიში მიიტანა. რუსები შეეცადნენ ეს სტრატეგიული მნიშვნელობის ქალაქი დაებრუნებინათ. შეტევაც კარგად იყო ორგანიზებული.

– რუსებს მარიუპოლი ჰაერივით სჭირდებათ, რადგანაც ამის გარეშე ყირიმთან კორიდორს ვერ გააკეთებენ, – აცხადებს ვლადიმერ პარასიუკი.

სატანკო კოლონის შეტევა მოგერიენულ იქნა. უკრაინელებმა სამი ტანკი მოსპეს, სხვებმა იკადრეს და პირი იბრუნეს, თუმცა ეს დროებითი გამოდგა. ორი საათის შემდეგ რუსებმა მარიუპოლს „გრადები“ დაუშინეს.

– უკრაინელებმა საპასუხო ცეცხლი გახსნეს, – იტყობინება „დოიჩე ველე“.

იმავდროულად სეპარატისტების ერთ-ერთმა მეთაურმა ბეზლერმა (ბესი) საგანგებო განცხადება გააკეთა. მასში ნათქვამია, რომ უკრაინულმა მხარემ სამშვიდობო შეთანხმება დაარღვია:

– ნოვოროსიის არმია გენერალურ შეტევას იწყებს! ჩვენ მხოლოდ მაშინ შევჩერდებით, როცა კიევზე რუსეთის დროშა აღიმართება! – თქვა მან.

მარიუპოლში გავრცელდა სააგიტაციო ფურცლები, რომლებშიც ქალაქის მოსახლეობას მოუწოდებდნენ ე.წ. „კიევის ხუნტის“ წინააღმდეგ აღმდგარიყვნენ. მოწოდება დარჩა „ხმად მღაღადებლისა უდაბნოსა შინად.“ საქმეს ვერც დივერსიული ჯგუფების გადასროლამ უშველა. უკრაინის უშიშროების სამსახურმა ხსენებული ჯგუფები გაანადგურა. მარიუპოლელებმა თავიანთი პოზიცია ნათლად გამოხატეს. ისინი უკრაინის დამოუკიდებლობასა და ტერიტორიულ მთლიანობას მხარს უჭერენ.

– ქალაქში შექმნილია ტერიტორიული დაცვის ბატალიონი. ის უკრაინის არმიის მებრძოლებთან ერთად მტერს წინ აღუდგა, – იტყობინება მე-5 არხი.

მტერთან ბრძოლაში უკრაინის ეროვნული გვარდიის ბატალიონ „აზოვის“ მებრძოლებმაც გამოიჩინეს თავი. რუსები მარიუპოლის მისადგომებთან სასტიკ წინააღმდეგობას წააწყდნენ. ორმხრივი სროლების შედეგად რუსებმა დიდი დანაკარგი განიცადეს და უკან დაიხიეს, თუმცა რამოდენიმე საათის შემდეგ შეტევაზე კვლავ გადავიდნენ. მარიუპოლის აღების სურვილი ძალიან დიდი იყო, ბევრად დიდი, ვიდრე ცეცხლის შეწყვეტასთან დაკავშირებით შეთანხმების დაცვა. რუსებმა მარიუპოლს სამი მხრიდან შეუტიეს. შეტევაში ტანკები და ფეხოსნები მონაწილეობდნენ.

– უკრაინულმა არმიამ იერიში მოიგერია, – ოტყობინება „დოიჩე ველე“.

უკრაინულმა არმიამ არა მარტო შეტევის მოგერიება შეძლო. მან რუსები ახლო-მახლო სოფლებიდანაც განდევნა და ნოვოაზოვსკისაკენ წაიწია. ინფორმაცია, რომ რუსებმა სამშვიდობო შეთანხმება დაარღვიეს, მთელს მსოფლიოში გავრცელდა.

**ჩინოვნიკი სანაგვე ყუთში**

ამრიგად მინსკის შეთანხმებების მიუხედავად უკრაინაში ბრძოლა არ შეწყვეტილა, თუმცა ზოგიერთს ეს გაუხარდა. მათ რიცხვს ოდესის ოლქის სოციალური ფონდის ხელმძღვანელი რუდენკოც განეკუთვნება. თავის დროზე მას ბრალი ლტოლვილებისათვის გამოყოფილი თანხის მითვისებაში წაუყენეს. სასამართლომ რუდენკოს უფლებამოსილება შეუჩერა. მიუხედავად ამისა ის თანამდებობაზე მაინც დარჩა. ხელისუფლება სირაქლემას პოზაში ჩადგა და ისეთი სახე მიიღო, თითქოს ვერაფერს ამჩნევდა. გათამამებული რუდენკოც ხმამაღლა აცხადებდა:

– მინსკის შეთანხმება ფანდია! თუ გახსოვთ, მსგავსი რამ აფხაზეთის ომის დროსაც მოხდა. მაშინ ყოველივე იმით დასრულდა, რომ ქართველები სოხუმიდან განდევნეს! მარიუპოლი დღეს-ხვალ დაეცემა! უკრაინელ ფაშისტებს როგორც დონბასიდან, ისე ოდესიდანაც დაიფრენენ, ოდესაში რუსეთის არმია შემოვა და ნამდვილი წესრიგიც დამყარდება!

რაკი ხელისუფლება პასიურობდა, გაზულუქებულ ჩინოვნიკს საკადრისი პასუხი ისევ უკრაინელმა პატრიოტებმა გასცეს. რუდენკოს ქუჩაში მემარჯვენე სექტორის ოდესის ფილიალის აქტივისტები დახვდნენ, ჩინოვნიკი ხელში აიტაცეს, სანაგვე ყუთთან მიიყვანეს და შიგ ჩააგდეს.

– აი, შენნაირებისათვის შესაფერისი ადგილი! – განაცხადეს მემარჯვენე სექტორის აქტივისტებმა.

სანაგვესთან უამრავმა ოდესელმა მოიყარა თავი. ხალხმა „მემარჯვენე სექტორის“ ბიჭები ტაშისცემით დააჯილდოვა. გაისმოდა შეძახილები „ეგრე მაგას, ეგრე!“ რუდენკო სანაგვიდან მხოლოდ მას შემდეგ ამოძვრა, როცა პატრიოტები წავიდნენ. ერთიანად ჭუჭყში ამოგანგლული ჩინოვნიკი შინისაკენ წალასლასდა.

**საომარი მოქმედებები არ წყდება**

8 სექტემბერს რუსებმა მარიუპოლს კვლავ „გრადები“ დაუშინეს. უკრაინელებმა საპასუხო ცეცხლი გახსნეს და რუსებმაც უკან დაიხიეს. 8 სექტემბერს გამთენიისას რუსებმა დონეცკ-მარიუპოლის ტრასის დაკავება სცადეს. ხანგრძლივი ბრძოლის შემდეგ რუსი ჯარისკაცები იძულებულნი გახდნენ უკან დაეხიათ. 8 სექტემბერს რუსმა დივერსანტებმა სლავიანსკის ცენტრში აფეთქებაც მოაწყვეს.



– შედეგად ორი კაცი დაიღუპა, – იტყობინება ტელეკომპანია მე-5 არხი.

– უკრაინის დაზვერვის ცნობით ნოვოაზოვსკში რუსული სამხედრო ტექნიკისა და ცოცხალი ძალის კონცენტრაცია შეინიშნება! რუსები მკვეთრად გააქტიურდნენ ხაზზე ტაგანროგი-მარიუპოლი. როგორც ჩანს, მარიუპოლზე რუსული არმიის მასობრივი შეტევა იგეგმება. ცალკეული მონაცემებით რუსები ამზადებენ დარტყმას სლავიანსკსა და კრამატორსკზეც. საფრთხის ქვეშაა ხარკოვი, ბერდიანსკი, ზაპოროჟიე. ამიტომაც იქ უკვე სანგრებს თხრიან და გამაგრებითი სამუშაოებიც მიმდინარეობს.

**გადამწყვეტი უკრაინელი ერის თავგანწირვა და პატრიოტიზმი იქნება**

– რუსეთმა მშვიდობა შემთხვევით როდი დაარღვია. ეს პუტინის შორს გამიზნული გეგმის ნაწილია, – თვლის პოლიტოლოგი ტარანი.

ექსპერტის აზრით, პუტინს გააჩნია პროგრამა მინიმუმი და პროგრამა მაქსიმუმი. პირველი უკრაინის ფედერალიზაციას ითვალისწინებს, მეორე ე.წ. „ნოვოროსიის“ შექმნას, ანუ უკრაინისაგან სამხრეთ – აღმოსავლეთ რეგიონების ჩამოშირებას.

– ფედერალიზაციაზე დათანხმება უკრაინის კაპიტულაციას ნიშნავს, – წერს ტარანი.

დღეს უკრაინას კაპიტულიაციას თავს ვერ მოახვევ. ამაზე სოციოლოგიური კვლევის უკანასკნელი მონაცემებიც მიუთითებენ. უკრაინელთა 79 პროცენტი დონბასის ოკუპანტებისაგან გათავისუფლების მომხრეა, ფედერალიზაციას მხარს მხოლოდ 12 პროცენტი უჭერს, დონბასის დამოუკიდებლობაზე კი 2, 5 პროცენტია თანახმა. შესაბამისად ქვეყანა პუტინის პირობებს არ მიიღებს. მოსკოვში თვლიან, რომ უკრაინა, რომლის ხაზინაც ცარიელია, ეკონომიკა ძლივს სუნთქავს, ხანგრძლივ ომს ვერ გაუძლებს. მშვიდობიანი შესვენება კი მოსკოვისათვის საშიშია.

განსაკუთრებით ეს შიში უელსის სამიტმა გააძლიერა, როცა ნატოს წევრმა ხუთმა ქვეყანამ გამოთქვა მზადყოფნა უკრაინისთვის იარაღი მიეწოდებინა. მართალია იური ლიუცენკოს დაუფიქრებელი განცხადების შემდეგ ზოგიერთმა (იტალია, ნორვეგია) ეს გადაიფიქრა, მაგრამ სხვებს პოზიცია არ შეუცვლიათ, – წერს ტარანი.

შესაბამისად, რეალურია, რომ უკრაინა მშვიდობიან შესვენებას არმიის რეორგანიზაციისათვის გამოიყენებს, შემდეგ კი ოკუპანტებს კუდით ქვას ასროლინებს. უკრაინელებს ჰყავს კადრები, მოსახლეობის განწყობაც საბრძოლოა. სამშვიდობო შესვენების დაშვება რუსეთისათვის კატასტროფაა.

– ამიტომაც მინსკის სამშვიდობო პროცესი ფაქტიურად ჩაიშალა, – წერს ტარანი.

რუსული არმია, რომელიც უკრაინაში შეიყვანეს, ჯერჯერობით მრავალრიცხოვანი არ არის. ამით პუტინმა პოროშენკოს აგრძნობინა, რომ დონეცკისა და ლუგანსკის აღების ნებას არ მისცემს. უკრაინის პრეზიდენტმაც პრობლემის გადაჭრის ძალისმიერ მეთოდზე ხელი უნდა აიღოს და სეპარატისტებთან ერთად მოლაპარაკების მაგიდას მიუჯდეს. ის, თუ რით დამთავრდება ეს ე.წ. „მოლაპარაკება“, ძნელად პროგნოზირებადი არაა. დღეს უკრაინა სამხედრო თვალსაზრისით რუსეთზე სუსტია, ამიტომ თავისი პოზიციების დათმობა მოუწევს. ეს კი ევრო-ინტეგრაციაზე უარს და ფედერალიზაციას ნიშნავს. ამ შემთხვევაში უკრაინა ერთი შეხედვით ტერიტორიულ მთლიანობას შეინარჩუნებს, მაგრამ მისი სახელმწიფოებრიობა დასუსტდება, ქვეყანაც რუსული გავლენის სფეროს ვეღარასოდეს მოწყდება, უკრაინაში მარიონეტულ მოსკოვზე მთლიანად დამოკიდებული ფეოდალური რეჟიმი დამყარდება. თუკი ფედერალიზაციაზე უარი ითქვა, ამოქმედდება პროექტი „ნოვოროსია,“ ანუ უკრაინას მთელს სამხრეთ -აღმოსავლეთ რეგიონს ჩამოაშორებენ.

– რუსეთის პრეზიდენტი მიზანმიმართულად მოქმედებს, მან როგორც სამხედრო, ისე პოლიტიკური და ეკონომიკური ბერკეტები აამოქმედა, – წერს ტარანი,

პოროშენკო, როგორც ჩანს, პუტინის გეგმებს მიხვდა, თუმცა უკრაინის პრეზიდენტი აშკარა კონფრონტაციაზე არ მიდის. მან არ გამოაცხადა სამხედრო მდგომარეობა, არ გაანადგურა უკრაინაში შესული რუსული ძალები, თუმცა ამისი საშუალება ნამდვილად ჰქონდა. პოროშენკოს ბრძანებით უკრაინელი სამხედროები თავდაცვაზე გადავიდნენ. პარალელურად პრეზიდენტმა დასავლელ მოკავშირეებს მიმართა და ახლა იმათი მეშვეობით ცდილობს გაიტანოს მშვიდობის საკუთარი სქემა, რომლის თანახმადაც რუსულმა არმიამ უკრაინა უნდა დატოვოს, დონბასის უფლებები გაფართოვდეს, თანაც უკრაინის უნიტარულობის პრინციპი შენარჩუნდეს, პროდასავლური კურსი კი გაგრძელდეს.

– ამ სქემის გატანა მხოლოდ დასავლეთის აქტიური მხარდაჭერითაა შესაძლებელი, – იტყობინება რადიო „თავისუფლება“.

დასავლეთი კი დღეს ასეთი მხარდაჭერისაგან ფეხს ითრევს, რადგანაც უკრაინის მიმართ ჯერჯერობით ერთიანი სტრატეგია არ გამოუმუშავებია. ღირს კი უკრაინა იმად, რომ მისთვის ვიბრძოლოთ? – ამ კითხვაზე პასუხი არც ბერლინში, არც პარიზში, ლონდონსა თუ ვაშინგტონში არა აქვთ. გერმანია – საფრანგეთი უკვე წუწუნებენ, რუსეთისათვის დაწესებული სანქციების გამო დიდ ზარალს განვიცდითო. მათ ბანს აძლევენ სლოვაკეთი და უნგრეთი. აშშ-ს პრეზიდენტი ობამაც მეტისმეტ სიფრთხილეს იჩენს. პუტინი ყოველივეს კარგად ხედავს და წნეხს აძლიერებს. პრეზიდენტი პოროშენკო კი აშკარად დაბნეულია.

– იქმნება შთაბეჭდილება, რომ მან უბრალოდ არ იცის, თუ ამ სიტუაციში რა მოიმოქმედოს, – იტყობინება რადიო „თავისუფლება“.

ასეთ ვითარებაში გადამწყვეტი უკრაინელთა თავდადება, ენთუზიაზმი და პატრიოტიზმია. მთელმა უკრაინამ თავგანწირვით უნდა იბრძოლოს. თუკი ეს მოხერხდა, დასავლეთის დახმარება არ დააჩანებს. რუსული აგრესიაც განეიტრალებული იქნება.

**ნიკა თევზაძე**



## განცხადებები

● გთავაზობთ სამსახურს ფიტოთერაპიულ კაბინეტში ფიტოთერაპიით დაინტერესებულ პირებს, მუშაობის თავისუფალი გრაფიკით, ვისაც შეუძლია საგაზეთო რეკლამებით პაციენტების მოზიდვა და პრეპარატების შერჩევა-შეთავაზება (ტრენინგების გავლის შემდეგ). ტელ: 592-25-38-26; 557-14-22-36 ნინო.

● 1) „ალკოჰოლიზმი“, „პახმელია“, „ზაპოი“, აგრესიულობა, უძილობა, ნევროზები, „თეთრი ცხელება – მკურნალობა მცენარეული, უსაფრთხო, შედეგიანი პრეპარატებით (პაციენტისგან ფარულად შესაძლებელია საკვებში შერევა). 2) თამბაქოს გადაგდება - მცენარეული ნაყენებით. 3) იმპოტენცია, სქესობრივი ლტოლვის მომატება და სხვა მამაკაცური პრობლემები – შედეგი დაიწყება 4-5 დღეში. საბოლოო შედეგი გარანტირებულია 2-4 კვირაში – მხოლოდ მცენარეული და ექსკლუზიური პრეპარატებით. 555-45-13-45 599-02-11-46. მიღება წინასწარი ჩაწერით. მოგემსახურებათ სერტიფიცირებული სპეციალისტი.

● ქართული სატაძრო მედიცინის რეცეპტურით, ქარხნული წარმოების მცენარეული პრეპარატებით გთავაზობთ რთულად განკურნებადი დაავადებების მკურნალობას, როგორიცაა: ფსორიაზი, ეგზემა – გარანტირებული შედეგით, მარილები, ნიკრისის ქარი (პოდაგრა) – პრეპარატს მსოფლიოში ანალოგი არ გააჩნია, ძვალსახსროვანი, კუჭ-ნაწლავის, გულ-სისხლძარღვთა, შარდ-სასქესო სისტემის პრობლემები, მათ შორის (კენჭები თირკმელში), იმპოტენცია, სქესობრივი პოტენციის მომატება, ალკოჰოლიზმი, „პახმელია“, „ზაპოი“, სიგარეტის გადაგდება და სხვა. მოგემსახურებიან სერთიფიცირებული ექიმები. ტელ: 557-14-22-36; 592-25-38-26. ჩაწერა წინასწარ.

● ცხადდება მიღება მასაჟისა და კოსმეტოლოგიის კურსებზე, დამთავრების შემდეგ გაიცემა სერთიფიკატი. ხელმძღვანელი ექიმი გულიკო ჩიკვილაძე. ტელ: 2-96-67-03; 595-35-64-13.

● მხოლოდ მცენარეულ, ბუნებრივ მასლებზე დამზადებული თოდუების საგვარეულო წამლებით ვკურნავ კანის უამრავ დაავადებას: გამონაყარს (ჩირქოვანსაც), ნაოჭებს, ლაქებს, სებორეას, ეგზემას, სოკოს, მათ შორის ფრჩხილის სოკოს, დახეთქილ ქუსლებს, მაზოლებს, მეჭეჭებს, ქერტლს, ჰაიმორიტი იკურნება 10 დღეში, ვაჩერებ თმის ცვენას. ვკურნავ მასტიტს. თოდუების საგვარეულო წამლით გაგეწმინდებათ ორგანიზმი, ალაგდება ყველა ანთებითი პროცესი. შეგიძლიათ მომმართოთ გინეკოლოგიური პრობლემების მქონე ქალბატონებმაც. მის.: ოთარ ჭილაძის ქ.№166, №10 კორპუსის წინ და №1 კორ პუსის უკან. 230 62 52; 599 16 10 82. ლამარა თოდუა.

● ძვალ-სახსართა პრობლემების მოგვარება, ტკივილების მოხსნა, ხრტილის აღდგენა, ოსტეოქონდროზი, კოქსართროზი, ოსტეოპოროზი, მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციებ სახრებზე ძვლის მკვებავებით. ტელ: 577-29-37-41; 247-58-83.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, შიშების, უძილობის, ნევროზების, დეპრესიის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა-აღდგენა (პაციენტიდან ფარულადაც!), შედეგი 100%-იანია. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 247-58-83; 599-90-54-78 ქეთევანი.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, ტრომბის პროფილაქტიკა, გულსისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისაგან, წნევების დარეგულირება, 100%-ით. ტელ: 577-29-37-41 ქეთი; 247-58-83.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!), შარდვის მოშლა-გახშირების, შეკავება-შეუკავებლობით, წვის, ტკივილი შარდვისას, ქავილის, უშვილობის, ენურეზის (გენეტიკურიც) მკურნალობა უნიკალური მეთოდებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 577-29-37-41; 234-02-38 ქეთი.

● მასაჟი სამკურნალო და გამაჯანსაღებელი: ძვალსახსართა დაავადებების, ოსტეოქონდროზის, ნევრიტების, პოსტტრავმულ-სარეაბილიტაციო და ა.შ. ასევე ბავშვთა და მოზარდთა მასაჟი ბრტყელტერფიანობის, დისპლაზიის, სქოლიოზის, ხერხემლის დეფორმაციების, პარეზის და ა.შ. (თანდაყოლილი ანომალიებიც) სამკურნალოდ. ტელ: 598-516-533 ქნი ფიქრია.

● კუჭ-ნაწლავის მკურნალობა, კოლიტი, ენტერიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე, ასაკობრივი და პარაზიტული. ორგანიზმის საერთო გაწმენდა-გაძლიერება 100%-იანი შედეგით. 571720311– ქ-ნი მარიამი.


## სომალიში ტერორისტული დაჯგუფების ლიდერი მოკლეს



აშშ-ს ავიაციამ ტერორისტების ბანაკზე საჰაერო თავდასხმა განახორციელა. შედეგად მოკლულია 25-მდე ტერორისტი, მათ შორის რადიკალური ორგანიზაცია ალ-ქაშიბის ლიდერი ახმედ გოდანა.

– ის ერთ-ერთი ყველაზე საშიში და დაუნდობელი ბოევიკი იყო, – იტყობინება ბი-ბი-სი.

გოდანაზე ამერიკული სპეცსამსახურები კარგა ხანია ნადირობდნენ. ექსპერტები ვარაუდობენ, რომ მისი სიკვდილით ტერორისტულ მოძრაობას სომალიში დიდი დარტყმა მიადგება.

*მომზადა ნიკა თევზაძემ*

# საქართველომ შანსი სტარტზევე გაანიავა

**საქართველო – ირლანდია 1:2**

**თბილისი.** დინამო არენა

0:1 მაკგიდი (24), 1:1 ოქრიაშვილი (38), 1:2 მაკგიდი (90)

**საქართველო:** ლორია (კვასხვაძე 46), ლობჟანიძე, კვერკველია, კაშია, ხუბუტია, კანკავა, დაუშვილი, გელაშვილი, ანანიძე (თარგამაძე 64), ოქრიაშვილი (მჭედლიძე 87), კვირკველია

**ირლანდია:** ფორდი, კოულმენი, უილსონი, ო'ში, უელანი, მაკგიდი, მაკკარტი (მეილერი 90), კინი (ლონგი 74), უოლტერსი, უორდი, ქუინი (ბრედი 74)

წავაგეთ... თუმცა ეს არახალია... ბოლოს როდის მოვიგეთ, ველარც ვიხსენებთ...

სავარაუდოდ, დიდი დრო არ დარჩა თემურ ქეცბაიას. ჯერ კიდევ ადრე თქვა საქართველოს ნაკრების მწვრთნელმა, თუ 2016 წლის ევროპის ჩემპიონატზე გასვლის შანსი არ გვექნა, ნაკრებს დავტოვებო. ეს სიტყვები ნაწილობრივ პრესკონფერენციაზეც დაადასტურა. ნაწილობრივ იმიტომ, რომ ეტყობა, ჯერ კიდევ აქვს იმედი, მაგრამ არ ვფიქრობთ, ასე იყო – ქეცბაიამ გუნდის პროგრესიც ვერ დაინახა და ისიც განაცხადა, დავიღალეო.

ამდენი წაგებით ქართველი ხალხიც დაიღალა... ირლანდიასთან მეექვსედ წავაგეთ, თანაც ყველაზე სუსტ ირლანდიასთან, რომელიც აქამდე შეგვხვედრია...

წასაგები თამაში არ იყო, არადა, წავაგეთ... ქეცბაია სადღაც მართალია... ფეხბურთელები არ გვყავს მაღალი დონის, მაგრამ იგივეს ვიტყვით ტაქტიკაზეც...

ეს ჩვენი შეხედულებაა. ცხადია, თემურ ქეცბაია სხვა შეხედულების არის... ამაშიც სადღაც მართალია, მაგრამ...

ქეცბაიამ მოედანზე სამი ცენტრალური მცველი დააყენა. ასეთ შემთხვევაში ფლანგებს დიდი მნიშვნელობა ენიჭება, მაგრამ ესეც ვერ დავინახეთ. გამოდის, ქეცბაია უფრო არწაგებაზე იყო თანახმა, ვიდრე მოგებაზე. ეს ბოლო წუთებმაც დაადასტურა, როდესაც ჩვენები შეტევაში გადასვლას ერიდებოდნენ და კარის უსაფრთხოებით იყვნენ დაკავებული. ასე კი, ევროპაზე ვერ გავფრინდებით.

გასაკვირი იყო ძირითად შემადგენლობაში ნიკოლოზ გელაშვილის დაყენებაც. არა იმიტომ, რომ არ უბრძოლია და მონდომებული არ იყო, არამედ, თავად ქეცბაიას სიტყვებიდან გამომდინარე. მატჩისწინა პრესკონფერენციაზე კითხვისას, თუ რატომ გამოიძახა მხოლოდ ორი თავდამსხმელი მთავარმა მწვრთნელმა, ქეცბაიამ გვიპასუხა, ისედაც ერთი თავდამსხმელით ვაპირებთ თამაშს და სერია ა-ს თავდამსხმელი გამოვიძახეთო. სერია ა-ს თავდამსხმელი კი მოედანზე 3 წუთით ვიხილეთ. ამაშიც ქეცბაია თავის თავს ეწინააღმდეგება. იმაშიც, უგუნდო და უთამაშებელ ფეხბურთელებს რომ აყენებს ძირითად შემადგენლობაში.

კარში ლორია, მარჯვნივ ლობჟანიძე, ცენტრში – კვერკველია-კაშია-ხუბუტია, მარცხნიდან – კვირკველია.

საყრდენებად კანკავა-დაუშვილი იდგნენ, მათზე წინ არავინ, ფლანგებიდან ანანიძე-ოქრიაშვილი, წინ ეული გელაშვილი.

არც ირლანდიას ჰყოლია შესაშური შემადგენლობა, გუნდს მობერებული რობი კინი ყოჩობდა, მაგრამ ჰყავდა. თუმცა ჰყავდა აიდენ მაკგიდი, რომელმაც სამჯერ დაგვირტყა და ორჯერ გაგვიტანა. ჩვენც სამჯერ დავარტყით, მაგრამ ერთი გავიტანეთ და წავაგეთ.

რადგან ქეცბაიამ ამჯერადაც მეორე ნომრად არჩია თამაში, ირლანდია ბურთს ფლობდა, მაგრამ სერიოზული ხიფათი ჩვენ კართან არ შექმნილა, თუ არ ჩავთვლით, ერთხელ ლორიამ საჯარიმოს გარეთ რომ გვანერვიულა.

მეტიც, პირველი გოლის გატანა ჩვენ შეგვეძლო, მაგრამ გელაშვილის დარტყმა მეტოქის მცველს მოხვდა და კუთხურზე გადავიდა. ამ კუთხურსაც შეეძლო გოლი მოჰყოლოდა, მაგრამ საჯარიმოში ისე ვერ გავნაწილდით, როგორც საჭირო იყო და...

ანგარიში 24-ე წუთზე გაიხსნა, კელტებმა ქართველი მცველების შეცდომით კიდევ ერთხელ ისარგებლეს და მეკარესთან პირისპირ ეიდენ მაკგიდი დატოვეს, რომელსაც გოლის გატანა აღარ გასჭირვებია.

გაშვებული გოლიდან ზუსტად 12 წუთში, თორნიკე ოქრიაშვილმა საოცარი გოლის გატანა მოახერხა და ასე აღადგინა წონასწორობა. ქართველმა შემტევმა ბურთი საჯარიმოს მისადგომებთან მიიღო, მოწინააღმდეგის ორი მცველი ჩამოიშორა და მეკარისგან ახლო ცხრიანში უძლიერესად დაარტყა.

ტაიმის მიწურულს ტრავმა მიიღო გიორგი ლორიამ და შესაცვლელი შეიქმნა, მეორე ნახევარში მის მაგივრად თამაშში როინ კვასხვაძე ჩაერთო.

მეორე ტაიმი ირლანდიელი ფეხბურთელების აქტიურობით დაიწყო, ბურთსაც ისინი ფლობდნენ უფრო ხშირად და რეალური საგოლე მომენტებიც მათ უფრო მრავლად ჰქონდათ. მეორე გატანილ გოლამდე, ეიდენ მაკგიდი რამდენჯერმე ძალიან სახიფათოდ დაემუქრა ქართველთა კარს, თუმცა ხან კვასხვაძე ყოჩაღობდა, ხანაც თვითონ ფეხბურთელს აკლდებოდა სიზუსტე. ჩვენი ფეხბურთელებიც ცდილობდნენ შეტევების წარმართვას, მაგრამ ლოგიკურ დასასრულამდე მიყვანა ძალიან უჭირდათ. საბოლოო ჯამში, ყველაფერი იმისკენ მიდიოდა, რომ შეხვედრა ფრედ უნდა დასრულებულიყო, მაგრამ 90-ე წუთზე შეხვედრის საუკეთესო მოთამაშემ, მაკგიდიმ, კიდევ ერთხელ ითამაშა შესანიშნავად და უზადო დარტყმით აიღო როინ კვასხვაძის კარი.

**მარტინ ონილი:**

– ვთვლი, რომ მთელი მატჩის განმავლობაში ბურთს ვაკონტროლებდით, რაც სტუმრად რთული გასაკეთებელია. როდესაც საქართველომ გაათანაბრა, სიტუაცია დაიძაბა. მიუხედავად ამისა, მობილიზება მოვახერხეთ და გამარჯვება მაინც შევძელით. ჩემ გუნდს პროგრესი ეტყობა.

***– საქართველოს ნაკრებიდან ვის გამოარჩევდით?***

– თქვენ რამდენიმე ნიჭიერი ფეხბურთელი გყავთ და რომელიმეს ვერ გამოვყოფ. მართალია, მეორე გოლის გასატანად ჩვენ ბევრი არ გაგვიკეთებია, მაგრამ მოვიგეთ და ასე სჯობს. ქართველთაგან კი, უფრო მეტს ველოდი.

***– რამდენად ელოდით საქართველოსგან ასეთ მედგარ წინააღმდეგობას?***

– სიმართლე გითხრათ, გაკვირვებული ვიყავი, კიდევ ერთხელ აღვნიშნავ: ქართველებს მეტი შეეძლოთ. ბოლოს კი, მეტოქე ისე თამაშობდა, თითქოს ფრე აწყობდა. ქართველების რამდენიმე თამაშს ვუყურე, ნანახი მაქვს საფრანგეთთან თამაშიც და ვაღიარებ, უკეთეს თამაშს მოველოდი.

**თემურ ქეცბაია:**

– რეალობას თვალი უნდა გავუსწოროთ, ჩვენი სტანდარტიც ესაა და სამწუხაროდ, გულდასაწყვეტი გოლი გავუშვით. ბიჭები ბოლომდე დაიხარჯნენ. ყველას გვინდოდა გამარჯვება, რაც დაგეგმილი გვქონდა 99 პროცენტით შევასრულეთ და ზუსტად იმ ერთ პროცენტში დავისაჯეთ. მეტოქის მაღალი კლასი აშკარაა, უმეტესობა ფეხბურთელებისა პრემიერლიგაში თამაშობს. კიდევ ერთხელ ვამბობ: ჩვენ ყველაფერი გავაკეთეთ, მაგრამ მოდუნებამ დაგვსაჯა. ფაქტი ერთია, ქართულ ფეხბურთს ძალიან უჭირს.

***– ბოლო წუთებში გუნდს ეტყობოდა, რომ ფრით უფრო კმაყოფილი იყო. ძირითადში ხომ არ აჯობებდა გელაშვილის მაგივრად მჭედლიძეს ეთამაშა.***

– გელაშვილითაც და ყველა ფეხბურთელის თამაშითაც კმაყოფილი ვარ, მათ ყველაფერი გაიღეს. კვირკველიას თამაშითაც კმაყოფილი ვარ, კაცს თვენახევარი არ უთამაშია და ფეხზე დადგა ნაკრებისთვის. გარედან ადვილია ჩვენი განსჯა, მაგრამ შიგნიდან უნდა შეხედოთ რა ხდება. ყველა ასპექტში იყო პრობლემა და ეს დასამალი არცაა. გვინდოდა, მაყურებლის მოლოდინი გაგვემართლებინა, მაგრამ ძალიან საწყენი მარცხი ვიწვნიეთ.

***– უმეტეს მატჩებში, თქვენი გუნდი მეორე ნომრად თამაშობს.***

– ფიზიკური მომზადებაა საჭირო. ჩვენი გუნდი ირლანდიასთან ამ კომპონენტში ახლოსაც არ იყო. ისინი ევროთასებზე თამაშობენ, ამავდროულად, მსოფლიოში ერთ-ერთ უძლიერეს ჩემპიონატში და ჩვენ ვინ გვყავს, კანკავას გარდა, ევროთასებზე? არავინ. გამოვიდნენ ბიჭები და ბოლომდე იბრძოლეს. ისეც არაა საქმე, გამოიყვანო სულ შემტევი ფეხბურთელები და დაცვა არ გყავდეს. ძნელია ასე თამაში. არ ვუტევდით და წავაგეთ, რომ შეგვეტია, ალბათ უარესი დაგვემართებოდა. ხუთი წელია აქ ვარ და მეც ნერვები მაქვს, შეიძლება ხალხს ყელში ამოუვიდა ჩემი თავი. უნდა დავიწყო ფიქრი და შევხედოთ, მომავალ ორ თამაშში რა შედეგსაც მივაღწევთ, იმის მიხედვით შევხედავთ სიტუაციას, ავწონ-დავწონი და ჩემ გზაზე წავალ – ამით ნაკრებს არაფერი დააკლდება.

***– ანუ, რას ნიშნავს, თუ ორ თამაშს ვერ მოიგებთ, წახვალთ?***

– არა, ეგ გადაჭრით ნათქვამი არაა. უბრალოდ, შევხედავთ სიტუაციას და შესაბამისად მოვიქცევით.

ჩვენს ჯგუფში კიდევ ორი შეხვედრა გაიმართა. გერმანიის ნაკრებს გაუჭირდა შოტლანდიის დამარცხება, თუმცა ტომას მიულერის დუბლის წყალობით მაინც იმარჯვა.

მეორე შეხვედრაში კი გიბრალტარი შინ განადგურდა პოლონეთთან, რომლებმაც შვიდი უპასუხო გოლი გაუტანეს მეტოქეს. „ბაიერნის“ თავდამსხმელმა რობერტ ლევანდოვსკიმ, პოკერის შესრულება მოახერხა.



**გიბრალტარი – პოლონეთი 0:7**

**გერმანია – შოტლანდია 2:1**

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.პოლონეთი | 1 | 1 | 0 | 0 | 7:0 | 3 |
| 2.ირლანდია | 1 | 1 | 0 | 0 | 2:1 | 3 |
| 3.გერმანია | 1 | 1 | 0 | 0 | 2:1 | 3 |
| 4.შოტლანდია | 1 | 0 | 0 | 1 | 1:2 | 0 |
| 5.საქართველო | 1 | 0 | 0 | 1 | 1:2 | 0 |
| 6.გიბრალტარი | 1 | 0 | 0 | 1 | 0:7 | 0 |

რაც შეეხება სხვა ჯგუფის შეხვედრებს, უდიდესი სენსაცია დაფიქსირდა პორტუგალიაში, სადაც მასპინძელი ალბანეთთან დამარცხდა – 0:1.

მასპინძლები მთელი მატჩის განმავლობაში კრიშტიანუ რონალდუს გარეშე უტევდნენ და ვერაფერი ხეირიანი ვერ შექმნეს.

მატჩის ბედი ბალაის ზუსტმა დარტყმამ გადაწყვიტა.

რუმინეთმა სტუმრად მძიმე ბრძოლაში დაამარცხა საბერძნეთი და მსოფლიოზე მოსახვედრი პლეი ოფის გამო „შური იძია“. მე-10 წუთზე სტუმრები ჩიპრიან მარიკამ დააწინაურა. მანვე 53-ე წუთზე მეორე ყვითელი ბარათი მიიღო და მოედნის დატოვება მოუწია, მაგრამ რუმინელებმა თითქმის მთელი ტაიმი გაძლეს 10 კაცის შემადგენლობით და 3 ქულით დაიწყეს გათამაშება.

დანია შინ ისევ აგებდა სომხეთთან, მაგრამ ამჯერად შედეგი შემოუტრიალა და მოუგო – 2:1.

ჩრდილო ირლანდიამ ამავე ანგარიშით სტუმრად უნგრეთს მოუგო, თანაც ასევე ჩამორჩენილმა შეძლო შემობრუნება, ხოლო ფინეთმა ასევე სტუმრად 3:1 დაამარცხა ფარერები.

# იგორ კოკოშკოვი „ლოს ანჯელეს ლეიკერსში“ გადადის



საქართველოს ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელი იგორ კოკოშკოვი „ლოს ანჯელეს ლეიკერსში“ გადადის. მართალია, ჯერ ეს ტრანსფერი ოფიციალურად არ განხორციელებულა, თუმცა მსოფლიოს ერთ-ერთმა ყველაზე ავტორიტეტულმა სპორტულმა სააგენტო „იესპიენმა“ უკვე გაავრცელა ინფორმაცია, რომ კოკოშკოვი ბაირონ სკოტის სამწვრთნელო შტაბში ჩარიცხვასთან ახლოს არისო.

იგორ კოკოშკოვმა გასული 2 სეზონი „კლივლენდ კავალიერსში“, მაიკ ბრაუნის სამწვრთნელო შტაბში გაატარა. ის მთავარი მწვრთნელის ასისტენტი იყო და გასულ სეზონში კონტრაქტი ამოეწურა. საუბრები კოკოშკოვის ლეიკერსში გადასვლაზე გასულ ივლისშიც იყო, თუმცა ეს საკითხი თითქმის გადაწყვეტილია.

„ლეიკერსის“ მთავარი მწვრთნელი ბაირონ სკოტია, რომელსაც სამწვრთნელო შტაბი ჯერ არ დაუკომპლექტებია. სავარაუდოდ, კოკოშკოვი ჯონი დევისთან ერთად სკოტის ასისტენტი იქნება, ხოლო მოთამაშეთა განვითარების მწვრთნელები მარკ მედსენი და ლარი ლუისი იქნებიან.

იგორ კოკოშკოვი საქართველოს ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელია და ამაში „ლოს ანჯელეს ლეიკერსი“ ხელს ვერ შეუშლის.

„ლოს ანჯელეს კლიპერსის“, „დეტროიტ პისტონსის“, „ფინიქს სანსის“ და „კლივლენდ კავალიერსის“ შემდეგ „ლეიკერსი“ ნბა-ს მე-5 გუნდი იქნება, რომელშიც სერბი მწვრთნელი იმუშავებს.

# შედეგები

**ფეხბურთი**

**ეჩ-2015. შესარჩევი ეტაპი**

გიბრალტარი-პოლონეთი ............... 0:7
გერმანია-შოტლანდია ..................... 2:1
უნგრეთი-ჩრ.ირლანდია ................ 1:2
საბერძნეთი-რუმინეთი ................. 0:1
ფარერები-ფინეთი ......................... 1:3
დანია-სომხეთი ............................... 2:1
პორტუგალია-ალბანეთი ............... 0:1

**ამხანაგური მატჩები**

ბოლივია-ეკვადორი ........................ 0:4
ჩილე-მექსიკა ................................... 0:0
პარაგვაი-საემიროები .................... 0:0
სერბეთი-საფრანგეთი .................... 1:1
მაროკო-ლიბია ................................ 3:0

**ცენტრალური ამერიკის თასი**

პანამა-კოსტა რიკა ......................... 2:2
გვატემალა-ბელიზი ........................ 2:1
ჰონდურასი-სალვადორი ................ 0:1

**აფრიკის ერთა თასი**

მალი-მალავი ................................... 2:0

**ესპანეთი. სეგუნდა დივიზიონი**

პონფერადინა-ბეტისი ..................... 4:1
მირანდესი-ალკორკონი .................. 1:2
ვალიადოლიდი-რასინგი ............... 3:1
ბარსელონა ბ-სარაგოსა ................ 4:1
ლას პალმასი-ლუგო ........................ 3:0
ლეგანესი-მალიორკა ...................... 3:1

**იტალია. სერია ბ**

ბოლონია-ვისრტუსი ....................... 1:1
კარპი-ვარეზე .................................. 4:2
ლანჩანო-მოდენა ............................ 2:0
სპეცია-ფროსინონე ......................... 2:1
ტერნანა-პესკარა ............................ 1:1
ტრაპანი-ვიჩენცა ............................ 2:1
ჩიტადელა-აველინო ...................... 3:1
პრო ვერჩელი-კატანია .................. 3:2
ბარი-პერუჯა ................................... 0:2

**აშშ. მლს**

პორტლენდი-სან .................. ხოსე 3:3
ნიუ ენგლანდი-ჩიკაგო ................... 2:1

**ბრაზილია. სერია ა**

ატლეტიკო(პ)-პალმეირასი ........... 1:1
ინტერნასიონალი-ფიგეირენსე ...... 2:3

**კალათბურთი**

**მსოფლიო ჩემპიონატი**

ახალი ზელანდია – ლიტვა ........ 71:76
სერბეთი – საბერძნეთი ............... 90:72
თურქეთი – ავსტრალია ............. 65:64
ბრაზილია – არგენტინა ............. 85:65

**ჩოგბურთი**

**ამერიკის ღია პირველობა**

**ქალები**

**ფინალი**

ს.უილიამსი-ვოზნიაცკი ............ 6:3;6:3

მოამზადა მიხეილ ქორქოლიანმა

# ყოჩები ისევ ყოჩობენ

საქართველოს მორაგბეთა 25-ე ჩემპიონატში მე-4 ტურში სამი დაუმარცხებელი გუნდიდან წაუგებელი მხოლოდ ერთი დარჩა და მდევრებთან 5-ქულიანი უპირატესობა მოიპოვა.

ბოლნისის „ყოჩები“ მესამე ტურის შედეგად სოლიდურად დაწინაურდნენ. ისინი კვირას თამაშობდნენ, მდევრებს მათი დროებით გადასწრება შეეძლოთ, მაგრამ შაბათს „ლელო სარასენსიც“ დამარცხდა და რუსთავის „ხარებიც“.

ბოლო ორი წლის ჩემპიონი „ლელო-სარასენსი“ მეორე მეოთხედში ჩამორჩა ბოლო ადგილზე მყოფ „არმაზს“ და ველარ დაეწია, „ხარები“ კი „ბათუმს“ შერკინებით კი მოერივნენ და საჯარიმო ლელოთი გაათანაბრეს ანგარიში, გადამწყვეტი ჯარიმა მაინც აჭარლებმა გაიტანეს.

„ყოჩებმა“ ბოლნისში შესვენებამდე სამჯერ დაალელოვეს ახალბედა „თიბიეს-უნივერსიტეტი“, მეორე ტაიმში კი სხვაობა გაზარდეს და სეზონში პირველი პრემიაც მიითვალეს. ახლა ლიდერი 5 ქულით უსწრებს მეორეადგილოსანს და ერთადერთია, ვისაც ჯერ არ წაუგია.

კვირა საღამოს, ავჭალასა და ქუთაისში, სულ ერთი ლელო დაიდო. „ლოკომოტივმა“ ერთი ჯარიმით სძლია ძველ მეტოქე „აიას“, ხოლო „ჯიქმა“ ლელოთა ანგარიში გახსნა და ერთი ქულით აჯობა ვიცე-ჩემპიონ „არმიას“.

ლელოიანობა ამ ტურშიც წინას დონეზე დარჩა – 12. სინბინთა რაოდენობა 15-დან 5-მდე დავიდა, მაგრამ ორმა მოთამაშემ წითელი ბარათი დაიმსახურა.

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ყოჩები | 4 | 4 | 0 | 0 | 99-43 | 17 |
| 2.ხარები | 4 | 2 | 1 | 1 | 107-65 | 12 |
| 3.ლელო | 4 | 2 | 1 | 1 | 74-61 | 10 |
| 4.ლოკომოტივი | 3 | 2 | 0 | 1 | 47-35 | 9 |
| 5.ჯიქები | 4 | 2 | 0 | 2 | 34-49 | 9 |
| 6.არმია | 4 | 2 | 0 | 2 | 52-81 | 9 |
| 7.ბათუმი | 4 | 2 | 0 | 2 | 56-69 | 8 |
| 8.აია | 4 | 1 | 0 | 3 | 61-80 | 6 |
| 9.არმაზი | 3 | 1 | 0 | 2 | 45-47 | 5 |
| 10.თიბიეს | 4 | 0 | 0 | 4 | 64-109 | 2 |

**მამაკაცების განკურნების ცენტრი**

სქესობრივი უძლურება, პროსტატიტი, ადენომა (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!) შარდვის პრობლემის: ხშირი და უნებლიე შარდვა, შეკავება, შეუკავებლობა, წვა, ქავილი, ტკივილი, განწმენდა ვირუსებისა და მიკრობებისაგან. ასევე ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად გათავისუფლება. დამოკიდებულების მოხსნა. „თეთრი ცხელების“, ნევროზების, დეპრესიის, უძილობის, შიშების, აკვიატებების, აგრესიულობის, ტვინში სისხლმომარაგების მოშლის მკურნალობა, ღვიძლის განწმენდა, ფუნქციის აღდგენა, კუჭ-ნაწლავის გაჯანსაღება — დიაგნოსტიკით და საჭირო გამოკვლევებით. ანონიმურობა და შედეგები 100%-იანი. უკუჩვენება — 0.

მის.: მეტრო „დიდუბე“, სამთო ქიმიის შენობა, 1-ლი სართ, კაბ. 6
☎ 599-90-54-78, 234-02-38 ქ-ნი მარიამი

# სამხატვრო აკადემიის სტუდენტები: „კულტურის მინისტრმა შეცვალოს ბრძანება“

ეკა ირემაშვილი

აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სამხატვრო აკადემიის სტუდენტებმა კულტურის სამინისტროსთან საპროტესტო აქცია გამართეს. ისინი პერმანენტულად აწყობენ საპროტესტო გამოსვლებს და აკადემიაში ცვლილებებს და სიახლეებს მოითხოვენ.

სტუდენტები იმ დოკუმენტსაც ასაჯაროებენ, რომელიც საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის ბრძანებაა და პირველი სექტემბრით არის დათარიღებული:

„საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის ბრძანება №05/94, 2014 წლის 1 სექტემბერი. „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის წესდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის 2014 წლის 16 მაისის №05/84 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

სამხატვრო აკადემიის სტუდენტები მოვითხოვთ სასწრაფოდ შეიცვალოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის, ბატონი მიხეილ გიორგაძის „ბრძანება“ სამხატვრო აკადემიის დებულებაში შეტანილ ცვლილებასთან დაკავშირებით, რომელიც ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციას და არღვევს ადამიანის უფლებებს!

„საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის 2014 წლის 16 მაისის №05/89 ბრძანებაში შეტანილ იქნეს ცვლილება და ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-9 მუხლის მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„4. რექტორის თანამდებობის დაკავება შეუძლია პირს, რომელსაც უკავია პროფესორის აკადემიური თანამდებობა აკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში და რომლის მიმართულებაც შეესაბამება აკადემიასა და მის ფაკულტეტებზე არსებულ საგანმანათლებლო პროგრამულ მიმართულებებს.“

მე-9 მუხლის მე-4 პუნქტით უხეშად ირღვევა სწორედ კონკურენციისა და თანასწორობის პრინციპი. კერძოდ, მუხლი იმპერატიულად ადგენს იმ ვიწრო წრეს, რომელსაც შეუძლია მონაწილეობა მიიღოს რექტორის არჩევნებში, ეს უკანასკნელი კი გულისხმობს იმას, რომ უკიდურესად იზღუდება კონკურსში მონაწილე პირთა წრე, რაც თავისთავად ქმნის არაჯანსაღი კონკურენციის საშიშროებას და უხეშად არღვევს თანასწორობის პრინციპს.

საქართველოს კონსტიტუციით ნებისმიერ მოქალაქეს უფლება აქვს დაიკავოს ნებისმიერი სახელმწიფო თანამდებობა თუ იგი აკმაყოფილებს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

კონსტიტუციის 29-ე მუხლი სახელმწიფოს ავალდებულებს, დაადგინოს სახელმწიფო თანამდებობაზე საქმიანობის გონივრული პირობები და გაუმართლებლად არ შეზღუდოს მოქალაქის უფლება, მონაწილეობა მიიღოს სახელმწიფო მართვაში, განახორციელოს საჯარო მნიშვნელობის ფუნქცია.

სამხატვრო აკადემიის სტუდენტები მოვუწოდებთ საზოგადოების ყველა წევრს დავიცვათ საქართველოს კონსტიტუცია!“

სამხატვრო აკადემიის სტუდენტების საპროტესტო აქციასთან დაკავშირებით კომენტარი გააკეთა კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრმა მიხეილ გიორგაძემ:

– გარკვეული ცენზი რექტორობის თანამდებობის დასაკავებლად არის აუცილებელი. პროფესორობა გულისხმობს იმას, რომ აკადემიური მუშაობის უმაღლეს სასწავლებელში ადამიანს უნდა ჰქონდეს, ამიტომ ვფიქრობ, ეს ცენზი არის აუცილებელი, მაგრამ ის ფაქტი, რომ ნებისმიერ ქვეყანაში მოღვაწე როგორც საქართველოში, ასევე უცხოეთში მოღვაწე ადამიანს შეუძლია ამ არჩევნებში მიიღოს მონაწილეობა, ზუსტად ეს არის ამ დემოკრატიულობის და გახსნილობის მაჩვენებელი, რომელზეც ჩვენ ვსაუბრობთ.



## კალეიდოსკოპი

# წინდების მოყვარული ძაღლი

ორეგონის შტატის ქალაქ პორტლენდის ვეტერინარული საავადმყოფოს ექიმებმა ოპერაციის დროს ძაღლს მუცლიდან 43 წინდა ამოუღეს. გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ქირურგიული ჩარევის შემდეგ შინაური ცხოველი თავს კარგად გრძნობს.



ოპერაცია, რომელიც ორ საათს გაგრძელდა, მიმდინარე წლის თებერვალში გაკეთდა, მაგრამ საავადმყოფოს თანამშრომლებმა ამის შესახებ მხოლოდ ახლახან განაცხადეს. გერმანული დოგის პატრონმა ვერაფრით ახსნა, თუ როგორ მოხვდა მისი ძაღლის მუცელში ამდენი წინდა.

მან საავადმყოფოს მას შემდეგ მიმართა, როდესაც მისი ძაღლი რამდენიმე დღის მანძილზე საჭმელს პირს არ აკარებდა და მუდმივად აღებინებდა. ექიმებმა ძაღლს რენტგენი გადაუღეს, რომელმაც მის კუჭში უცხო საგნები დააფიქსირა, მაგრამ ის, რომ ეს ნივთები წინდები იყო, მხოლოდ ქირურგიული ჩარევის შემდეგ გახდა ცნობილი.

საავადმყოფოს ხელმძღვანელობამ რენტგენის სურათი კონკურსში ,,რას ჭამენ ისინი?“ მონაწილეობისთვის გააგზავნა. ამ ღონისძიების ორგანიზატორია ჟურნალი ვეტერინარი პრაქტიქ ნიუსი, რომელიც ვეტერინარი ექიმებისთვის გამოდის. წინდების მოყვარული ძაღლის რენტგენის სურათი საპრიზო ადგილზე გავიდა და პრიზის სახით 500 დოლარი დაიმსახურა და ეს თანხა გადაეცა ფონდს, რომელიც იმ შინაური ცხოველების პატრონებს ეხმარება, რომლებსაც ვეტერინართა მომსახურების ანაზღაურება არ შეუძლიათ.

# ნიკარაგუას კოსმოსიდან უტევენ



ნიკარაგუას დედაქალაქ მანაგუას აეროპორტის სიახლოვეს მცირე ზომის მეტეორიტი ჩამოვარდა, რომელმაც ტყის მასივში კრატერი გააჩინა.

სახელმწიფოს მეთაურის როსარიო მურილიოს თქმით, მეტეორიტი მანაგუას საერთაშორისო აეროპორტის და იქვე ახლოს მდებარე ქვეყნის საჰაერო ძალების ბაზის მახლობლად ჩამოვარდა. საგანგებოდ შექმნილმა კომისიამ უკვე დაადასტურა ციური სხეულის ჩამოვარდნის ფაქტი, ,,რომელიც, როგორც ჩანს, დედამიწის სიახლოვეს ჩავლილი ასტეროიდის ნატეხია“. მურილიომ მომხდარის შესწავლაში დახმარების მიზნით საერთაშორისო ექსპერტებს მიმართა.

ნიკარაგუის ტერიტორიული კვლევის ინსტიტუტის ვულკანოლოგმა უმბერტო საბალოსმა განაცხადა, რომ მეტეორიტმა, რომლის დიამეტრი 24 მეტრს შეადგენდა, 5 მეტრის სიღრმის კრატერი გააჩინა. ასევე, მისი თქმით, ჯერჯერობით უცნობია, ჩამოვარდნის დროს დაიშალა თუ არა მეტეორიტი წვრილ ფრაგმენტებად.

– ადგილობრივმა მცხოვრებლებმა განაცხადეს, რომ აფეთქების მსგავსი ხმა გაიგეს, მომეჩვენა, რომ ბომბის დეტონაცია შევიგრძენი, ვინაიდან აფეთქების დროს წარმოქმნილი დარტყმის ტალღამ გადაგვიარა, – განაცხადა ერთ-ერთმა თვითმხილველმა.

ნიკარაგუას თანამედროვე ისტორიაში ეს უკვე მეორე შემთხვევაა. პირველად მსგავს შემთხვევას ადგილი 2007 წელს ჰქონდა, თუმცა მაშინ უფრო დიდი ზომის მეტეორიტი ჩამოვარდა.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

# „პატარძლები“ საქართველოს კინოთეატრებში გამოდის

ეკა ირემაშვილი

გახმაურებული ქართული ფილმი „პატარძლები“, რომელმაც უკვე მოასწრო არაერთ საერთაშორისო კინოფესტივალზე წარმატება მოიპოვა, ქართული პრემიერისთვის ემზადება. 10 სექტემბერიდან საქართველოს კინოთეატრებში თინათინ ყაჯრიშვილის ფილმის პრემიერაა დაგეგმილი.

„პატარძლები“ რამდენიმე კინოფესტივალზე პრიზით დაჯილდოვდა. ბერლინალეზე ქართული ფილმი მაყურებლის პრიზის მფლობელიც გახდა. ქართველი რეჟისორის ნამუშევარი საერთაშორისო კინოფესტივალის სექცია „პანორამაში“ იქნა ნაჩვენები. სურათმა მხატვრული ფილმების კატეგორიაში მესამე ადგილი დაიკავა. თინათინ ყაჯრიშვილი „ბერლინალეზე“ დებიუტანტი რეჟისორის რანგშიც იყო წარდგენილი. მას ამ ნომინაციაში კონკურენციას 17 ქვეყნის დებიუტანტი რეჟისორი უწევდა.

„პატარძლები“, რომელიც ჟანრობრივად დრამაა, თინათინ ყაჯრიშვილის პირველი სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმია. რეჟისორი აქამდე დოკუმენტურ და მოკლემეტრაჟიან ფილმებზე მუშაობდა. ის რამდენიმე ფილმის პროდიუსერიცაა, მათ შორის „ფარაჯანოვი“, „შავი თუთა“, „ბუდე“, „ოცნება – პარიზი“, „უცნობი ჯარისკაცები“ და „თეთრი არა, შავი“.

ფილმი „პატარძლები“ ქართულ-ფრანგული კოპროდუქციაა. ის ნუცასა და მისი ქმრის გოგას ისტორიას მოგვითხრობს, რომელთა ცხოვრებაც გოგას დაპატიმრების გამო ციხეში ყოველთვიურ ვიზიტებად იქცა.

„მოქმედება ციხის იმ ტერიტორიაზე ხდება, სადაც პატიმრებთან მათ მნახველებს – ოჯახის წევრებს უშვებენ. ფილმის კიევში გადაღება მსურდა, რადგან წინა ხელისუფლების დროს ამ თემაზე ფილმს ვერ გადავიღებდით. ფილმი „კომაც“ კონსპირაციულად გადაიღეს. მერე, ხელისუფლება რომ შეიცვალა, ვფიქრობდით, მოქმედ ციხეში გადაღებას, მაგრამ, ციხის რეჟიმიდან გამომდინარე, წარმოუდგენელი აღმოჩნდა. გვინდოდა პავილიონის აშენება. ძველი ქარხნის ტერიტორიებს ვეძებდით. მაგრამ ამ დროს ძალიან გაგვიმართლა და ორთაჭალის ციხე ადამიანებისთვის გაუსაძლისი პირობების გამო პატიმრებისგან დაცალეს. ასე რომ, ფილმზე მუშაობა 2013 წლის აპრილში დავიწყეთ. ციხეში რომ შევედით, მაგიდაზე პური, შაქარი და ჩაი იყო გაშლილი და კედლებში ჯერ კიდევ ადამიანების სუნი იდგა. შევედით და გადაღება დავიწყეთ. ციხეში ავაშენეთ ერთდღიანი პაემნებისთვის განკუთვნილი ოთახები,“ – იხსენებს ფილმის რეჟისორი და ქართველ მაყურებელთან შესახვედრად განსაკუთრებულად ემზადება.

თინათინ ყაჯრიშვილის „პატარძლები“ წლევანდელ ოსკარზე წარსადგენ ქართულ ფილმთა ჩამონათვალშიც მოხვდა, თუმცა სპეციალურმა კომისიამ, რომლის შემადგენლობაშიც კინორეჟისორები და მსახიობები შედიოდნენ, არჩევანი გიორგი ოვაშვილის „სიმინდის კუნძულის“ სასარგებლოდ გააკეთა.

## სპორტი

# სანიკიძის საყვარელი 13

ვიქტორ სანიკიძის დებიუტი რუსულ „უნიკსში“, რომელიც ახალ გუნდშიც თავისი საყვარელი – 13-ნომრიანი მაისურით თამაშობს, შთამბეჭდავი იყო. ქართველმა კალათბურთელმა ყაზანური გუნდის შემადგენლობაში პირველი, თუმც არაოფიციალური მატჩი ჩაატარა და თავისიანთაგან ერთ-ერთი საუკეთესო იყო.

„უნიკსი“ საწვრთნელ შეკრებაზე ლიტვაში იმყოფება. საწყის შეხვედრაში ყაზანელები ლიტვის გასული ჩემპიონატის მე-4 ადგილოსან „პრიენაის“ გაეჯიბრნენ და გუნდი, რომელსაც არც ერთი ლეგიონერი არ ჰყავს, 78:64 დაამარცხეს.

ქართველმა კალათბურთელმა 13 ქულა ჩააგდო, მასზე შედეგიანები კი მხოლოდ ლიხოდეი (15) და ჯერელსი (14) იყვნენ.

ამდენივე ქულით დაასრულა სანიკიძემ მეორე მატჩიც – ამჯერად სანკტ-პეტერბურგის „ზენიტთან“ დაამარცხა, რომელიც ყაზანელებმა 87:67 მოიგეს.

სანიკიძე დაგროვებული 13 ქულით მხოლოდ ლიხოდეის ჩამორჩა. 12-12 ქულა მიითვალეს ყაზანელთა ამერიკელმა ლეგიონერებმა – ლენგფორდმა და ჯერელსმა, რომლებიც გასულ წელს მილანის „არმანი ჯინსის“ ღირსებას იცავდნენ.

# მეოთხედფინალისტები სრულად გაირკვნენ

**ახალი ზელანდია – ლიტვა 71:76**

(9:23, 17:13, 24:22, 21:18)

ახალ ზელანდიასთან მატჩში, ბალტიისპირელებმა ძალიან ყოჩაღად დაიწყეს და პირველი მეოთხედის შემდეგ ყველაფერი გადაწყვეტილი ჩანდა, თუმცა იმდენი „მოახერხეს“, რომ დასკვნით მეოთხედში წინ უკვე მეტოქე იყო.

თამაშის დასრულებამდე 02:42 წუთით ადრე, ტაბლოზე 65:65 დაფიქსირდა, ამის შემდეგ კი ლიტველთა გამოცდილებამ თავისი გაიტანა.

**სერბეთი – საბერძნეთი 90:72**

(23:20, 23:22, 18:13, 26:17)

აქამდე წაუგებელმა ბერძნებმა პირველი მატჩი წააგეს და მსოფლიოს ჩემპიონატსაც დაემშვიდობნენ. წაგებაც არის და წაგებაც – სერბეთის ასეთ თამაშს არავინ ელოდა. შესვენებაზე სერბები მხოლოდ 4 ქულის სხვაობით იგებდნენ, შემდეგ კი მეტოქე სრულად გაანადგურეს.

**თურქეთი – ავსტრალია 65:64**

(15:18, 19:17, 12:15, 19:14)

ავსტრალიის საკალათბურთო ნაკრებმა რომ წააგო, თავის თავს დააბრალოს. კუნძულელები ბოლო წუთს ხუთქულიანი უპირატესობით შეხვდნენ, თუმცა, დარჩენილ დროში ემირ პრელჯიჩისგან 2 სამქულიანი მიიღეს და 64:65 დამარცხდა.

თურქები თითქმის მთელი მატჩის განმავლობაში მდევრის როლში იყვნენ, მაგრამ ბოლომდე იბრძოლეს და მსოფლიო ჩემპიონატის მეოთხედფინალის საგზური მოიპოვეს.

**ბრაზილია – არგენტინა 85:65**

(13:21, 20:15, 24:13, 28:16)

საკალათბურთო მსოფლიო ჩემპიონატის ბოლო მეოთხედფინალისტი ბრაზილიის ეროვნული გუნდი გახდა, რომელმაც არგენტინას სამხრეთამერიკულ დერბიში 85:65 მოუგო.

საინტერესოა, რომ ბრაზილიელებმა პირველი მეოთხედი 8 ქულის სხვაობით წააგეს, მერე მოწინააღმდეგე აღარ დაინდეს და 20 ქულით დაამარცხეს.

ამგვარად, მსოფლიო პირველობაზე ყველა მეოთხედფინალური წყვილი გამოვლენილია: 9 სექტემბერს ბარსელონაში აშშ-სლოვენიას ეთამაშება, ხოლო ლიტვა – თურქეთს. 10-ში, მადრიდში, ერთმანეთის პირისპირ ესპანეთი-საფრანგეთი და სერბეთი-ბრაზილია შეხვდებიან.

საინტერესოა, ბოლო ოთხეული საწყის ეტაპზე ერთ ჯგუფში თამაშობდა. მაშინ ბრაზილიამ სერბეთს 81:73 სძლია, ხოლო ესპანეთმა საფრანგეთი 88:64 გაანადგურა.

**მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა**

# კროსვორდი



**შვეულად:** 1. კინოფილმების „რომაული არდადეგების“, „ბენ გურის“ დამდგმელი ჰოლივუდის კინორეჟისორი; 2. სათამაშო სახლი, კაზინო; 3. იაპონიის იმპერატორი; 5. მეცნიერება სიცოცხლისა და ცოცხალი ორგანიზმების განვითარების კანონზომიერების შესახებ; 7. სახელმწიფო ევროპაში; 9. ცოდვათა მიტევება კათოლიკურ ეკლესიაში; 13. ქართული რადიო; 15. მორალი ანუ ...; 16. ქართველი კომიკოსი; 18. ცხარე საწებელი.

**თარაზულად:** 4. ნავთობის საბადო კახეთში; 6. მონათა აჯანყების მეთაური ძველ რომში; 8. თანდაყოლილი ჭკუასუსტობა; 10. ფრანგული იავნანა; 11. ჩოგბურთის პარტიის ნაწილი; 12. დედამიწის თანამგზავრი; 14. კვირა დღის ძველი ქართული სახელწოდება; 17. აღმოსავლური ჩასაბერი მუსიკალური ინსტრუმენტი; 19. პოლონეთის პარლამენტი; 20. ბერიკაობის ერთ-ერთი პერსონაჟი, დევის ნიღაბი; 21. მდინარე ფლორენციაში; 22. აჭარული ცეკვა; 22. გერმანული ლუდი.

**შეადგინა თ.გოგინაშვილმა**

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდის პასუხები:**

**თარაზულად:** 1. პანთერა; 6. მეგაფონი; 7. ნანდუ; 10. ნესვი; 11. რკალი; 13. ელიტა; 14. ფიჭვი; 16. ძირა; 17. ინდაური; 18. პრაიდი.

**შვეულად:** 1. პინა; 2. არე; 3. პერსონალი; 4. კოლტი; 5. ნიამორი; 8. ნეკი; 9. სიმინდი; 10. ნაკადული; 12. ტანძია; 13. ელადა; 15. ჭიუხი.

**სკანვორდის პასუხები:**

1. იო; 2. მარაო; 3. კარამელი; 4. ტრამალი; 5. რეტი; 6. არარატი; 7. ნაგლინი; 8. ნიკელი; 9. ავარა; 10. ძირულა; 11. ლამე; 12. ლაინსმენი; 13. იოლი; 14. ლა; 15. ზეფირი; 16. ეზოპე; 17. არს; 18. იარა; 19. ზოოლოგია; 20. ზამბია; 21. ციხისძირი; 22. ავრეხი; 23. ეივე; 24. არისა; 25. მირაბელი; 26. აი; 27. ბათუ; 28. მკითხავი; 29. ურიკა; 30. სკალპი.

**სურათებზე:** კაროლინა ფერასი; ვოიცეხ შჩესნი

# ვინ დაარღვია დათუნა სულიკაშვილის უფლებები?

დასაწყისი მე-12 გვერდზე

პოლიციელის მიერ მოქალაქის შეურაცხყოფის ფაქტს, არ მოუწოდა ჩვენთვის ვინაობა გაემჟღავნებინა. გაბრაზებულმა პატრულის თანამშრომელმა სახელი მოგვაძახა და წავიდა. სამართალდამცავთა წასვლის შემდეგ მე ჯერ 112-ს, ხოლო შემდეგ გენინსპექციას მივმართე. მათ შემთხვევის შესახებ დეტალური ინფორმაცია ჩაიწერეს და რამდენიმე დღე ითხოვეს გამოძიებისთვის.

ბატონო შინაგან საქმეთა მინისტრო, ეს და სხვა მრავალი შემთხვევა მარწმუნებს, რომ პოლიციელის მხრიდან მოქალაქის შეურაცხყოფა ხშირად დაუსჯელი რჩება. ამის გამო იძულებული ვარ პირდაპირი კითხვებით მოგმართოთ: თქვენი ბრძანებით ტარდება ასეთი რეიდები? ეს ხომ უკანონოა? ან, საერთოდ რეიდები დანაშაულის კლებას იწვევს? განა უპრიანია პოლიციელები ადამიანებს მიეჭრან, ხელი კრან და შეურაცხყოფა მიაყენონ? ნუთუ პოლიცია გილახავთ სახელს და აღარ გემორჩილებიან? პოლიცია დამნაშავეებს უნდა ეძებდეს თუ ჩემნაირ კანონმორჩილ ადამიანებს უნდა უქმნიდეს პრობლემებს? მოვითხოვ სათანადოდ, კანონის ფარგლებში დაისაჯოს ჩემი და სხვისი უფლებების დამრღვევი პოლიციელი სოსო ჯორბენაძე.

აქამდე თქვენი სახელი და გვარი არ ვიცოდი. სამწუხაროდ, ახლა ვიცი."

ეკა ირემაშვილი

# სამგლოვიარო განცხადებები



## ველოდი ქაჯაიას ხსოვნას

ველოდი ბიძია! არავის ეგონა, ასე მოულოდნელად თუ წახვიდოდი ამ ცხოვრებიდან. შენ სულიერად და ფიზიკურად ძლიერი ადამიანი იყავი, განათლებული, კეთილი, იუმორით სავსე და პრინციპული პიროვნება. ძალიან მიხაროდა შენი ჩამოსვლა სოხუმში და შენთან საუბარი.

პატარა ვიყავი, მაგრამ მახსოვს, როგორ თამაშობდი ფეხბურთს მარტვილის (იმ დროს გეგეჭკორის) „სალხინოს" გუნდში საქართველოს პირველობაზე. ვიცი, 1966 წელს მიგიწვიეს ქუთაისის „ტორპედოში" (თამაშობდა სსრკ-ს ჩემპიონატში) და რამდენიმე მატჩიც ჩაატარე დუბლების შემადგენლობაში. სერიოზული ტრავმა მიიღე და 20 წლის ასაკში მიატოვე ფეხბურთი. მერე სწავლა და მუშაობა გააგრძელე, დაოჯახდი. ბიძია, შენ ძალიან განიცადე ომი აფხაზეთში და მისი ტრაგიკული შედეგები მთლიანად საქართველოსათვის, ძალიან გეტკინა სოხუმში ჩვენი სახლის დაბომბვა (1993 წ. 20 თებერვალი), რამაც იმსხვერპლა მამაჩემი ბოჩია, ხოლო დედაჩემი ნანული დააინვალიდა. სამი წლის წინ შენზე ძალიან იმოქმედა ნანულის გარდაცვალებამ თბილისში, მაგრამ აქეთ მამშვიდებდი.

სიკვდილამდე ერთი კვირით ადრე გესაუბრე ტელეფონით, კარგ ხასიათზე იყავი, მომილოცე საქართველოს საკალათბურთო ნაკრების გასვლა ევრობასკეტზე. მომიყევი, რომ ხშირად დადიოდი ტეხურაზე, ბანაობდი, თევზაობდი. იმ დილითაც წასულხარ ტეხურაზე საბანაოდ. ალბათ, დაემშვიდობე ამ უმშვენიერეს მდინარეს.

შენ კარგად გიცნობდა ბევრი სოხუმელი. გჯეროდა, რომ მოხდება საქართველოს მშვიდობიანი გაერთიანება. ვერ მოესწარი, მაგრამ იმედია, ჩვენი თაობა მოესწრება დაბრუნებას სოხუმში.

შენი დისშვილი თენგიზ პაჭკორია

---

ვაჟა-ფშაველას პროსპექტის №75 (III კვარტალი, IX კორპუსი) ბინადარნი გულისტკივილით ვიუწყებით, რომ გარდაიცვალა ღირსეული მოქალაქე, მეზობელი

**თენგიზ ბელთაძე**

დაკრძალვა: 11 სექტემბერს.

---

მეუღლე ზაირა ბენიძე, დედა ველი (ლამარა), შვილები შორენა, მადონა, გიორგი ჩალაძეები, და მანანა, შვილიშვილები მარიამი, ანასტასია, ნინო კალანდიები, სიძეები დავით კალანდია, დავით ჩიტაია, დისშვილები დაჩი და რატი ჩიტაიები, მამიდა ეთერ ჩალაძე, დეიდა ნაზო ჭითანავა, ცოლისძმა ნოდარ ბენიძე, ცოლისდები ლატავრა, ია ბენიძეები, ქვისლები ბადრი მაისურაძე და თამაზ სიჭინავა, მძახლები მზეონა და ირაკლი კალანდიები, ბიძაშვილები, მამიდაშვილები, დეიდაშვილები და ახლო ნათესავები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**სოსო გიორგის ძე ჩალაძე**

პანაშვიდი: 9, 10 სექტემბერს, თბილისი, ყირიმის ქუჩა (მალაკნების ბაზართან) №5.

გამოსვენება: 11 სექტემბერს, 14 საათზე, წმინდა ნიკოლოზის ტაძრიდან (ვორონცოვზე).

---



ბ.იაშვილის სახელობის დამწვრობის ცენტრის თანამშრომლები ღრმა მწუხარებას გამოთქვამენ რესპუბლიკის დამსახურებული ექიმის, ქალაქის მთავარი კომბუსტიოლოგის, ბატონი

**გურამ გომარელის**

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებენ გარდაცვლილის ოჯახს.

გამოსვენება: 9 სექტემბერს, 15 საათზე, ვაკის სასაფლაოს ეკლესიიდან.

**სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.**

# მყუდრო: „გამაკრიტიკეთ!"

ეკა ირემაშვილი



მსახიობი გია ცინაძე, რომელიც მაყურებელმა სერიალში „ჩვენი ოფისი" მყუდროს როლის განსახიერებით გაიცნო და მას შემდეგ მსახიობს უბრალოდ მყუდროს ეძახის, საქართველოს პატრიარქზე გამოთქმული მოსაზრების გამო, ქართული საზოგადოების კრიტიკის მიზეზი გახდა. სოციალურ ქსელში გამოქვეყნებული განცხადება „სანამ ისეთი მთავრობა არ მოვა, რომელიც ილია მეორეს „დაიჭერს"... ...მანამდე არაფერი გვეშველება" „ფეისბუქის" მომხმარებლებმა სხვადასხვაგვარად აღიქვეს. მსახიობი ბევრმა გააკრიტიკა, ამიტომ ის იძულებული გახდა თავის განცხადებაზე განმარტება გაეკეთებინა.

**მყუდრო:**

„სანამ ამის დაშეარებითაა ხალხი დაკავებული, ვეცდები მოგახსენოთ ორი სიტყვით... დავიწყებ იმით, რომ ეს ყველაფერი ასე არ ეწერა, როგორც აქაა მოყვანილი, წერის დროს ყველა დეტალს უნდა მიექცეს ყურადღება, მით უმეტეს, სააგენტოს მხრიდან. იქ სიტყვა (დაჭერა) ბრჭყალებში მეწერა და ეს სიტყვა მარტო ხელებზე ბორკილების დადებას არ ნიშნავს, ხელებზე ბორკილს ადებენ როდესაც კანონს არღვევენ(!) კიდევ ერთი ის რომ. ეს პოსტი მეწერა დაშეარებულ ფოტოზე, რომელზეც ასახული იყო ძველი მთის სოფლის ისტორიული კოშკი, ერთ შავთეთრ ფოტოზე ძველი სახით და მეორეზე ახალი ფოტო თუ როგორ მიაშენა ვილა(!) ამ კოშკს რომელიღაც მეუფემ.. (ანუ სააგენტომ ეს „გამაზა") და მაგათ გაბლატავებაზე მქონდა საუბარი პლუს სხვა ზოგად რაღაცებთან ერთად! ვეთანხმები თუ არა ვინმეს გემოვნებას. მე მაინც ვცდილობ, ასე თუ ისე რაღაც დავიცვა და ამიტომ დაწერიდან 5 წამში გადავავლე რა თვალი, პოსტი ჩავასწორე მხოლოდ ტექნიკურად გამორჩენილი დეტალით და ჩემს ბოლო ვარიანტს ახლაც ვეთანხმები და მაგ აზრზე ვარ(!) ეკლესია არ უნდა ერეოდეს სახელმწიფოს საქმეებში. ეკლესიას უნდა ვუყვარდეთ და თავისი კონკრეტული საქმე აკეთოს, სახელმწიფო საქმეებით უნდა დაკავდეს ის, ვისაც არჩევნების გზით ეძლევა ამის უფლება!

ახლა მესამე და მთავარი(!)

ადამიანებო, მე შეურაცხყოფა პოსტით არავისთვის მიმიყენებია, ყველა ადამიანს გააჩნია თავისი აზრი და უფლება ამ აზრის გამოხატვის. თქვენც შეგიძლიათ გამოხატოთ თქვენი აზრი ისე, როგორც წესი და რიგია, თქვათ რომ არ ვარ მართალი, რომ მემიჯნებით, რომ სატანა ვარ, ყ.. მიწოდეთ, კი ბატონო, თუნდაც...

მაგრამ ეს ოჯახის წევრების, სადაც გნახავთ, გცემთ და ჩატში მუქარა(!) თან ყველა იმ პირისგან, ვისაც ხატები აქვთ ფბ-ზე და მე მდებენ ბრალს ცუდობაში.

რომელი ხატი ან ბიბლია გასწავლის, რომ ასე უნდა მოექცე ადამიანს, არ შეიძლება ასე. დააფიქსირეთ თქვენი აზრი, გამაკრიტიკეთ კი ბატონო. ოღონდ ისე როგორც უნდა შეგეფერებოდეთ, როდესაც ამბობთ, რომ ჩემზე ღმერთიანები ხართ. ძალიან გთხოვთ... მე კი გადავიტან როგორმე ამ არასასიამოვნო განცდას და რთულს, (მოვიტყუები რომ ძაან მეკიდოს ეს უარყოფითი ენერგიები ჩემს მიმართ.. ცოტათი ადამიანი ვარ.. მეც) ასე მართლა ვერ წავალთ შორს უბრალოდ!

ვიმეორებ ჩემი აზრი დავაფიქსირე ეთიკის და კანონის არ დარღვევის ფარგლებში და გააკეთეთ იგივე თქვენც!

მადლობა ყურადღებისთვის და მადლობა ყველას ვინც გვერდში მიდგახართ საჯაროდ. სიმართლე ვთქვა ძაან ცოტა აღმოჩნდით და თან ჩატში. მაინც მადლობა, უბრალოდ მარტო ჩატში გვერდზე დგომით ნაღდად და მართლა არაფერი გვეშველება."

მყუდროს განცხადებას პროდიუსერი მიშა მშვილდაძე გამოეხმაურა:

„აქამდე გია წერდა და აქედან უკვე მე ვწერ, მიშა მშვილდაძე: ჰოდა, აბა, ველურო პითეკანტროფებო, წაიკითხეთ და მიუხედავად ყველაფრისა წამოეგეთ ჩემს ამ პროვოკაციას ბოლომდე, რომ მშვიდად დავიარო მერე მე კომენტები და შესაბამისი მარტივი ქმედებებით გავისუფთაო კარმა აგრესიულ დურაკთა მიბლოკ-მობლოკვით: მთავარი დეტალი – თუ დაბლოკვის ხათრით თავშეკავებას შეძლებთ, ესე იგი აგრესიული არ ხართ და დურაკობის უფლებას მე ვერავის წავართმევ – მოკლედ ტესტია ეს ყველაფერი ერთგვარი და გისურვებთ წარმატებას."

# საქართველომ ოსკარზე „სიმინდის კუნძული" წარადგინა

ეკა ირემაშვილი

საქართველომ ოსკარზე გიორგი ოვაშვილის ფილმი „სიმინდის კუნძული" წარადგინა. წარდგენა კულტურის სამინისტროში მოხდა, სადაც ოფიციალურად დასახელდა ქართული კინოფილმი, რომელიც ამერიკულ კინოაკადემიას ქართულმა მხარემ წარუდგინა. ღონისძიებას ესწრებოდნენ საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის მოადგილე კახა კანდელაკი, ეროვნული კინოცენტრის ხელმძღვანელი ნანა ჯანელიძე, ჟიურის წევრები.

ოსკარის საუკეთესო უცხოენოვანი ფილმის ნომინაციაზე წარსადგენი ქართული კინოსურათი სპეციალურმა კომისიამ ფარული კენჭისყრის შედეგად გამოავლინა. ჩვენება კომისიის წევრებისათვის 2-5 სექტემბერს გაიმართა. კომისიის შემადგენლობაში იყვნენ მერაბ კოკოჩაშვილი, კოტე ჯანდიერი, ლანა ღოღობერიძე, მიხეილ კობახიძე, ვლადიმერ კაჭარავა, ნინო მხეიძე, ნანა ჯანელიძე, ნანა ექვთიმიშვილი, რუსუდან ჭყონია, ნატო მურვანიძე, კახა კანდელაკი.

კონკურსში სულ 4 ქართული ფილმი მონაწილეობდა „პატარძლები" რეჟისორი თინათინ ყაჯრიშვილი, „შემთხვევითი პაემნები" რეჟისორი ლევან კოღუაშვილი, „სიმინდის კუნძული" რეჟისორი გიორგი ოვაშვილი და „ზღვარზე" რეჟისორი მარიამ ქაცარავა. „ოსკარის" უცხოენოვანი ფილმის ნომინაციაზე წარსადგენი ქართული კინოსურათი სპეციალურმა კომისიამ ფარული კენჭისყრის შედეგად გამოავლინა. გიორგი ოვაშვილის „სიმინდის კუნძული" წელს კარლოვი ვარის 49-ე საერთაშორისო კინოფესტივალის გამარჯვებული და მთავარი პრიზის „ბროლის გლობუსის" მფლობელი გახდა. რამდენიმე თვის განმავლობაში გიორგი ოვაშვილის ფილმს კიდევ რამდენიმე საერთაშორისო კინოფესტივალზე ელოდებიან. როგორც „სიმინდის კუნძულის" რეჟისორმა განაცხადა, მისთვის მოულოდნელი იყო მისი ფილმის „ოსკარის" უცხოენოვანი ფილმის ნომინაციაზე წარდგენა.

„სიმინდის კუნძული" აფხაზ ბაბუასა და შვილიშვილზეა. გიორგი ოვაშვილის ნამუშევარი ფსიქოლოგიური დრამაა და მასში ქართულ აფხაზური კონფლიქტი სულ სხვა კუთხით არის წარმოჩენილი. რეჟისორისთვის ეს არ არის პირველი ფილმი ქართულ-აფხაზურ კონფლიქტზე, გიორგი ოვაშვილის „გაღმა ნაპირი" ასევე ამ თემაზეა გადაღებული და არაერთ საერთაშორისო კინოფესტივალზე მრავალი პრიზი აქვს მოპოვებული.

წელს ოსკარის უცხოენოვანი ფილმის ნომინაციაზე ორი ქართველი რეჟისორის ფილმი მოხვდა – გიორგი ოვაშვილის „სიმინდის კუნძული" და ზაზა ურუშაძის „მანდარინები", რომელიც ოსკარზე ესტონურმა მხარემ წარადგინა. ამერიკული კინოაკადემია სხვადასხვა ქვეყნიდან წარდგენილ ფილმებს ახლო მომავალში განიხილავს და 1 ოქტომბრის შემდეგ 9 ფილმიან სიას გაასაჯაროვებს. ოსკარის ნომინანტი უცხოენოვანი 5 ფილმი 15 იანვარს დასახელდება, ოსკარის დაჯილდოების საზეიმო ცერემონია კი 22 თებერვალს დოლბის კინოთეატრში გაიმართება.

**კახა კანდელაკი, კულტურის მინისტრის მოადგილე:**

– ნამდვილად საუკეთესო არჩევანი იყო, სხვა ფილმებიც არ ჩამოუვარდებოდა. მგონია, რომ ამ ფილმს დიდი შანსები ექნება და თუ ისე მოხდა, რომ „სიმინდის კუნძული" ნომინაციაში მოხვდა მთელი მსოფლიოდან ხუთეულში, ეს ძალიან დიდი აღიარება იქნება არა მხოლოდ ფილმის და რეჟისორის, ასევე ჩვენი ქვეყნის.

**ნანა ჯანელიძე, ეროვნული კინოცენტრის ხელმძღვანელი:**

– ამ ფილმს ნამდვილად შეუძლია წარმატება მოიპოვოს, იმიტომ რომ მართლა საინტერესო ფილმია. უჩვეულო ფორმით არის მოწოდებული სათქმელი, ეს არის ადამიანის ყოფიერების საკითხი, ერთგვარი ბიბლიური თხრობა და ბიბლიური პერსონაჟია მთავარი გმირი. ფილოსოფიური ფილმია. ადამიანი და ღმერთი, ადამიანი და სამყარო, აი, ამაზეა ფილმი. დიდი სუნთქვით არის გადმოცემული სათქმელი. დროული ფილმია, ადამიანი დაფიქრდეს არა ყოველდღიურობაზე, არამედ მარადიულ თემებზე. „სიმინდის კუნძულს" ჯერ „ოსკარამდე" დიდი გზა აქვს გასავლელი. უცხოურ ფილმთა ცხრა ნომინანტიდან, ხუთი უნდა აირჩიონ.

**ლანა ღოღობერიძე, რეჟისორი:**

– ამ ფილმს აქვს წარმატების შანსი, ნომინაციაში მოხვედრის შანსზე ვსაუბრობ. ძალიან თავისებური ფილმია, სრულიად განსხვავებული და რადიკალური. ხედვაა საოცარი ჯერ კიდევ ნუგზარ შატაიძის, რომელმაც საოცარი იდეა შექმნა, პატარა კუნძული, რომელიც არის სიცოცხლისა და სიყვარულის სიმბოლო.

**მერაბ კოკოჩაშვილი, რეჟისორი:**

– ფილმი, რა თქმა უნდა, თემატურად საინტერესოა, მაგრამ ყველაზე საინტერესო რეჟისორის ხედვაა, მიდგომა მასალის მიმართ, თხრობის მანერა, ამბის აგება და რამდენად საინტერესოა კაცობრიობისთვის ადამიანის ბედი, რომელიც ომშია.

# TV პროგრამა

**სამშაბათი 9 სექტემბერი**

08.00 დ/ფ "მსოფლიო ოდისეები" 08.30 დ/ფ "ააშენე უფრო დიდი" 09.ან/ფ "ცხოველთა სამყარო" 10.30 "ყოჩაღების ქუჩაზე" 11.00 ტ/სერ. "**მაგდა ემი**" 12.00, 16.00, 19.00, 20.00 "მოამბე" 12.30 ტ/სერ. "**ტკბილი, მწარე ცხოვრება**" 14.00 "გურმანია" 14.30 დ/ფ "სიურრეალისტური ფოტოგრაფია" 15.00, 21.00 ტ/სერ. "**ღირსება და პატივი**" 17.00 ტ/სერ. "**ჭორიკანა**" 18.30 "შეხვედრები მწერალთა სახლში" 22.00 მხ/ფ "**მაკარტური**" (გ.პეკი) 00.05 მხ/ფ "**ს. დარკო**" 01.50 დ/ფ "მსოფლიო ქალაქები"

08.00, 15.00, 17.00, 21.00 "ბრიფინგის დრო" 10.00, 14.00, 19.00, 22.00 ტ/სერ. "**ზღვარს მიღმა**" 11.00 დ/ფ "ნამდვილი პანამა" 12.00 ტ/სერ. "**ნიკიტა**" 16.00 დ/ფ "ყურანის ისტორიის სათავეებთან" 20.00 "მოამბე" (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ, რუსულ ენებზე) 23.00 მხ/ფ "**წყვდიადი**" 1 სერ.

08.00 სერ. "**შურისმაძიებლი**". 09.00 კულინარიული დუელი 10.00 სერ. "**ბედის ანაბარა**". 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00 ქრონიკა. 11.15 სერ. "**სილა**". 14.40 სერ. "**სიყვარული ცა და მიწა**" 17.35 სერ. "**მინდა გახსოვდე**" 18.45, 19.03 სერ. "**ღირსების საქმე**" 8 სერ. 20.55 სერ. "**შავი ვარდი**" 22.00, 23.00 სერ. "**შუა ქალაქში-2**" 10-11 სერ. 00.00, 01.00 სერ. "**20 წუთი**" 02.00 სერ. "**სიყვარულის სეზონი**" 10 სერ. 03.40 მხ/ფ "**რიდიკის თავგადასავალი**" (ვ.დიზელი)

06.30 სერ. "**არ დამივიწყო**" 07.30 დილამშვიდობისა საქართველო 10.00 სერ. "**მათრობელა სიყვარული**" 12.00, 15.00, 18.00, 21.00 კურიერი 12.30 "შუა დღე" 16.00 სერ. "**ეზელი**" 18.45 სერ. "**სტამბოლის ცა**" 19.45 სერ. "**კარადაი**" 20.50 ეროვნული ლატარეა 22.00 არჩევანი - დაწყება 23.30 სერ. "**ჩემი ცოლის დაქალები**" 00.00 სოციალური ცელი 00.30 სერ. "**ჟამი ყვავილობისა**" 00.30 მსოფლიო კინო-პრემიერები კადრს მიღმა 01.00, 03.30 მხ/ფ. 03.00 კურიერის დაიჯესტი

08.00 მუსიკა 09.00, 17.00 **სერიალი "ლენა"** 10.00, 18.00 მენტალისტი 11.00, 15.00, 22.00, 00.45 მხ/ფ 12.35, 19.30 URBAN STORIES 13.00, 21.00 ინტერესის ობიექტი 14.00 სტილის სამყარო 19.00 კიბერჰაუსი 20.00 დ/ფ 00.15 პეპლის ეფექტი 02.35 მუსიკა

06.10 დ/ფ "დები ტრევისის მხიარული სახლი" 07.35 მხ/ფ "**ბრწყინვალე გონება**" I ნაწ. 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.30 "განთიადი" 10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30 სიახლენი 10.35 დ/ფ "ლიგურკე" 11.10 დ/ფ "ჰამლეტ გონაშვილი" 11.35 პატერიკი 11.40 ღვთის სახლი 12.10 მხ/ფ "**განაჩენი**" 13.30 კონცერტი - ანს. "**მთიები**" 15.05 სალბუნი 15.25 მხ/ფ "**დები ბრონტეები**" 17.20 დეკორატიული ფლორა 17.35 დიდ ხარ შენ, უფალო 18.10 განთიადის სტუმარი 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 18.55 ისტორიის დღიური 19.15 მოკ./ფ "**რა გაცინებს?!**" 20.00 ღია აუდიტორია 20.40 ძილი ნებისა 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.15 "ჩვენი ამბავი" 21.25 ისტორიის გაკვეთილი 22.25 მგზავრები წუთისოფლისა 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 ჩვენი ფონდი 23.35 დ/ფ "შუშანიკის წამება" 00.35 განთიადის სტუმარი 01.00 მხ/ფ "**ბრწყინვალე გონება**" II ნაწ.

**მაესტრო**

7.00 ახალი ამბები 7.20 მულტფილმი 8.20 ფარული კამერა 8.40 გადაცემა "თეკუნას კულინარიუმი"(გამ.) 9.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00, 17.00, 18.00, 19.00, 20.00 მაესტრო 9.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00, 17.00, 18.00, 19.00, 20.00 ახალი ამბები 9.30 დ/ფ "სწრაფი ზოლი" 10.05, 11.05 **სერიალი "სიყვარული და ღირსება"** 12.30 "თქვენი გადახდილია"(ანეკდოტები) 13.05, 14.05 **სერიალი "ასი"** 15.40, 16.05, 17.05 **სერიალი "1001 ღამე"** 18.40, 19.05, 20.07 **სერიალი "ქუზეი და გუნეი"** 21.00 მაესტროს "ცხრიანი"(საინფორმაციო-ანალიტიკური პროგრამა) 22.00 **სერიალი "დიდებული საუკუნე"**(I სეზონი) 0.10 11 მაესტროზე (იუმორისტული გადაცემა) 0.30 ბრძოლა წესების გარეშე 1.20, 2.10 **მინისერიალი "როუზ რედი"** 1-სერ ნაწ.1, 1-სერ ნაწ.2

პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის" ნებართვით

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


9 სექტემბერი

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 1.7474

ევრო — 2.2638

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 2.8504

100 რუსული რუბლი — 4.7327

## ამინდის პროგნოზი 9 სექტემბრისთვის






## კალეიდოსკოპი

### ლედი გაგა მსმენელებმა გააბრაზეს



ნიუ იორკის სასტუმრო „პლაზაში" გამოსვლის დროს ლედი გაგამ უხეში ფორმით გამოხატა საკუთარი უკმაყოფილება ხმაურიანი მსმენელების მიმართ. როგორც ასოშეიტედ პრესი იუწყება, მომღერალმა არ დაასრულა თავისი ჯაზური კომპოზიცია, შეჩერდა და ხმაურიან მსმენელებს გაჩუმება მოსთხოვა.

– თქვენ შეიძლება ..... (უცენზუროდ) მოკეტოთ? ჩვენ აქ ჯაზს ვასრულებთ, – მიმართა მან დარბაზში მყოფთ, – წყეული მდიდრები, – დაამატა შავ ტყავის კაბაში გამოწყობილმა ლედი გაგამ და იქვე აღნიშნა, რომ კმაყოფილი დარჩება, თუ დარბაზში სიჩუმე დაისადგურებს.

მომღერალი ქალთა ჟურნალ „ჰარპერს ბაზარის" მიერ ორგანიზებულ საღამოზე გამოდიოდა ნიუ იორკის მოდის კვირეულის რანგში. წვეულების სტუმრებს შორის იყვნენ დონატელა ვერსაჩე, მსახიობი და მოდელი ბრუკ შილდსი, მომღერლები მაქსველი და მიგელი.

### შიშველმა ქალმა მოსკოვში ცხენით გაისეირნა



მოსკოვის რამდენიმე ცენტრალურ ქუჩაზე ცხენზე ამხედრებულმა შიშველმა ქალმა გაისეირნა. ვიდეოზე, რომელიც თვითმხილველებმა გადაიღეს, ჩანს, რომ შიშველი მხედარი გადაღებებში მონაწილეობს.

ფილმის გადამღებმა ჯგუფმა გადაწყვიტა, რომ სიუჟეტის გადაღების დროს არ შეეზღუდათ მანქანებისა და ფეხით მოსიარულეთა მოძრაობა. რა სახელწოდებისაა ფილმი, უცნობია.

გადაღებების ერთ-ერთი თვითმხილველი ტელეწამყვანი თინა კანდელაკი გახდა და სწორედ მან გამოაქვეყნა თავის გვერდზე შიშველი მხედრის ფოტოსურათი.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

# ვინ დაარღვია დათუნა სულიკაშვილის უფლებები?

**ცნობილი ქართველი დიზაინერი დათუნა სულიკაშვილი საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის ალექსანდრე ჭიკაიძეს ღია წერილით მიმართავს და მისი უფლებების დარღვევაზე საუბრობს:**



„ბატონო მინისტრო, პოლიტიკური განცხადების გაკეთებას ჩვეულებრივ ვერიდები ხოლმე და არასდროს მქონია სურვილი, პოლიტიკურ პროცესებში ჩავრეულიყავი, მაგრამ დაწყებულმა რეიდებმა ამ წერილის დაწერა გადამაწყვეტინა.

6 სექტემბერს, დაახლოებით საღამოს 11 საათზე მეგობართან ერთად, ავტომანქანით ნათესავის სანახავად მივდიოდი. ავტომანქანა მის სახლთან, ვაკეში, ყიფშიძის ქუჩაზე გავაჩერეთ. ამ დროს საპატრულო პოლიციის ეკიპაჟიც გამოჩნდა (ნომრით №7204). პოლიციელი მანქანიდან გადმოვიდა, ჩვენსკენ გამოემართა და მანქანის მინაზე უხეშად რამდენჯერმე დააბრახუნა. შუშა ჩამოვწიე და ვიკითხე, თუ რა ხდებოდა. პატრულმა უხეში ტონით მანქანიდან გადასვლა მომთხოვა. კვლავ ვიკითხე მიზეზი, რაზეც პასუხად მივიღე: „შენი საქმე არ არის, გეუბნები გადმოდი მანქანიდან!" რის შემდეგაც ის თავად აღებს კარს და ჩემს გარეთ გადაყვანას ცდილობს.

მანქანიდან გადმოსულმა კვლავ ვიკითხე უხეშობის მიზეზი და პასუხად ისევ: „შენი საქმე არ არის!" მივიღე. უშედეგოდ ვცდილობდი მისი ვინაობის დადგენას, ისე, როგორც ამის უფლებას კანონი მაძლევს. ჩემს მორიგ კანონიერ მოთხოვნაზე, დაესახელებინა ვინაობა, მან ფიზიკური შეურაცხყოფით, კერძოდ, ხელის კვრით მიპასუხა და განზე გადგომა მომთხოვა. ამასობაში ნათესავი ქალბატონი, რომლის სანახავადაც ვიყავით მისული, თანხმლებ პირთან ერთად მანქანით მოვიდა. ისიც დაინტერესდა თუ რა ხდებოდა. პატრულმა მას ვინაობა გამოჰკითხა. ქალბატონის პასუხზე, რომ დეიდა იყო, პოლიციელმა მას უხეშად, შემდეგი სიტყვებით მიმართა: „ხოდა წადი შვილს მიხედე აქ რა გინდა, ბიჭები არიან, შარვლები აცვიათ და მიხედავენ თავს!" ხოლო მეორე ქალბატონს მოსთხოვა: „მანქანით ქუჩაში ნუ დგახარ, გაიარე დროზე!" ეს ყველაფერი მისი ხელების ქნევის და ყვირილის ფონზე ხდებოდა. მე ჯიუტად ვითხოვდი მის სახელსა და გვარს, რის პასუხადაც დამცინავი პასუხი მივიღე: „წადი, რძე დალიე, ვინ ხარ ვაფშე!", ხოლო კითხვაზე, ჰქონდა თუ არა მას მოქალაქეების შეურაცხყოფის უფლება, პასუხად ვიღებდი: „მაქვს!"

ამის შემდეგ ის მანქანისკენ გაემართა და ჩვენი დაჟინებული მოთხოვნის მიუხედავად, ვინაობა მანამ არ გაამხილა, ვიდრე მისმა მეწყვილემ, რომელიც ამ დრომდე მანქანაში მშვიდად აკვირდებოდა

გაგრძელება მე-11 გვერდზე

# ნანა ჯანელიძემ მემორანდუმი გააფორმა

საქართველოს ეროვნული კინოცენტრის ხელმძღვანელმა ნანა ჯანელიძემ იუსტიციის სამინისტროს ეროვნულ არქივთან ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გააფორმა. დოკუმენტს ხელი მოაწერეს ეროვნული არქივის გენერალურმა დირექტორმა თეონა იაშვილმა და კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის ხელმძღვანელმა ნანა ჯანელიძემ.



– გაფორმდა მემორანდუმი, რომლის ფარგლებშიც ეროვნული არქივი და კინოცენტრი კიდევ უფრო ნაყოფიერად ითანამშრომლებენ. ამიერიდან, ეროვნულ არქივში შეინახება კინოცენტრის დაფინანსებით გადაღებული კინოფილმების ციფრული ასლები, ამ ფილმების სცენარები, აღდგენილი ფილმების ფირები. ეს საშუალებას მოგვცემს, რომ ჩვენს შთამომავლობას შემოვუნახოთ მთლიანად ის კოლექცია, რომელსაც დღეს ქართული კინემატოგრაფია ქმნის კინოცენტრის დახმარებით, – განაცხადა ეროვნული არქივის ხელმძღვანელმა თეონა იაშვილმა.

ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი ითვალისწინებს ყოველი წლის ბოლოს ყველა იმ ფილმის ციფრული ვერსიის თითო ეგზემპლარის, ასევე, ფილმების გადაღებასთან დაკავშირებული ფოტომასალის ეროვნული არქივისთვის მუდმივად შესანახად გადაცემას, რომელიც იმ დროისთვის კინოცენტრში იქნება დაცული. გარდა ამისა, არქივს გადაეცემა აღდგენილი ფილმების ციფრული ვერსიების თითო ეგზემპლარი და გამარჯვებული პროექტების ბეჭდური ვერსია. დოკუმენტი, ასევე, ითვალისწინებს უწყებების მიერ ერთობლივი პროექტების განხორციელებას, ინფორმაციის გაცვლასა და სიახლეების გაზიარებას.

– ჩვენ უკვე დიდი ხანია ვთანამშრომლობთ ეროვნულ არქივთან და ვფიქრობ, რომ კიდევ ბევრი ახალი პროექტი გვექნება. ეს მემორანდუმი ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან ის ფილმები, რომლებიც იწარმოება ჩვენი დაფინანსებით, ასევე ფირზე აღდგენილი ფილმები, აუცილებლად უნდა ინახებოდეს ეროვნულ არქივში, სადაც დაცვის განსაკუთრებული პირობებია. ამასთან, ხელმისაწვდომი იქნება მკვლევარებისა და დაინტერესებული პირებისთვის, – განმარტა ეროვნული კინოცენტრის ხელმძღვანელმა ნანა ჯანელიძემ.

ეროვნულ არქივში 35.000-მდე კინოდოკუმენტი ინახება. კოლექცია მოიცავს დოკუმენტურ ფილმებს, კინოსიუჟეტებს, კინოქრონიკას, კინოჟურნალებსა და მცირე რაოდენობით მხატვრულ ფილმებს. კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის მიერ ეროვნული არქივისთვის გადაცემული მასალა ფასდაუდებელი შენაძენი იქნება არქივის კინოკოლექციისთვის.

**ეკა ირემაშვილი**

## იუმორი



●●●

სიკვდილის წინ ქმარი ცოლს ეკითხება:

– ძვირფასო, ჩემთვის თუ გიღალატია?

– სამჯერ.

– პირველად როდის?

– გახსოვს, არც ერთ ბანკში არ გაძლევდნენ სესხს, შემდეგ კი თავად ბანკის მმართველმა მოგცა სესხი!

– გმადლობ, ძვირფასო, მაშინ ფინანსური კრახისგან გადავრჩი. და მეორედ როდის მიღალატე?

– ოპერაციას არავინ გიკეთებდა, მაგრამ შემდეგ თავად ცნობილმა პროფესორმა გაგიკეთა და სიკვდილს გადაგარჩინა!

– გმადლობ ძვირფასო, მაშინ მართლაც სიკვდილს გადავრჩი. მესამედ როდისღა მიღალატე?

– გახსოვს, დეპუტატობაზე იყრიდი კენჭს ჩვენს ოლქში და 49 ხმა გაკლდებოდა?...

●●●

ღამის სამი საათია, მეგობრები სკაიპით საუბრობენ.

– გაუმარჯოს! რას აკეთებ?

– ძეხვისთვის მივდივარ.

– კი მაგრამ, გვიან არ არის?

– ჩემი მაცივარი ოცდაოთხ საათიან რეჟიმში მუშაობს!

●●●

ქმარი კომპიუტერთან ზის და თამაშობს, ურჩხულებს ხოცავს. ცოლი ცდილობს, მისი ყურადღება მიიპყროს და ეუბნება:

– ძვირფასო, რაში გჭირდება ეგ ურჩხულები, როდესაც მე გყავარ?!

●●●

გოგონა ბიჭს ეუბნება:

– მე შენ მიყვარხარ. ასე მგონია, მთელი ცხოვრება ერთად ვიქნებით.

– ნამდვილად, გგონია... – პასუხობს ბიჭი.

●●●

ქალი დაქალს უყვება:

– ჩემი მეუღლის საბავშვო ბაღის დახასიათება ვიპოვე.

– მერე, რა წერია?

– კარგად ჭამს, სძინავს, სეირნობს!

– მერე?

– მერე ის, რომ 30 წელია გასული და არაფერი შეცვლილა...

●●●

ცოლი და ქმარი საუზმობენ. უცბად ქალი წვნიანს გადაისხამს.

– ფუ, ღორივით გამოვიყურები!

– ჰო, თანაც წვნიანიც გადაისხი!

●●●

ტელეფონის ზარი ზოოპარკში.

– ალო, ზოოპარკია?

– დიახ.

– თქვენი ტელეფონის ნომერი მაშველებმა მომცეს.

– რაშია საქმე?

– ჩემთან სახლში გველია!!! რა ვქნა???

– ცხოველთა დაცვის ორგანიზაციის წევრი ხართ?

– არა.

– არც მწვანეთა პარტიის წევრი ხართ?

– არა.

– მაშინ აიღეთ ნიჩაბი და თავში ჩასცხეთ!

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## კროსვორდი ა



**შვეულად:** 1. ჩინელ კოსმონავტთა სახელწოდება; 2. ელექტროძრავის მბრუნავი ნაწილი; 3. ლითონის ფულის ერთ-ერთი მხარე; 4. ქართველი ფიზიკოსი, ჰუმბოლდტის პრემიის ლაურეატი; 5. სუპერმარკეტების ქსელის მფლობელი ამერიკული ფირმა; 6. ხელის გამომხატველობითი მოძრაობა; 7. ორცოლიანობა, ორქმრიანობა; 8. სინარნარე, მოხდენილობა მოძრაობაში; 13. რგოლისებრი მარჯნის კუნძული; 17. კინემატოგრაფისტთა პრემია ესპანეთში; 18. ტბა აშშ-კანადის საზღვარზე.

**თარაზულად:** 1. ძვირფასბეწვიან ცხოველზე მონადირე პროფესიონალი ჩრდილო ამერიკაში; 3. სამგზავრო სარკინიგზო ვაგონის ძველი ქართული სახელწოდება; 8. საბადოდან ტორფის ამოსაღები ექსკავატორი; 10. უძველესი ქართული სამეფო; 11. უნგრული ღვინო; 12. სოფელთა სახელწოდება შუა აზიაში; 14. აეროპორტი ტოკიოში; 15. ჟანგბადის აღმომჩენი ინგლისელი ქიმიკოსი; 16. მდინარე ლონდონში; 19. ფრანგი კინოვარსკვლავი მამაკაცი; 20. ბეისბოლის მოთამაშის ამპლუა; 21. უზენაესი სასამართლო თურქეთში.

**შეადგინა თ.კოპალეიშვილმა**

## ასტროპროგნოზი 9 სექტემბრისთვის

### წარმატებული დღეა

**ვერძი** – სახლში დიდი სიხარული გელოდებათ. **კურო** – არ იზარმაცოთ, წარმატება სულ ახლოსაა. **ტყუპები** – ფულს შოულობათ, მალე შვებით ამოისუნთქავთ. **კირჩხიბი** – რომანტიკული თავგადასავალი კარგ ხასიათზე დაგაყენებთ. **ლომი** – შემოსავლის ახალ წყაროს თქვენთვის დიდი სიხარული მოაქვს. **ქალწული** – გადაიხალისეთ გარდერობი, შეხვედრაზე მიდიხართ. **სასწორი** – კითხვა გაწუხებთ, პასუხს კი ვერ პოულობთ. **ღრიანკალი** – არ აჩქარდეთ, მშვიდად იმოქმედეთ. **მშვილდოსანი** – ახალ ცხოვრებას იწყებთ, გახარებული ხართ. **თხის რქა** – ნუ ენდობით უცხო პირებს, შეიძლება მოგატყუონ. **მერწყული** – ოპონენტები გააქტიურდნენ, ფრთხილად იყავით. **თევზები** – ყურადღების ცენტრში ყოფნა გსიამოვნებთ.

გისურვებთ ბედნიერ დღეს!